

მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული
თარგმანი
(ტექსტის ისტორიისა და თარგმანის ტექნიკის საკითხები)

ანა ხარანაული, თამარ მაგრაქველიძე, ლალი ვაშაყმაძე, თინათინ ჯიქურაშვილი,
მარიამ თხინვალები, ნინო გიორგაძე

*კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
მხარდაჭერით [FR-21-3104] / This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of
Georgia
(SRNSFG) [FR-21-3104].*

ნაწილი მესამე

მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანების წარმომავლობა

სარჩევი

| | |
|--|-----|
| <i>კვლევის ისტორია</i> | 4 |
| <i>თარგმანის ენა - ბერძნული თუ სომხური?</i> | 9 |
| ბერძნული წინდებულების ეკვივალენტები - ქართული თარგმანის წარმომავლობის დადგენის კრიტერიუმი..... | 9 |
| მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული და ძველი სომხური თარგმანების ურთიერთმიმართება ბერძნული წინდებულების გადმოტანის შუქზე | 10 |
| ბერძნული კერძოწინდებულთა ქართული და სომხური ეკვივალენტები..... | 22 |
| თარგმანის დედნის ენის განსაზღვრის კრიტერიუმების ძიებაში: ამოსის წიგნის წარმომავლობის კვლევის მაგალითზე..... | 61 |
| ზაქარიას ძველი ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხები | 91 |
| <i>თარგმანის ტიპი</i> | 131 |
| ებრაიზებული იკითხვისები სოფონიას ქართულ ვერსიებში - ქართულ თარგმანში ასახული სემპტუაგინტას ტექსტის ისტორიის ეპიზოდი..... | 131 |
| <i>ბიბლიოგრაფია</i> : | 164 |

კვლევის ისტორია

ანა ხარანაული

ხუთი მცირე წინასწარმეტყველის – ამოსის, მიქეას, იონას, სოფონიას და ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხი ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა იულიუს ასფალგის ფუნდამენტური ნაშრომისა, რომელსაც იგი ამ წინასწარმეტყველებების ტექსტის გამოცემას ურთავს¹. მისი გამოკვლევა ეყრდნობა სამი ქართული ხელნაწერის (Jerusalem 7/11, Athos 1, Sin. 37) ტექსტის დაწვრილებით შედარებას სეპტუაგინტას კრიტიკულ ტექსტთან, სომხური ბიბლიის ზოჰრაბისეულ გამოცემასთან და სირიულთან².

თავდაპირველად ასფალგი თითოეულ ხელნაწერს ცალ-ცალკე ადარებს სავარაუდო დედნებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იგი ქართულ ხელნაწერთა მიმართებას ამ დედნების კითხვასხვაობებთან და ცალ-ცალკე განიხილავს წაკითხვებს, რომლებიც საერთო აქვთ ა). ქართულ ხელნაწერებსა (აღებულს ცალ-ცალკე) და LXX-ს Arm-ის საპირისპიროდ, ბ). ქართულ ხელნაწერებსა და LXX-ს აპარატს Arm-ის საპირისპიროდ, გ). ქართულ ხელნაწერებსა და Arm-ს LXX-ს საპირისპიროდ. შემდეგ იგი ოდნავ უხვევს თავის მეთოდს და ერთად განიხილავს ქართული ხელნაწერების, LXX-ს აპარატის და Arm-ის შესატყვისობებს. ცალკე განიხილავს ასფალგი JO-ს საერთო კითხვასხვაობებს, რომლებიც ბერძნულის არასწორი წაკითხვის შედეგია. საერთო ჯამში, იერუსალიმურ ხელნაწერს დამოუკიდებლად

¹ J. Assfalg, *Altgeorgische Übersetzungen der Propheten Amos, Michaeas, Jonas, Sophonias und Zacharias*. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცემა და მასზე დართული გამოკვლევა პირველი და დღემდე ერთადერთი სანიმუშო მაგალითია ქართული თარგმნილი ლიტერატურის დაწვრილებითი ტექსტოლოგიური კვლევისა უცხოენოვან წყაროებთან მიმართებაში. სამწუხაროდ, 1959 წელს ჰაბილიტაციისათვის გადაცემული ეს ნაშრომი არ გამოქვეყნებულა და მკვლევართა (და, რაც მთავარია, ქართველ მკვლევართა) ყურადღების მიღმა დარჩენილი.

² *Septuaginta, Vetus Testamentum Graecum, XIII, Duodecim Prophetiae*, ed. Joseph Ziegler, 3. Aufl. 1984; *Astuacaſunq Matean Hin ew Nor Ktakaranaſ*, 1805; *Peschitta = S. Lee, Vetus Testamentum Syriace; Syrohexapla = A.M. Cerini, Codex syrohexaplaris Ambrosianus photolithographice editus, Mailand 1874*.

და ომკურ ხელნაწერთან ერთად სეპტუაგინტასთან 48,53% აქვს საერთო, სომხურ თარგმანთან – ამის ნახევარი, 23,24%. ქართულის, სომხურის და სეპტუაგინტას აპარატის საერთო წაკითხვები 13,09%-ია. ე.წ. მატერიალური შესატყვისობების (კლება-მატება) გათვალისწინებით, რომელთაც უფრო დიდი წონა აქვთ, ვიდრე გრამატიკულ შესატყვისობებს, LXX -თან სიახლოვე კიდევ უფრო თვალსაჩინოა. სეპტუაგინტას რედაქციებს შორის ყველაზე დიდ სიახლოვეს იერუსალიმური და ომკური ხელნაწერები ლუკიანურ და კატენების რედაქციასთან იჩენენ. ამრიგად, მკვლევრის დასკვნა ასეთია: “ცხადია, რომ იერუსალიმური ახლო ნათესაობაშია LXX-თან³.”

ომკური ხელნაწერის კითხვასხვაობათა, ანუ იერუსალიმური ხელნაწერისაგან განსხვავებული ვარიანტების ანალიზი შემდეგ მონაცემებს იძლევა: 18 ასეთი ვარიანტი LXX-ს მიჰყვება (ამათგან 11-ში იერუსალიმური ხელნაწერის წაკითხვები სომხურს უჭერს მხარს). 47 შემთხვევაში O სეპტუაგინტას ვარიანტებთან პოულობს შესატყვისობას, ამათ შორის თვალში საცემია სიახლოვე ალექსანდრიულ ჯგუფთან (რომელთანაც პარალელები J-ს შემთხვევაში არ ჩანდა) და, პირიქით, ძალიან მცირე რაოდენობა კატენების ხელნაწერებთან შესატყვისობებისა (რომელთანაც J ახლოს იდგა). რაც შეეხება ლუკიანურ რედაქციასთან დამოკიდებულებას, იგი აქაც იგივე რჩება, რაც J-ს შემთხვევაში. 43 შემთხვევა ომკური ხელნაწერის კითხვასხვაობისა სომხურთან პოულობს პარალელს, ყველა ამ შემთხვევაში J სეპტუაგინტას მიჰყვება. საერთო ჯამში, ომკური ხელნაწერს 30,4% აქვს საერთო სეპტუაგინტასა და მის ვარიანტებთან, 15,62% სომხურთან. ასფალგის დასკვნა ასეთია: “O-ს, J-საგან დამოუკიდებლად, ცალკეული გავლენები განუცდია ალექსანდრიულისმაგვარი ტექსტისა”⁴.

ასფალგის მიერ მოტანილი მასალა საინტერესოა მცირე წინასწარმეტყველთა ქართული ტექსტის ისტორიის თვალსაზრისითაც: იგი ტექსტოლოგიური ფაქტებით ადასტურებს, რომ O და J-ში წარმოდგენილ ტექსტებს განვითარების დამოუკიდებელი გზა

³ Es ist also offensichtlich, dass J sehr nahe mit LXX verwandt ist (365).

⁴ O, unabhängig von J, vereinzelt Beeinflussungen durch einen alexandrinisch gefärbten Text erfahren hat (387).

აქვთ გავლილი და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უდარდებოდნენ უცხოენოვან წყაროებს.

რაც შეეხება ლექციონარის ხელნაწერს Sin. 37-ს, რომელსაც ასფალგი ტექსტუალური თვალსაზრისით (თარგმანის თავისუფალი ხასიათი, არქაული ლექსიკა) უძველესად (VI-VII ს.) მიიჩნევს, იგი უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს სომხურთან, ვიდრე სხვა ქართული ხელნაწერები, თუმცა კი საბოლოო ჯამში მხოლოდ LXX-თან მისი პარალელები უფრო მეტია (26,3%), ვიდრე პარალელები სომხურთან (18,7%). ამ ხელნაწერში შემორჩენილი თარგმანის დედნად ასფალგი უეჭველად სომხურს მიიჩნევს და თვლის, რომ ეს თარგმანი შემდგომ ბერძნულის მიხედვით უსწორებიან, განსაკუთრებული გავლენა კი მასზე ალექსანდრიულ და ლუკიანურ ხელნაწერებს მოუხდენიათ (425).

შრომის დასკვნაში ასფალგი ერთიანობაში განიხილავს მცირე წინასწარმეტყველების თარგმანის წარმომავლობის საკითხს. გამოყოფს ოთხ პარამეტრს, რომლითაც ტრადიციულად ხდება თარგმანის წარმომავლობის დადგენა და მათ მეთოდოლოგიური ხასიათის კომენტარს უკეთებს:

1. ლექსიკური კალკები, ნასესხობები და საკუთარ სახელთა ფორმები. წინამორბედი მკვლევრებისაგან განსხვავებით, ასფალგი სამართლიანად ფრთხილად ეკიდება ლექსიკური ნასესხობების გამოყენებას ამა თუ იმ წყაროდან თარგმანის მომდინარეობის დასადგენად, რადგანაც ეს ნასესხობები შესაძლოა ენაში უკვე დამკვიდრებულ ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნებოდეს. მითუმეტეს, კატეგორიულად გამორიცხავს იგი მნიშვნელობის მინიჭებას იმ ნასესხობებისათვის, რომლებიც სავარაუდოდ დედნის ტექსტში პარალელურ ადგილას არ იპოვება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასფალგის წინამორბედი დასავლელი მეცნიერები ასეთ შემთხვევაში სომხურში ადადგენდნენ ქართულ ტექსტში დადასტურებულ სომხურ ნასესხობას, ასფალგის ეს აზრი მეთოდოლოგიურად წინ გადადგმული ნაბიჯია. რაც შეეხება საკუთარ სახელთა ფორმებს, მკვლევარი მნიშვნელოვნად მხოლოდ იშვიათად ხმარებული საკუთარი სახელების ტრანსკრიფციას მიიჩნევს.

ამ პარამეტრის მიხედვით შესწავლილი მასალა *მცირე წინასწარმეტყველთა* ქართული ხელნაწერებისა თითქმის აბსოლუტურად უჭერს მხარს სეპტუაგინტას.

2. **ფორმალური შესატყვისობები.** ასეთად ასფალგი დედნის სტილისტურ და სინტაქსურ მიბაძვას მიიჩნევს. აქაც იგი თავისი წინამორბედების შეცდომას ასწორებს და თვლის, რომ მაგ. სინტაქსური შესატყვისობების დროს ყურადღება თავად ენათა ბუნებას უნდა მიექცეს. ასე რომ, ბერძნული პარტიციპიუმის შესაბამისად ქართულში და სომხურში დამოკიდებული წინადადება ქართულის სომხურიდან მომდინარეობას არ უნდა ნიშნავდეს. ფორმალური შესატყვისობების პარამეტრს იგი მხოლოდ მაშინ ანიჭებს მნიშვნელობას, როდესაც საქმე ერთგვარ შეცდომებთან გვაქვს. ასფალგი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დედნის განსასაზღვრად იმგვარი სინტაქსური კონსტრუქციის ხმარება, რომელიც თარგმანის ენისათვის დამახასიათებელი არ არის. ჩემი აზრით, ესეც საყურადღებო ელემენტად უნდა ჩაითვალოს *მცირე წინასწარმეტყველთა* ქართული ტექსტების მომდინარეობის დადგენისთვის, რადგან ასფალგის მიერ შედგენილ სინტაქსური შესატყვისობების ნუსხაში საკმაო რაოდენობაა ბერძნულში ზმნის უპირო ფორმების შესაბამისად ქართულში უპირო, ხოლო სომხურში პირიან ფორმათა ხმარების მაგალითებისა, რაც, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ მეტყველებს ქართულის სომხურიდან მომდინარეობაზე.

3. ტექსტების ურთიერთმიმართების გასარკვევად ასფალგი ძლიერ არგუმენტად მიიჩნევს **მატერიალურ შესატყვისობებს:** დამატებისა და კლების არსებობას დედანსა და თარგმანში. მკვლევარი ამ ტიპის მაგალითების აღნუსხვის შედეგადაც იმავე დასკვნამდე მიდის: ქართულ ხელნაწერებს უფრო მეტი პარალელი ბერძნულთან ეძებნებათ.

4. გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად თარგმანის წარმომავლობის დადგენისათვის არასწორი თარგმანები მიიჩნევა. ასფალგის მიერ აღნუსხულია საკმაოდ დიდი რაოდენობა შეცდომებისა, რომლებიც ქართულ თარგმანში ბერძნულის საფუძველზე არის მომხდარი. ამის საპირისპიროდ ასფალგს მოაქვს ერთადერთი საეჭვო შემთხვევა, რომელიც სომხურის არასწორი წაკითხვით შეიძლებადა ახსნილიყო.

ამრიგად, ასფალგის მიერ ჩამოთვლილი ყველა პარამეტრით ქართული ხელნაწერები აშკარად უფრო დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ბერძნულ ტექსტთან (სეპტუაგინტასა და მის ვარიანტებთან), ვიდრე სომხურთან. მაგრამ მკვლევარი ხელნაწერთა ჩვენებას არ აიგივებს

პირველ თარგმანთან. იგი თვლის, რომ ეს სიახლოვე, თავისთავად, შესაძლოა თარგმანის კუთვნილებაც იყოს და გვიანდელი რედაქციისაც. ანუ, თეორიულად ერთნაირად შესაძლებელია ისიც, რომ ქართული თარგმანი ბერძნულიდან იყოს შესრულებული და შემდეგ მსუბუქად ნასწორები სომხურის მიხედვით და ისიც, რომ სომხურიდან მომდინარეობდეს და მძლავრად და, შესაძლოა, ეტაპობრივად იყოს რედაქტირებული ბერძნულის მიხედვით. იმის დასადგენად, თუ რომელი პლასტია უფრო ადრინდელი – სომხური თუ ბერძნული, საჭირო იყო ტექსტოლოგიური ფენების დიფერენცირება, კვლევის ეს ეტაპი კი, ასფალგთან, სამწუხაროდ, გამოტოვებულია. ამდენად, თავისი საბოლოო დასკვნისათვის იგი უკვე ტექსტოლოგიურ მონაცემებს კი არ ეყრდნობა, არამედ იმ შაბლონურ აზრს, რომ ქართული ლიტერატურისა და, განსაკუთრებით ქართული ბიბლიის განვითარების ისტორია სომხურიდან იღებს სათავეს და მხოლოდ მონოფიზიტური ეკლესიისაგან საბოლოო განყოფის შემდეგ კირიონ კათალიკოსის დროს, უქცევს გვერდს სომხურს და ბერძნულისაკენ იბრუნებს პირს (ibid., 439). კვლავ ვიმეორებ, ამ თეორიული ბაზიდან ამოსვლითა და არა ტექსტოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით იულიუს ასფალგის დასკვნა ასეთია: *მცირე წინასწარმეტყველებათა* ქართული თარგმანი სომხურიდან მომდინარეობს და მას შემდგომში საკმაოდ საფუძვლიანი გადამუშავება განუცდია ბერძნულის მიხედვით. მკვლევარის ეს დასკვნა სრულიად მოულოდნელია და ეწინააღმდეგება იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მის მიერ ჩატარებულ ტექსტის ფუნდამენტურ და დაწვრილებით ანალიზზე დაყრდნობით უჩნდება მკითხველს. ეს დასკვნა სამწუხარო მაგალითია იმისა, როგორ დომინირებს ერთხელ დამკვიდრებული სტერეოტიპი ფაქტობრივ მასალაზე.

თარგმანის ენა - ბერძნული თუ სომხური?

ნინო გიორგაძე

ბერძნული წინდებულების ეკვივალენტები - ქართული თარგმანის წარმომავლობის დადგენის კრიტერიუმი

თარგმანის წარმომავლობის კვლევა მეტად კომპლექსური საკითხია. ასეთ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი კრიტერიუმის შერჩევას. სამწუხაროდ, სწორედ ძველი ქართული და ძველი სომხური თარგმანების განხილვისას მეცნიერთა დიდი ნაწილი კრიტერიუმად ხშირად სიტყვათესხებას იღებს, რაც არასწორია. საქმე ისაა, რომ ისეთი ენებობრივი ჯგუფების შემთხვევაში, როგორცაა ძველი ქართული და ძველი სომხური, სრულიად ბუნებრივია საერთო ლექსიკის არსებობა – ორივე ენას გეოგრაფიულადაც და ისტორიულადაც მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა და უფრო გასაკვირი იქნებოდა, საერთო ლექსიკის უქონლობა.

მაშინ რა არის უფრო სარწმუნო კრიტერიუმი?

ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერი თარგმანის ენა დედნის ენაზე - როგორც მის ლექსიკაზე, ისე გრამატიკაზე ახდენს გავლენას.

წინდებულთა თუ თანდებულთა სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება ენაში ახალი ნიშნის ჩამოყალიბება ახალი აზრობრივი ნიუანსის გამოსახატად. განსაკუთრებით კი საინტერესოა თარგმანის პროცესში ისეთ ერთეულთა გადმოტანა, რომელიც თავად დედანში სხვა ენის გავლენის შედეგადაა წარმოქმნილი, მისი ენის ბუნებას არ შეესაბამება და ასევე უცხოა თარგმანისთვისაც. სწორედ ამიტომ, ჩვენი ყურადღება ბერძნულ წინდებულთა გადმოტანის საშუალებებმა მიიპყრო ბიბლიის ქართულ და სომხურ თარგმანებში.⁵

⁵ ტერმინ თანდებულს ვიყენებთ ა. შანიძის განსაზღვრებით, როგორც საერთო სახელს

მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული და ძველი სომხური თარგმანების ურთიერთმიმართება ბერძნული წინდებულების გადმოტანის შუქზე

ქართული და სომხური ენები სისტემურ დონეზე განსხვავდება როგორც თანდებულთა რაოდენობით, ასევე მათი ფუნქციებით (Thomson: 1989) და ბერძნულ თანდებულთა გადმოტანისას ისეთ განსხვავებებს აჩვენებს, რაც წარმომავლობის კვლევის კუთხით სანდო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა – გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა:

1. ქართულში წარმოდგენილია თანდებული, სომხურში – არა;
2. სომხურს სრულიად აკლია თანდებულიანი სიტყვა;
3. სომხურსა და ქართულში წარმოდგენილია განსხვავებული შინაარსის ეკვივალენტები.

სანამ კონკრეტულად თითოეული ჯგუფის განხილვას შევუდგებოდეთ, მნიშვნელოვანია, ზოგადად ვიცნობდეთ ძველ ბერძნულ წინდებულთა თავისებურებები. ამიტომ, ამ კუთხით ჯერ მოკლედ მიმოვიხილავთ ბერძნული ტექსტის ვითარებას:

ძველი ბერძნული წინდებულები თავისი ბუნებით, ისევე როგორც ენათა უმეტესობაში, პოლისემიურობით ხასიათდებიან – ერთ ბერძნულ წინდებულ წინდებულ წინდებულს შესაძლოა, რამდენიმე განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავდეს. ზოგადად, ბერძნულ წინდებულთა დახასიათებისას განარჩევენ წინდებულის ამოსავალ და მეორეულ მნიშვნელობებს (Bortone: 2010).

როგორც ცნობილია, სეპტუაგინტას ბერძნული რიგი ენობრივი თავისებურებებით ხასიათდება. რადგან, როგორც თარგმანის ენა, ის თავის მხრივ განიცდის ებრაულის, ანუ სათარგმნი ენის გავლენას და ბევრ ასპექტში განსხვავდება კლასიკური ბერძნულისგან, მათ

წინდებულისა და უკუდებულისთვის (შანიძე, 1980:598).

შორის წინდებულთა ხმარების კუთხითაც. ამის კარგი მაგალითია, თუნდაც ე.წ. კერძოწინდებულების⁶ არსებობა:

LXX Hos. 13:14 ἄδη παράκλησις κέκρυπται ἀπὸ ὀφθαλμῶν μου

OJ 13:14 ნუ გეშინის-ცემა დაფარულ არს თუალთაგან ჩემთა.

SB 13:14 ნუგეშინის-ცემა დაფარულ არს თუალთაგან ჩემთა.

LXX Nah. 1:5 καὶ ἀνεστέλη ἡ γῆ ἀπὸ προσώπου αὐτοῦ

OJ შეიპყრა ქუეყანად ყოველი პირისაგან მისისა

GSB კდემულ-იქმნა ქუეყანად პირისაგან მისისა

ამდენად, როგორც ვხედავთ, ქართველ და სომეხ მთარგმნელს არაერთი ნიუანსი უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ თარგმანში ზუსტად აესახათ ბერძნულ წინდებულთა სემანტიკა. ამიტომ, სწორედ ამოცანის სირთულე დამატებით მოწმობს კრიტიერიუმის სანდოობას.

ქართულში წარმოდგენილია თანდებული, სომხურში – არა

⁶ ტერმინი „კერძოწინდებული“ შემოვიღეთ semipreposition-ის ეკვივალენტად, რომელიც შემოღებულია ბროკელმანისა (Brockelmann 1913:383) და სოლამოს (Sollamo 1979: 1) მიერ ებრაულში ისეთი ჯგუფის წინდებულთა აღსანიშნად, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილია ძველი, ახალი ან კომპოზიტური წინდებული ხოლო მეორე კომპონენტი, ძირითადად, განეკუთვნება ანთროპომორფულ, ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელ, სომატურ ლექსიკას (გიორგაძე 2023: 196).

ზოგადად მიიჩნევა, რომ ქართულში თანდებულთა სისტემის ჩამოყალიბებასა და მის განვითარებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ბერძნული ენიდან შესაბამისი ლიტერატურის თარგმნამ (Mirotdze: 2009).

ძველ ქართულს, ისევე როგორც ძველ სომხურსა და თავის დროზე ძველ ბერძნულს, თანდებულებამდე უკვე ჰქონდათ თანდებულების სემანტიკის გამომხატველი საშუალება ბრუნვათა სახით (იმნაიშვილი: 1957; შილაკაძე: 1975; Bortone: 2010), მაგალითად მიმართულების, მიწვევითობის, ინსტრუმენტალისის გამოსახატად ძველ ქართულში ძალიან აქტიურ როლს თამაშობდნენ ე.წ. ირიბი ბრუნვები: მიცემითი, ნათესაობითი, ვითარებითი და მოქმედებითი:

- წარვიდა იგი კაცისა
- მოიკლა იგი მახვლითა
- ჩორდ წარგცე შენ
- განვიდა იგი ქალაქით

იგივე შეიძლება ითქვას სომხურზეც. ამიტომ, განსაკუთრებით ღირებულია ისეთი კონტექსტები, რომლებშიც ქართულისთვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა ბრუნვის გამოყენება, თუმცა თარგმანში გვაქვს თანდებული, ბერძნულშიც წარმოდგენილია თანდებული, ხოლო სომხურში არა.

სწორედ ასეთი შემთხვევებია ხელჩასაჭიდი იმის სათქმელად, რომ ქართულს უპირობოდ ბერძნული დედანი უდევს.

ღვ

ძველი ბერძნული წინდებული ღვ-ის პირველადი, ამოსავალი მნიშვნელობა ლოკატივის ჩვენებაა. გარდა ლოკატივის გამოხატვისა, ასევე გამოხატავს ინსტრუმენტალისს ან აგენსურობას (Johansson 1925: 324-336).

Mic. 5:6 και ποιμανοῖσιν τὸν Ἀσσοῦρ ἐν ῥομφαίᾳ

Եւ ^[58] հովուեսցեն զԱսորեստանէսյն`` սրով

როგორც ჩანს, ორივეს კონტექსტი სხვადასხვანაირად ესმის. ქართველისთვის შინა აქ ჩვეულებრივ ლოკატივის გაგებას ტოვებს, რომ მოვიყვანოთ სრული კონტექსტი: *„აღვედით მთად და მოკაფეთ ძელი და აღაშენეთ სახლი ჩემი და სათნო ვიყო მას შინა – შესაბამისად, ქართველმა შინა დაუკავშირა სახლს, სომხურისთვის კი ბერძნული ზნე ამ კონტექსტში უფრო მიზეზშედეგობრივ ნუანსს ატარებს, ანუ დაგვამყოფილდე ამის გამო, ამისთვის, ამით.*

ἐπί

ἐπί-ც, ისევე როგორც წინდებული ἐν, პოლისემიურია და გვაქვს ისეთი კონტექსტები, როცა ის არ გამოხატავს წმინდა ლოკალურ გაგებას, არ მიუთითებს ადგილზე. (Muraoka 1993: 87).

მაგალითისთვის მოვიყვანოთ Joel 3:4, როცა ქართულში წარმოდგენილია თანდებულიანი სიტყვა, ხოლო სომხურში გვაქვს უთანდებულო ვარიანტი:

Joel 3:4 ἢ μνησικαχεῖτε ὑμεῖς ἐπ' ἔμῳ

3:4 ^[31]կամ n'խսս պահիցէք`` ինձ (ანუ რას ცუდად დამიმახსოვრებ მე)

O L-l L-p 3:4 ანუ ძვრსა (რას L-l L-p) იკსენებთ თქვენ ჩემ ზედა

G S ანუ ძვრს-ჰმოკსენებთ თქვენ ჩემდა

სომხური იხნა მიცემით ბრუნვაში დგას. ზოგადად, კონტექსტში ქართულისთვისაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა ბრუნვის ხმარება, თუმცა ეს კვლავ უსვამს ხაზს, რომ სომეხისა და ქართველი პირველმთარგმნელის მთარგმნელობითი მიდგომა განსხვავდება. სომეხი სემანტიკურ ეკვივალენტს ანიჭებს უპირატესობას, მაშინ როცა ქართველი ფორმალურს უსადაგებს.

περι

განვიხილოთ კიდევ ერთი შემთხვევა Joel 1:3-ში, როცა მეტყველების სემანტიკის ზმნასთან გვხვდება წინდებული *περι*⁷.

Joel 1³ *ἄπερ ἀπὸ τῶν τοῖς τέχνῃς ἰμῶν διηγήσασθε, ἄπερ* *περι* *12–36 Cyr.F Th.*

Joel 1³ *Ἄπιστῆτε ἄπιστοι ἠκούετε ἄκουοι* (უთხრობდეთ ამას შვილთა თქუენტა)

J 1:3 *მ[...]*ს *[...]*თა თქუენტა უ[.....]თ

O L-p 1:3 მათთვის შვილთა თქუენტა უთხრობდით

S 1:3 მათ ძლით შჯლთა თქუენტა უთხრობდით

აღნიშნულ კონტექსტში სომხური ფრაზის მნიშვნელობაა: *უთხარით ეს შვილთა თქუენტა*. ქართულისთვისაც, აღნიშნულ კონტექსტში უფრო ბუნებრივი იქნებოდა ბრუნვის გამოყენება, მაგრამ კვლავ ის ფაქტი, რომ ქართულში ქართულისთვის არაბუნებრივი კონსტრუქცია გვაქვს, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ მთარგმნელი ბერძნულ დედანს მიყვება.

სომხურში წარმოდგენილია განსხვავებული შინაარსის ეკვივალენტი

ის ფაქტი, რომ სომხურში ქართულისგან განსხვავებით სხვა შინაარსის ეკვივალენტი დასტურდება, ორ რაღაცაზე შეიძლება მეტყველებდეს:

1. სომხურის დედანი და ქართულის დედანი სხვაობს;
2. სომეხი მთარგმნელის მეთოდი განსხვავდება ქართველი მთარგმნელისგან.

ის მაგალითები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ ღირებულია იმ თვალსაზრისით, რომ სომხურსა და ქართულ ტექსტს შორის სხვაობა ბერძნულით იხსნება, ბერძნული და ქართული შინაარსობრივად ერთად დგას, მაშინ როცა სომხური განსხვავდება.

განვიხილოთ რამდენიმე ასეთი მაგალითი:

⁷ ზოგადად, *περι* და *ἄπερ* ერთმანეთს ბერძნულ წყაროებში ხშირად ენაცვლება გარკვეულ კონტექსტებში (Johanneson 1925: 216), თუმცა ქართული *თვს περι*-ს ეკვივალენტი.

ǎveu

ბერძნული წინდებული **ǎveu** მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში მხოლოდ Amos 3:5-ში გვხვდება, თუმცა კონტექსტში ორჯერაა წარმოდგენილი, ერთ შემთხვევაში – სახელთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – არტიკლიან ინფინიტივთან. თუმცა ამისდა მიუხედავად, მაინც საინტერესო სურათს გვაძლევს ქართულ და სომხურ თარგმანთა მიმართების თვალსაზრისით.

აღნიშნულ კონტექსტში ძველ ქართულ თარგმანსა და მის რეცენზიებში ბერძნულ წინდებულს შეესატყვისება წინდებული **თვნიერ**, რომელიც ბერძნული წინდებულის მსგავსად, სახელს მართავს ნათესაობითში, ხოლო სომხურში განსხვავებული ვითარება გვაქვს, **ǎveu** პირველად თარგმნილია առանց (= *ქართულ თვინიერს*), ხოლო მეორე შემთხვევაში კი გვაქვს եւ ոչ ինչ իցէ ըմբռնեալ (და არაფერი იქმნეს შეპყრობილი):

:דוֹבֵּי אֶל דוֹבֵּי הַמְּדֻאָה־וּמַ חֶפְ-הַלְעָיָה הֲלֵ יוֹצֵא שְׂקִוּוֹ פְּרָאָהּ חֶפְ-לֵעַ רֹפֵץ לִפְתֵּהּ ^{WTT} Amos 3:5

(Amos 3:5 WTT)

LXX 3:5 εἰ πεσειται ὄρνειον ἐπὶ τῆς γῆς ἄνευ ἰξυστοῦ εἰ σχασθήσεται παγὶς ἐπὶ τῆς γῆς ἄνευ τοῦ συναβεῖν τι

Arm3:5 եթէ անկանիցի՞ թռչուն ^[35]ի յերկիր **առանց որսորդի**. եթէ նայթիցէ՞ որոգայթ ի վերայ երկրի՞ եւ ոչ ինչ իցէ ըմբռնեալ:

J 3:5 გინათუ დავარდის მფრინველი ქუეყანასა **თვნიერ მემახურისა** გინა თუ დაერწყუმის მახც ქუეყანასა **თუნიერ შეპყრობისა** რაღსმე :

O 3:5 გინათუ დავარდეს მფრინველი **თვნიერ მახჯლისა** ქუეყანასა ზედა გინათუ დაერწყუმის მახც **თვნიერ შეპყრობისა** რაღსმე ქუეყანასა :

S 3:5 უკეთუ დავარდეს მფრინველი ქუეყანასა ზედა **თვნიერ მემახურისა** უკეთუ დაერწყუას მახე ქუეყანასა ზედა **თვნიერ შეპყრობისა** რაღსამე

S-417 (104v) ანუ დაეცეს მფრინველი ქუეყანასა ზედა **თვნიერ მონადირისა**; ანუ დაერწყოსა მახე ქუეყანასა ზედა **თვნიერ** რაღსამე **შეპყრობისა**;

M3 (163ra) ანუ დაეცეს მფრინველი ქუეყანასა ზედა **თვნიერ მონადირისა**; ანუ დაერწყოსა მახე ქუეყანასა ზედა **თვნიერ** რაღსამე **შეპყრობისა**;

როგორც ვხედავთ, სომხურის ორივე ეკვივალენტი სტრუქტურულად და ლექსიკურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც სომეხი მთარგმნელის განსხვავებულ მთარგმნელობით მიდგომას უსვამს ხაზს. ის ფორმალურ ეკვივალენტს უპირატესობას ანიჭებს ექსპლიციტურობას, რათა შეინარჩუნოს წინა ორი მუხლის (ამოსი 3:3; 3:4) სტილი და სტრუქტურა:

LXX 3:3 *εἰ πορεύσονται δὺς ἐπὶ τὸ αὐτὸ καθόλου ἔδν μὴ γωαρῖσασιν ἑαυτοὺς*

Arm 3:3 *მ-ქ განაყენ-ნ ანნნნქნ երկու ի միասին, թէ ոչ ճանաչիցեն զմիմեանս:*

J 3:3 ოკუუეთუ ვიდოდინ ორნი ერთად · ყოვლადვე · უკუეთუ არა იცნოდინ თავნი თვსნი

O 3:3 ოკუუეთუ ვიდოდინ (384va) ორნი ერთად ყოვლადვე: უკუეთუ არა იცნოდინ თავნი თვსნი:

S 3:3 უკეთუ ვიდოდინ ორნი თქუენნი ერთბამად ყოვლითურთ. არა თუ აცნობდენ თავთა თვსთა

S-417 104v უკუეთუ ვიდოდინა რადთურთ ორნი ერთად. არ' მცნობნი თავთა თვსთანი

M3 163ra უკუეთუ ვიდოდინა რადთურთ ორნი ერთად არ მცნობნი თავთა თვსთანი:

LXX 3:4 *εἰ ἐρεύξεται λέων ἐκ τοῦ δρυμοῦ αὐτοῦ θήραν οὐκ ἔχων εἰ δώσει σκύμνος φωνήν αὐτοῦ ἐκ τῆς μάσθρας αὐτοῦ καθόλου ἔδν μὴ ἀρπάσῃ τι*

Arm3:4 *Եթէ գոչիցէ՞ առեւծ ^[34]յանտառէ, եւ ոչ իցէ որս արարեալ նորա`՝. եթէ տայցէ՞ կորիւն առիւծու զձայն իւր ի մայրույ իւրմէ, եւ ոչ ինչ իցէ յափշտակեալ նորա:*

J 3:4 უკუეთუ იზახის ლომმან მაღნარით გამო მისით რომელსა ნადირი არა · აქუნ · უკუეთუ მოსცის ლეკუმან ლომისამან ჳმად თჳსი · ბუდით გამო მისით ყოვლაღვე: **უკუეთუ რამე იტაცოს არა ·**

O 3:4 უკუეთუ იზახოს ლომმან მაღნარით გამო მისით რომელსა ნადირი არა აქუნ ოკუეთუ მოსცის ლეკუმან ლომისამან ჳმად თჳსი ბუდით გამო თჳსით ყოვლაღვე **უკუეთუ იტაცოს რამე არა**

S 3:4 უკეთუ იზახოს ლომმან მაღნარით მისით ნადირისა არ მქონებელმან. უკეთუ მოსცეს ლეკუმან მისმან ჳმად ბაკისაგან თჳსისა ყოვლითურთ **არათუ იტაცოს რამე**

S-417 (104v) უკუეთუ იბრდღჳნნესა ლომმან შამბით თჳსით. ნადირისა არ' მქონმან, : უკუეთუ სცესა ლეკუმან ჳმად თჳსი ბაკით თჳსით რად თურთ · **არა თუ რად აღიტაცოს :**

M3 163ra უკუეთუ (err) იბრდღჳნნესა ლომმან შამბით თჳსით. ნადირისა არ მქონმან :, უკუეთუ სცესა ლეკუმან ჳმად თჳსი ბაკით: თჳსით რად თურთ · **არა თურად აღიტაცოს :**

ეს მიუთითებს იმაზე, რომ სომხური ტექსტი პრიორიტეტს ანიჭებს საკუთარი, უკვე ჩამოყალიბებული სტილის შენარჩუნებას, მაშინაც კი, როდესაც ეს იწვევს ბერძნულთან შეუსაბამობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კონტექსტში სომეხი მთარგმნელი უფრო მეტად ცდილობს შიდა სტილისტური თანმიმდევრულობის დაცვას, ვიდრე თითოეული შემთხვევისთვის ბერძნულ დედანზე დაფუძნებული რეგულარული ეკვივალენტის განსაზღვრას.

ბარ

ბარ-ის რეგულარული ეკვივალენტი სომხურში არის **փոխանակ** (ნაცვლად), ქართულში კი **წილ**. თუმცა გვაქვს ისეთი კონტექსტები, როცა სომხურში ეკვივალენტები იცვლება და ქართულში არა:

BGT Amos 8:6 τοῖ κτῆσθαι ἐν ἀργυρίῳ πτωχοὺς καὶ **ταπεινὸν ἀντὶ ὑποδημάτων**

Arm 8:6 ստանալ արծաթով գաղթաստ, եւ գտնանსս **ի գնոց կօշկաց**,

O J 8:6 რადთა მოვიყიდნეთ დავრდომილნი ვეცხლითა . და გლახაკნი . ფერვთ შესასხმელთა
წილ

S 8:6 მოსყიდად გლახაკნი ვეცხლითა . და დავრდომილნი ფერვთ შესასხმელთა წილ

ი գნოց აღნიშნავს *საფასურის სანაცვლოდ (ფასად)*. ქართულში ლექსემა *ფასი* საერთოდ არ ფიგურირებს, შესაბამისად, ქართულში არსებული ეკვივალენტი მხოლოდ ბერძნული დედნით აიხსნება.

სომხურში სრულად აკლია თანდებულიანი სიტყვა

გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა სომხურ თარგმანში, ქართულისგან განსხვავებით, სრულიად არაა წარმოდგენილი თანდებულიანი სიტყვა, შესაბამისად სომეხი მთარგმნელი აღნიშნულ კონტექსტებში, დიდი ალბათობით, სხვა დედანს მიყვება. ჯერ მოვიყვანთ ისეთ მაგალითს, სადაც განსხვავებული დედნის არსებობა ბერძნული აპარატიტაც გვიდასტურდება:

Jon 2:8 ἐν τῷ ἐκλείπειν ἄπ' ἔμοῖ⁸ τῆς ψυχῆς

2:8 ი նուսաղել հոգւոյ իմոյ (ძალის გამოცლასა\დასუსტებასა სულისა ჩემისა)

O J L^k Ivir. 35 A 192 Jer 59 A 38 Sin 42 L^{sin 37} L¹ L^p Jer 133 Jer 161 Q-37 K-29 2:8 მოკლებასა ჩემგან
სულისა ჩემისასა

S 2:8 მოკლებასა შინა ჩემგან სულისა ჩემისასა

⁸ ἄπ' ἔμοῖ/ τῆς ψυχῆς μου W 956] tr. A-Q*-198-233-407-534-544
C-91 LaC Syh Cyr.; om. ἄπ' ἔμοῖ 26 Arab Arm

გვაქვს ისეთი კონტექსტებიც, სადაც სომხურში აკლია შესაბამისი თანდებულებიანი სიტყვა, თუმცა ბერძნული აპარატი არ გვიდასტურებს ალტერნატიულ იკითხვის, რაც დიდი ალბათობით უნდა ჰქონოდა სომხურს:

Hagg. 1:11 και ἐπάξω ῥομφαίαν ἐπὶ τὴν γῆν και **ἐπὶ τὰ ὄρη** και ἐπὶ τὸν σῆτον και ἐπὶ τὸν οἶνον και ἐπὶ τὸ ἔλαιον και ὅσα ἐκφέρει ἡ γῆ και ἐπὶ τοὺς ἀνθρώπους και ἐπὶ τὰ κτήνη και ἐπὶ πάντας τοὺς πόνους τῶν χειρῶν αὐτῶν

Arm1:11 Եւ ածից ^[6]սուր ի վերայ երկրի`, եւ ի վերայ ցորենոյ եւ ի վերայ գինւոյ եւ ի վերայ իւղոյ, եւ ի վերայ ամենայն բուսոյ երկրի եւ ի վերայ մարդկան եւ ի վերայ անասնոյ, եւ ի վերայ ամենայն վաստակոց ձեռաց:

J 1:11 და მოვჰკადო მახვლი ქუეყანასა ზედა . და **მთათა ზედა** და იფქლსა და ღვნოსა . და ზეთსა და რაოდენი რად გამოაქუს ქუეყანასა: და კაცთა ზედა და საცხოვართა . და ყოველსა ზედა ნაშრომსა ჯელთა მათთასა:

O 1:11 და მოვავლინო მახვლი ქუეყანასა ზედა და **მთათა ზედა** და იფქლსა და ღვნოსა და ზეთსა და რაოდენი რად გამოაქუს (411va)ქუეყანასა და კაცთა ზედა და საცხოვართა და ყოველსა ზედა ნაშრომსა ჯელთა თქუენტასა .:

L^P 1:11 (312ra) და მოვავლინო მახვლი ქუეყანასა ზედა. **მთასა ზედა** იფქლსა. ღვნოსა და ზეთსა. და რაოდენი რად გამოაქუს ქუეყანასა კაცთა ნაშრომსა ზედა ჯელთა მათთასა:

L¹ 1:11 და მოვავლინო მახვლი ქოვეყანასა ზედა და **მთათა ზედა** იფქლსა და ღოვინოსა და ზეთსა და რაოდენი რად გამოაქოვნდეს ქოვეყანასა და კაცთა ზედა ნაშრომსა ჯელთა მათთასა:

S 1:11 და მოვხადო მახვლი ქუეყანასა ზედა და **მთათა ზედა** . და იფქლსა ზედა და ღვნოსა ზედა . და ზეთსა ზედა . და რაოდენსა გამოიღებს ქუეყანად . და კაცთა ზედა და საცხოვართა ზედა და ყოველთა ზედა ტკივილთა ჯელთა მათთასა

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ მაგალითში სომხურს აკლია **მთათა ზედა**, სომხური *ქუეყანასა ზედა-ს* შემდგომ პირდაპირ აგრძელებს: *იფელსა ზედა და ღვინოსა ზედა*.

განხილული შემთხვევები ნათლად გვიჩვენებს იმ სხვაობებს, რაც სომხურ და ქართულ თარგმანს შორის ფიქსირდება და ნათლად წარმოაჩენს თუ რამდენად მნიშვნელოვანია თანდებულთა გადმოტანის კვლევა არა მხოლოდ თარგმანის სპეციფიკის, ტექნიკისა და ენის განვითარების თვალსაზრისით, არამედ თარგმანის წარმომავლობის კვლევის კუთხითაც.

ბერძნული კერძოწინდებულთა ქართული და სომხური ეკვივალენტები

თავად ტერმინი *semipreposition*, რომელიც ჩვენ გადმოგვაქვს როგორც „კერძოწინდებული“, შემოდებულია ბროკელმანისა (Brockelmann 1913:383) და სოლამოს (Sollamo 1979: 1) მიერ ებრაულ წინდებულთა ისეთი ჯგუფის აღსანიშნად, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილია ძველი ან ახალი წინდებული ან კომპოზიტური წინდებულები (მაგალითად, ძველი წინდებულებია: \aleph (-ში), \beth (-ზე), ახალი წინდებულებია - \aleph (წინაშე), \beth (წინაშე), კომპოზიტური წინდებულები კი - $\aleph\aleph$ (წინაშე), ხოლო მეორე კომპონენტი, ძირითადად, განეკუთვნება ანთროპომორფულ, ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელ, სომატურ ლექსიკას ($\aleph\aleph$ (პირი)) (Sollamo 1979:1). შესაბამისად, ებრაულში კერძოწინდებული წინდებულისა და სახელის კომბინაციაა, რომელიც წინადადებაში ფუნქციონირებს როგორც ერთი მთლიანობა, ერთი წინდებული. ამდენად, ტერმინი *semipreposition* შემუშავებულია მისი ფუნქციისა და შედგენილობის გათვალისწინებით.

ბერძნულში ებრაული კერძოწინდებულის ეკვივალენტია კომპოზიტური წინდებული, როგორიცაა: $\kappa\alpha\tau\acute{\epsilon}\nu\alpha\nu\tau\iota$, $\acute{\epsilon}\nu\acute{\alpha}\pi\iota\omicron\nu$, ან წინდებული+სომატური სახელი (მაგ.: $\acute{\alpha}\pi\theta$ $\beta\acute{\alpha}\rho\mu\alpha\lambda\mu\acute{\alpha}\nu$) - ან თუნდაც შედგენილი წინდებული - $\acute{\epsilon}\nu$ $\mu\acute{\epsilon}\sigma\phi$. ზოგი მათგანი (მაგ.: $\acute{\epsilon}\nu\acute{\alpha}\pi\iota\omicron\nu$) კარგადაა ცნობილი კლასიკური ბერძნული ტექსტებისთვისაც, ზოგი კი ებრაულის გავლენის შედეგადაა წარმოქმნილი (მაგ.: $\acute{\alpha}\pi\theta$ $\pi\rho\iota\sigma\acute{\omega}\pi\iota\omicron\varsigma$).⁹

ერთი შეხედვით, ფორმობრივი თვალსაზრისით, არც ქართველ და არც სომეხ მთარგმნელს არ უნდა გასჭირვებოდა აღნიშნული შესიტყვებების გადმოტანა, რადგან ძველ ქართულშიც ვხვდებით კომპოზიტურ თანდებულებსა თუ წინდებულებს, როგორებიცაა: *წინაშე, ქუეშე, გარშემო, შუაში* - რომლებიც თანამედროვე ქართულშიც პროდუქტიულია.

⁹ იხ. ქვემოთ და ასევე, Sollamo R. (1979), *Renderings of Hebrew Semiprepositions in the Septuagint*, Helsinki: Suomalainen Tiedekatemia.

ისევე, როგორც ძველ სომხურში ვხვდებით შედგენილ წინდებულებს, როგორებიცაა: *ի վկայս* (ზედა), *ი մէջ* (შუაში), *ընդ մէջ* (შორის). მაგრამ, მთავარი სირთულე კერძოწინდებულების ფორმალურ გადმოტანაში არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ კერძოწინდებულების შემადგენელი სომატური სახელი, რიგ შემთხვევებში პლეონასტურ წევრს წარმოადგენს კონტექსტში, მაგალითად, Amos 9:4 *πορευθῶσιν πρὸ πρῶσῶπαι τῶν ἐχθρῶν* (წავიდნენ წინაშე პირსა მტერთა) მნიშვნელობით იგივეა, რაც *πορευθῶσιν πρὸς ἐχθρῶν* (წავიდნენ მტერთან). ასე რომ, ამ პლეონასტური კონსტრუქციების გადმოტანა მთარგმნელობითი მეთოდის კარგი მახასიათებელია.

ძველ ბერძნულ კერძოწინდებულთა გადმოტანა ამჯერად მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული და ძველი სომხური თარგმანების მიხედვით განვიზრახეთ; რაც მოგვცემს ქართველი და სომეხი მთარგმნელის მთარგმნელობითი მეთოდის შედარების საშუალებას. ასევე, რადგანაც ასფალგს ძველი ქართული მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების თარგმანი სომხურიდან მომდინარედ მიაჩნია¹⁰, ამიტომ, საკვლევი საკითხი საშუალებას მოგვცემს ძველი ქართული თარგმანის სომხურიდან მომდინარეობის საკითხის კვლევასაც.

ძველი ქართული თარგმანებიდან ამ ეტაპზე ყურადღებას გავამახვილებთ იმ ოშკური ტიპის თარგმანებზე, რომლებიც დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: Athos 1-ში (978-979 წწ.) და Jer 11/73-ში (XI ს.). ასევე, გელათურ რეცენზიებზე, შემონახულს - A 1108-სა (XII-XIII ს.ს), და A 51-ში¹¹ (XVII-XVIII ს.ს.). ორივე მთარგმნელობითი ტრადიციის ურთიერთშედარება წარმოაჩენს მათ შორის თარგმანის ტექნიკის მსგავსებასა თუ განსხვავებას.

კვლევის ამ ეტაპზე განვიხილავთ მხოლოდ ისეთი ბერძნული წინდებულებისა თუ კერძოწინდებულების გადმოტანას, რომლებიც ბერძნულში ერთი და იმავე ებრაული

¹⁰ Aßfalg J. 1959, *Altrgische Übersetzungen der Propheten Amos, Michaeas, Jonas, Sophonias und Zacharias*, herausgegeben und untersucht von, München, , 3. Teil, S. 411-425.

¹¹ როგორც ცნობილია, საბას ბიბლიაში დაცული წინასწარმეტყველთა ტექსტი გელათურს მისდევს (დანელია 1985: 4-5), ამიტომ როცა გელათური ნუსხა ნაკლულია, საბას ვეყრდნობით.

კერძოწინდებულების ეკვივალენტად გვევლინებიან, კონკრეტულ კონტექსტებში სინონიმებს წარმოადგენენ.¹²

ἐνᾶπιον

ἐνᾶπιον წარმოშობით ზედსართავი სახელის, ἐνᾶπιος-ის აკუზატივია. პირველი კომპონენტი ძველი ბერძნული წინდებული ἐν (-ში)-ია, ხოლო მეორე მომდინარეობს სახელისგან ᾄψ (თვალი) (Frisk 1960: 526; Chantraine 1999: 352; Beekes- Beek 2010: 432).¹³

ἐνᾶπιον, სეპტუაგინტას ბერძნულში უკვე არ აღიქმება ცალ-ცალკე ოდენობად (როგორც წინდებული ἐν და სახელი ᾄψ), არამედ ბერძენისთვის ის ერთიანად ფუნქციონირებს, როგორც წინდებული (ἐνᾶπιον=წინაშე). სოლამოს შეხედულებით, ის ერთ-ერთი ყველაზე ლიტერალური თარგმანია კონკრეტული ებრაული კერძოწინდებულებისა, შედარებით ისეთ შესიტყვებებთან როგორცაა, მაგ.: πρὸ πρῶσπαιου, რომელსაც იგი მონურ თარგმანად მიიჩნევს (Sollamo 1979: 30).

როგორც ჩანს, ისეთ მაგალითებში, რომლებშიც ბერძენი უპირატესობას ἐνᾶπιον-ს ანიჭებს, ებრაული კერძოწინდებულების, რომლებიც წინდებულისა და სომატური სახელის კომბინაციაა, სახელური ნაწილი პლეონასტურია, მაგალითად: ἰψῦ-ის გადმოსატანად, რომელიც შედგება: 1. წინდებული ἦ (-კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში) და 2. სახელი ἰψῦ (სახე), ბერძენი იყენებს როგორც ἐνᾶπιον (წინაშე)-ს, ასევე πρὸ πρῶσπαιου (წინაშე პირსა)-ს. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში ბერძენი მთარგმნელიც უპირატესობას არა ფორმალურ, არამედ ფუნქციურ თარგმანს ანიჭებს.

¹² მაგალითად, ἐνᾶπιον, πρὸ πρῶσπαιου, ἄπὸ/ ἐκ πρῶσπαιου, εἰς πρῶσπαιον ყველა გამოყენებულია ἰψῦ-ის შესატყვისად, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება: 1. წინდებული ἦ (-კენ, -თვის, შესაბამისად/ თანახმად, -ში) და 2. სახელი ἰψῦ (სახე) (Sollamo 1979: 18-19). დაწვრილებითი ანალიზი იხილეთ სოლამოსთან (Sollamo 1979: 30, 80-84, 95, 98-99, 102, 107, 109, 114-116, 119-120, 122, 129, 194-196).

¹³ როგორც სოლამო (Sollamo 1979: 777) აღნიშნავს, იგი არაა ბიბლიური ბერძნულის კუთვნილება, მიუხედავად იმისა, რომ სეპტუაგინტაში ის ფართო დისტრიბუციისაა, ძირი ἐνᾶπι კარგად იყო ცნობილი ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოქაში. საყურადღებოა, რომ ის ხელნაწერები, რომლებშიც ἐνᾶπιონ დასტურდება უმეტესობა წარმოშობით ეგვიპტიდანაა. როგორც ჩანს, სიტყვა ეგვიპტურ კოინეს განეკუთვნებოდა, ხოლო ქრისტიანულმა ლიტერატურამ იგი სეპტუაგინტადან შეითვისა (Sollamo 1979: 777).

ἑνώπιον სეკტუაგინტაში სახელს მართავს გენეტიკში და აღნიშნავს:

1. მოქმედების მიმდინარეობას ვილაცის წინაშე. მაგ.: Gen. 11:28 ἀπέθανεν Appan **ἑνώπιον** Θαρα (მოკვდა არამი თარას წინაშე, თანდასწრებით);
2. შეფასებას - ვილაცის თვალში, ვილაცის შეფასებით, ვილაცის აზრით (ებრაიზმი), მაგ.: Ps. 9:25 οὐκ ἔστιν ὁ θεὸς **ἑνώπιον** αὐτοῦ (არ არსებობს, არაფერია ღმერთი მათ თვალში (მათი შეხედულებით, აზრით)) (Muraoka 2009 : 243; Lust-Eynikel-Hauspie 2008 : 462).

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ἑνώπιον-ის ხმარების სულ 11 შემთხვევა გამოვლინდა სხვადასხვა შინაარსის (უმეტესად - ყოფნა, ასევე მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან), მოგვყავს ყველა მაგალითი:¹⁴

Hos. 6:2 Ζησίμεθα **ἑνώπιον** αὐτοῦ

6:2 სეგვიჲ ათაჲჲ სირა:

O 6:2 ვცხონდეთ წინაშე მისსა.

SB 6:2 ცოცხალ ვიყუნეთ წინაშე მისსა.

Hag. 2:14 οὐτὰρ τὸ ἔθνος τοῦτο **ἑνώπιον** ἐμοῦ

2:14 ადგა აჲს ათაჲჲ ჰმ

OJ 2:14 ესე ნათესავი - წინაშე ჩემსა

SB 2:14 ნათესავი ესე წინაშე ჩემსა

Mal. 2:17 καλὸν **ἑνώπιον** κυρίου

2:17 რარიჲჲ ზიჲჲ ათაჲჲ სეანი

OJ 2:17 იგი კეთილ არს წინაშე უფლისა¹⁵

SB 2:17 კეთილ წინაშე უფლისა

Zech. 11:12 εἰ καλὸν **ἑνώπιον** ἰμῶν

11:12 რჲ რარიჲჲ ზიჲჲ ჯაჲჲ ღჲრ

¹⁴ უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელობის მკაცრი განსაზღვრა ყოველთვის არ ხერხდება.

¹⁵ ე.ი. უფლის მოსაწონი.

OJSB 12:8 და იყოს მას დღესა შინა, შეწევნა-ყოს უფალმან დამკვდრებულთათვის იერუსალემისთა. და იყოს უძლური იგი მათ შორის მას დღესა შინა, ვითარცა დავით. და სახლი დავითისი, - ვითარცა სახლი ღმრთისა და ვითარცა ანგელოზი უფლისა და წინაშე მათსა.¹⁷

Zeph. 3:20 ἐν τῷ ἐπιστρέφειν με τὴν αἰχμαλασίαν ὑμῶν **ἐνώπιον** ὑμῶν

3:20 ἢ ἡσυχασάντες ἡνὶ ὀφθαλμοῦ αὐτοῦ **αὐτῶν** ἄνθρωποι

OJ 3:20 ოდეს მოვაქციო მე წინაშე თქვენსა ტყუფ თქუენი

GSB 3:20 მოქცევასა ჩემგან ტყუფობისა თქუფნისასა წინაშე თქუფნისა -

Hos. 2:12 ἀποκαλύψω τὴν ἀκαθαρσίαν αὐτῆς **ἐνώπιον** τῶν ἐραστῶν αὐτῆς

2:10 ἡσυχασάντες ἡνὶ ὀφθαλμοῦ αὐτοῦ **αὐτῶν** ἄνθρωποι

OJ 2:12 გამოვაცხადო არაწმიდება მისი წინაშე ტრფიალთა მისთა

SB 2:12 განვაცხადო სიცოფე მისი წინაშე ტრფიალთა მისთა

Mal. 3:16 ἔγραψεν βιβλίον μνημοσύνου **ἐνώπιον** αὐτοῦ

3:16 ἔγραψεν βιβλίον μνημοσύνου **αὐτοῦ** ἄνθρωποι

OJ 3:16 დაწერა წიგნი საკსენებელისა და წინაშე მისსა

SB 3:16 დაწერა წიგნი მოსაკსენებელისა და წინაშე მისსა

ქართულში ἐνώπιον-ის რეგულარული ეკვივალენტია წინაშე (ორივე ტრადიციაში). სომხურ თარგმანში კი იგი 10-ჯერ **αὐτῶν** (წინაშე)-თი გადმოდის და მხოლოდ ერთხელ **αὐτοῦ** (თვალეზში) (Zech. 11:12).

გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, ამ წინდებულს (წინაშეს) შეიძლება შეფასების მნიშვნელობაც ჰქონდეს: სოლამოს ვარაუდით (Sollamo 1979: 19-130), ამ კონტექსტში, ისევე

¹⁷ მურაოკა (2009: 243) ვარაუდობს, რომ, Zech. 8:6-სა და Hag. 2:3-ში ἐνώπιον-ის მნიშვნელობა ვიღაცის თვალეზში, ვიღაცის განსჯით, ვიღაცის შეფასებით, რასაც თვითონ ებრაიზმად განიხილავს და კონტექსტებს შემდეგნაირად თარგმნის: Zech. 8:6 virtually non-existent so far as you can see (აქამდე შეუძლებელი, როგორც ხედავთ); Hag 2.3; Ma 2.17 wise in their own judgement (ბრძენი მათი შეხედულებით). ხოლო Zech. 12:8-ის შესახებ არც სოლამო და არც მურაოკა არაფერს არ აღნიშნავენ.

როგორც Mal. 2:17-ში, ἔνσπιον უნდა გავიგოთ, როგორც შეფასება ვიღაცის მიერ, *ვიღაცის განსჯით, ვიღაცის თვალში*. ქართველი მთარგმნელისგან განსხვავებით, Zech. 11:12-ში სომეხი, სავარაუდოდ, ეკვივალენტს კონტექსტის გათვალისწინებით არჩევს და ამ, შეფასების მნიშვნელობას უფრო გამოკვეთს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სომხური յաչս (თვალეზში) ბერძნული ἔνσπιον (თვალში)-ის ეტიმოლოგიური შესატყვისია. ასევე შესაძლებელია, სომეხმა მთარგმნელმა იცის, რომ ἔν ὀφθαλμοῖς და ἔνσπιον სინონიმებია, რადგან სომეხს სხვა წიგნებში ἔν ὀφθαλμοῖς იმავე ეკვივალენტით გადმოაქვს (յաչս)¹⁸. ამრიგად, სომეხი და ქართველი მთარგმნელის მთარგმნელობითი მიდგომა მნიშვნელობების განსასხვავებლად ტიპოლოგიურად განსხვავებულია.¹⁹

Zech. 11:12-ის მაგალითი ღირებულია არა მხოლოდ თარგმანის ტექნიკის შეპირისპირებისთვის, არამედ ქართული დედნის დადგენისთვისაც: ქართულის დედანი სომხური რომ ყოფილიყო, ქართულში *წინაშე* ნაცვლად, *თუალოთ შინა* გვექნებოდა.²⁰

გარდა ἔνσπιον-ის ეკვივალენტთა ლექსიკური მნიშვნელობისა, საყურადღებოა, მათი მეშვეობით შექმნილი სინტაქსური კონსტრუქციებიც:

ცნობილია, რომ ქართული *წინაშე* სახელს მართავს როგორც მიცემითში, ასევე ნათესაობითში (მარტიროსოვი 1946: 245). კ. კეკელიძის დაკვირვებით, ძველ ქართულში მიცემითი გვაქვს მაშინ, როცა *წინაშე-სთან* შეწყობილი სახელი უსულოა, ხოლო ნათესაობითი - როცა სულიერი (კეკელიძე 1942: 283). ზემოთ აღნიშნული კონტექსტებიდან, ქართულში მხოლოდ ექვს მაგალითშია შესაძლებელი ბრუნვის ზუსტი განსაზღვრა,²¹ კერძოდ: ორ შემთხვევაში *წინაშე-სთან* შეწყობილი სახელი მიცემითში დგას (Zeph. 3:20 თქუენსა, Hag. 2:14 ჩემსა), ხოლო ოთხ შემთხვევაში (Hos. 6:2 მისსა, Mal. 3:16 მისსა, Mal. 2:17

¹⁸ მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში ἔν ὀφθαλμοῖς არ დასტურდება.

¹⁹ ქართველი ფორმალური ეკვივალენტის შენარჩუნებით ამ მნიშვნელობას *წინაშე* სძენს (ან ამ მნიშვნელობით უკვე არსებობს ენაში), როცა სომეხი ეკვივალენტის ცვლილებას ამჯობინებს.

²⁰ აღნიშნული ეკვივალენტი ძველი აღთქმის წიგნთა ქართულ თარგმანებში მხოლოდ ἔν ὀφθαλμοῖς-ის შესატყვისად გვხვდება. სომხურში, როგორც აღვნიშნეთ, აქაც ეკვივალენტია յաչս, როგორც Zech. 11:12-ში ἔնσπιონ-ის. იხ. ზევით.

²¹ ქართულში, ისევე როგორც სომხურში, თანდებულთან, შეწყობილი ბრუნვის განსაზღვრა რომელიც სახელს რამდენიმე ბრუნვაში მართავს, ყოველთვის არაა შესაძლებელი ბრუნვის განსაზღვრა. მაგ., ქართულში, იმ შემთხვევაში, როცა ქართულში, სახელი ე.წ. თანთან მრავლობითშია ან ნაცვალსახელი გაუფორმებელია ბრუნვაში, ხოლო სომხურში - როცა სახელი ნათესაობითში ან მიცემითშია, რომლებიც ერთმანეთს ფორმობრივად ემთხვევა.

წინაშე უფლისა, Zech. 8:6 წინაშე ნემტისა) - ნათესაობითში. მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილია მხოლოდ ნაცვალსახელები, ნათესაობითი კი გვხვდება როგორც ნაცვალსახელებთან, ასევე, არსებით სახელებთან, რაც ადასტურებს ზემოთ მოყვანილ კეკელიძის მოსაზრებას სულიერობა/უსულობის ფაქტორზე *წინაშესთან* ბრუნვის შერჩევას.

სომხურში კი წინდებული *սուս* სახელს მართავს მხოლოდ ნათესაობითში; ამიტომ, წარმოდგენილ მაგალითებში ყველა სახელი ნათესაობითში უნდა ვიგულისხმოთ.

როგორც ჩანს, წინდებულთან შეწყობილი სახელის ბრუნვა ქართულში არც ბერძნულსა და არც სომხურზეა დამოკიდებული.

საინტერესოა აგრეთვე, ეკვივალენტთა ადგილი მისამართ სიტყვასთან. ბერძნულში *ἐνώπιον* ყოველთვის პრეპოზიციამაა. ომკურ ტიპში 11-დან 8 შემთხვევაში *წინაშე* პრეპოზიციურადაა წარმოდგენილი, ბერძნულის შესაბამისად, ხოლო 3 შემთხვევაში - პოსტპოზიციურად, გელათურ ტიპში კი პოსტპოზიცია მხოლოდ Hag. 2:3 -ში, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართულისთვის ბუნებრივი უფრო პოსტპოზიციური წყობაა. სომხურში კი რიგის ცვლილება არცაა მოსალოდნელი, აქ გვაქვს პრეპოზიცია, რაც ისედაც დამახასიათებელია სომხურისთვის და ამ კუთხით ის არაა დამოკიდებული ბერძნულზე.

წინდებული+πρόσωπον

πρό προσώπου

πρό προσώπου მნიშვნელობით ყველაზე ახლოს დგას *ἐνώπιον*-თან. სახელური ნაწილი - *πρόσωπον*-იც წარმოშობით წინდებულისა და სახელის კომბინაციაა: წინდებული *πρό* (მიმართ, -კენ) და სახელი *ᾤψ* (თვალი) (Frisk 1960: 602-603).

კერძოწინდებული *πρό προσώπου* (*წინაშე პირისა*) ორიგინალურ ბერძნულ ლიტერატურაში არ გვხვდება, ამიტომ მას სოლამო ფრაზეოლოგიურ ებრაიზმად განიხილავს (Sollamo 1979: 30, 328), მაგ.: Exod. 23:20 *ἐγὼ ἀποστέλλω τὸν ἄγγελόν μου πρό προσώπου σου* (*მე ვგზავნი ანგელოზსა ჩემსა წინაშე პირისა შენისა* (ე.ი. *შენს მიმართ*))).

მცირე წინასწარმეტყველებში პროσώπου სულ 17-ჯერ გვხვდება:

Amos 9:4 πορευθῶσιν ἐν αἰχμαλασίᾳ **πρὸ προσώπου** τῶν ἐχθρῶν αὐτῶν

9:4 գնայցեն ի գերութիւն **առաջի** թշնամեաց իւրեանց

OJGSB 9:4 წარვიდენ ტყუედ (ტყულობად GSB) **წინაშე პირსა** მტერთა მათთასა

Mic. 2:13 **πρὸ προσώπου** αὐτῶν δέκοψαν... ἐξήλθεν ὁ βασιλεὺς αὐτῶν **πρὸ προσώπου** αὐτῶν

2:13 qh` **აռაჯი ზრეააგ** նոցա, իրամաստեցին եւ անցին ընդ դուռն, եւ ելին ընդ նա. ել եւ թագաւորն **առաջի ზრეააგ** նոցա

OJ 2:13 **წინაშე პირსა** მათსა განკუეთეს... განვიდა მეფე მათი **წინაშე პირსა** მათსა.

შდრ. GSB 2:13 **პირისა** მათისა განკუჭეთეს... განვიდა მეფე მათი **წინაშე პირსა** მათსა²²

Mic. 6:4 ἐξάπεστειλα **πρὸ προσώπου** σου τὸν Μωσῆν

6:4 առաքեցի **առաջի** քո զՄովսէս :

OJ 6:4 გამოვაავლინე **წინაშე პირსა** შენსა მოსე

SB 6:4 განვაავლინენ **წინაშე პირსა** შენსა მოსე

Joel 2:3 ἀναπτομένη φλόξ ὡς παράδεισος τρυφῆς ἢ γῆ **πρὸ προσώπου** αὐτοῦ

2:3 բորբոքեալ իբրև գորախտ [15]փափկութեան երկիրդ **առաջի** նորա

OJ 2:3 აღატყდეს ალი, ვითარცა სამოთხე საშუებლისად - ქუეყანად **წინაშე პირსა** მისსა.

შდრ. SB 2:3 აღმაგზებელი ალი, ვითარცა სამოთხე საშუებელისა - ქუეყანად **პირისაგან** მისისა²³

²² ფორმა *პირისა*, გადამწერის შეცდომა ჩანს. დაწვრილებით იხ. 27-ე სქოლიო.

²³ პროσώπου] απο πρ. C-68 ე.ი. ეკვივალენტის ცვლილება ბერძნულით იხსნება. აქაც არაა გამორიცხული, რომ კონტექსტიდან გამომდინარე იცვლებოდეს.

Joel 2:10 **πρὸ προσώπου** αὐτῶν συγχυθήσεται ἡ γῆ

2:10 **Յերեսաց** նոցա խոռվեսցի երկիր

OJ 2:10 **წინაშე პირსა** მისსა დაეჯშვას ქუეყანად

შდრ. GSB 2:10 **პირისაგან** მათისა შვირიოს ქუეყანად²⁴

Hab. 3:5 **πρὸ προσώπου** αὐτοῦ πορεύσεται λόγος

3:5 **Առաջի երեսաց** նորա գնացել բան

O 3:5 **წინაშე პირსა** მისსა ვიდოდის სიტყუად

GSB 3:5 **წინაშე პირსა** მისსა ვიდოდის სიტყუად

Mal. 3:14 ἐπορεύθημεν ἰκέται **πρὸ προσώπου** κυρίου παντοκράτορος

3:14 գնացաք պաղատանօք **առաջի** Տեառն ամենակալի:

OJ 3:14 ვიდოდეთ ვედრებით **წინაშე პირსა** უფლისა ყოვლისა მპყრობელისასა?

SB 3:14 ვიდოდეთ მრწემნი **წინაშე პირსა** უფლისა ყოვლისა მპყრობელისასა?

Joel 2:11 καὶ κύριος δώσει φωνὴν αὐτοῦ **πρὸ προσώπου** δυνάμεως αὐτοῦ

2:11 Եւ Տէր տացել զձայն իւր **առաջի երեսաց** զօրութեան իւրոյ.

OJGSB 2:11 და უფალმან მოსცეს ჳმად თვისი **წინაშე პირსა** ძლიერებისა(>GSB) მისისასა (მისსა GSB)

Zech. 14:20 καὶ ἔσονται οἱ λέβητες οἱ ἐν τῷ οἴκῳ κυρίου ὡς φιάλαι **πρὸ προσώπου** τοῦ θυσιαστηρίου

14:20 Եւ եղիցին սանք ի տան Տեառն` իբրև գտաշտս **առաջի** սեղանոյն:

OJ 14:20 და იყვნენ ავაზანნი სახლსა უფლისასა, ვითარცა ფიალნი **წინაშე** საკურთხეველსა.

შდრ. SB 14:20 და იყუნენ სიავნნი სახლსა შინა უფლისასა, ვითარცა ფიალი **წინაშე პირსა** მსხუჭრპლის-საცავისასა.

²⁴ იხ. მე-13 სქოლიო.

Zech. 4:7 τίς εἶ σὺ τὸ ὄρον τὸ μέγα **πρὸ προσώπου** Ζοροβαβελ
4:7 Ո՛վ ես դու, լեառն մեծ, կանգնեալ **առաջի** Զորաբաբելի
OJ4:7 ვინ ხარ შენ, მთად ეგე დიდი **წინაშე პირსა** ზორაზაბელისსა
SB 4:7 რად იყოს შენდა მთად დიდი **წინაშე პირსა** ზოროზაბელისსა

Zech. 3:3 ειστήκει **πρὸ προσώπου** τοῦ ἀγγέλου
3:3 կայր **առաջի** հրեշտակին
OJ 3:3 დადგა **წინაშე** ანგელოზისა
შდრ. SB 3:3 დადგა **წინაშე პირსა** ანგელოზისასა.

Zech. 3:1 ἐστῶτα **πρὸ προσώπου** ἀγγέλου κυρίου
3:1 կայր **առաջի** հրեշտակին Տեառն
OJ 3:1 მდგომარე **წინაშე** ანგელოზისა მის უფლისადასა
GSB 3:1 მდგომარე **წინაშე პირსა** ანგელოზისა უფლისასა

Zech. 3:4 καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπεν πρὸς τοὺς ἐστηκότας **πρὸ προσώπου** αὐτοῦ
3:4 Պատասխանի ետ եւ ասէ ցայնոսիկ որ կային **առաջի** նորա.
OJ 3:4 და მიუგო და ჰრქუა მდგომარეთა მის **წინაშე**
SB 3:4 და მიუგო და ჰრქუა მდგომარეთა მიმართ **წინაშე პირსა** მისსა

Zech. 3:8 οἱ καθήμενοι **πρὸ προσώπου** σου
3:8 որ նստինჲ **აռაჯი** ք
OJ 3:8 რომელნი სხენან **წინაშე პირსა** შენსა
SB 3:8 მსხდომარეთა **წინაშე პირსა** შენსა

Zech. 3:9 ὃν ἔδωκα **πρὸ προσώπου** Ἰησοῦ
3:9 ვոր ხთოი **აռაჯი** ერესაჲ მსუოაჲ
OJ 3:9 რომელი მოვეც **წინაშე პირსა** მისსა

SB 3:9 რომელი მიგეც წინაშე პირსა იისუდსსა

ოშკური ტიპის თარგმანში 17 შემთხვევიდან 13-ში კერძოწინდებულის ორივე კომპონენტი თარგმნილია (πρὸ πρῶσταις = წინაშე პირსა)²⁵, ხოლო მეორე ნაწილი (πρὸσταις) უთარგმნელადაა წარმოდგენილი მხოლოდ ოთხ შემთხვევაში (πρὸ πρῶσταις = წინაშე)²⁶. კერძოწინდებულის გამარტივებული ფორმით გადმოტანისას ამ ოთხი მაგალითიდან ერთში ბერძნულში კერძოწინდებული დგას მესამე პირის ნაცვალსახელთან (Zech. 3:4), ორში - ზებუნებრივი არსების აღმნიშვნელ სახელთან - ანგელოზი (Zech. 3:1, Zech. 3:3) და ერთშიც - საკურთხეველთან (Zech. 14:20). კონკრეტულ სახელებთან შეკვეცილი ფორმის (წინაშე) ხმარება, სავარაუდოდ, იმის მიმანიშნებელია, რომ ქართულისთვის კერძოწინდებულის მეორე კომპონენტი (πρὸσταις) პლეონასტური და არაზებუნებრივია.

გელათელი რეცენზენტი კი, როგორც ჩანს, იქ, სადაც ოშკურ ტრადიციაში გამარტივებული ფორმის წინდებული, ე.ი. ოდენ წინაშეგვაქვს (Zech. 3:1, Zech. 3:3, Zech. 3:4, Zech. 14:20), ყოველთვის სრულ ფორმას იყენებს - წინაშე პირსა.

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ოშკური ტიპის თარგმანებში კერძოწინდებულის გამარტივებული ფორმით (წინაშე) გადმოტანა გადამწერისგან მომდინარეობს (გადამწერის შეცდომაა), თუ მთარგმნელის მიერ შერჩეული ეკვივალენტია. თუმცა როგორც ქვევით ვნახავთ, სხვა შემთხვევებშიც ძალიან იშვიათია კერძოწინდებულის გამარტივებული ფორმა (წინაშე), კერძოდ - გამარტივებული ფორმის მხოლოდ ხუთი მაგალითი გვაქვს მთელს მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში (πρὸ πρῶσταις: Zech. 3:1, Zech. 3:3, Zech. 3:4, Zech. 14:20; ἄπρὸ πρῶσταις: Mic. 1:4). ამიტომ უფრო მეორე მოსაზრებისკენ ვიხრებით (რომ გადამწერის შეცდომაა). თუმცა აღნიშნულიც, არსებითად არ ცვლის, არამედ პირიქით ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ კერძოწინდებულის მეორე კომპონენტი (πρὸσταις) ქართველისთვის პლეონასტური იყო. ასე რომ არ ყოფილიყო ის (პირი), დიდი ალბათობით, არც გადამწერს გამორჩებოდა.

²⁵ Amos 9:4, Mic. 2:13, Mic. 6:4, Joel 2:3, Joel 2:10, Hab. 3:5, Mal. 3:14, Joel 2:11, Zech. 4:7, Zech. 3:8, Zech. 3:9.

²⁶ Zech. 3:1, Zech. 3:3, Zech. 3:4, Zech. 14:20.

გელათურ რეცენზიაში კი 17 შემთხვევიდან 15-ში *παρθενος*-ს ეკვივალენტია *წინაშე პირსა*,²⁷ ხოლო ორ შემთხვევაში *პირისაგან* (Joel 2:3, Joel 2:10) - ეკვივალენტის ცვლილება ერთ შემთხვევაში ან ბერძნულით იხსნება ან კონტექსტით (იხ. სქოლიო 15), ხოლო მეორე მაგალითში - კონტექსტით (იხ. სქოლიო 21).

რაც შეეხება სომხურს - 17 მაგალითიდან 13-ში ეკვივალენტად ოდენ *առաջի* (წინაშე)-ია წარმოდგენილი,²⁸ ერთ შემთხვევაში კი *ի წინდებულისანი დაწყებითი* - *լիქեսաց* (პირთაგან).²⁹ კერძოწინდებული სრულად მხოლოდ 5-ჯერაა თარგმნილი (*παρθενος* = *առաջի Լիქեսաց* (წინაშე პირთა)).³⁰

ფენას კი არ მიეკუთვნება, არამედ გვიანდელია, მხოლოდ ორ მაგალითს აღვნიშნავ 6.2-დან: $\pi\acute{\alpha}\nu\tau\epsilon\varsigma + \epsilon\iota\varsigma \chi\alpha\lambda\alpha\upsilon(\nu)\eta\upsilon$ L⁷⁷-407-613 87^mg-68 Aeth^p(in k'anan) Arm(ჩ Քանան) ქანანად Ge^{SB} Cyr^p Th. Tht. Hi.^p | $\epsilon\iota\varsigma \text{Εμαθ}$ pr ჩ მზხ (didi) დიდად Ge^{SB}. ცხადია, ტექსტში, რომელიც ბერძნულის მიხედვით არის ნასწორები, სომხურთან ამგვარი შესატყვისობა შესაძლოა მათ პირველადობაზე მეტყველებდეს (თუმცა პირველ შემთხვევაში დამატება სომხურის გარდა სხვა წყაროებშიც, მათ შორის ლუკიანურ ხელნაწერებშიცაა დადასტურებული), მაგრამ საქმე ისაა, რომ გელათის კატენებიანი ბიბლიის (A-1108) 287r-ზე ეს იკითხვისები მცხეთური ბიბლიის რედაქტორის ხელითაა ჩამატებული (სულხან-საბა ორბელიანის რედაქტორული მუშაობის კვალის შესახებ გელათის ბიბლიასა და პარიზის ლექციონარის ხელნაწერებში იხ. ელ. მეტრეველი, „მცხეთის ბიბლიის“ „იგავთა წიგნის“ წყაროების შესწავლისათვის, *მრავალთავი*, 7, თბ. 1980, 98-115; ვ. დანელია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო, *მაცნე*, 1964, 2, 206-207; მცხეთური ბიბლია, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, 1985, 4-5; ცინდელიანი უ., მეფეთა წიგნები ძველი აღთქმის მცხეთურ ვერსიაში და მისი წყაროები, *მრავალთავი* 12, 1986, 21-36) და შემდეგ აქედანაა შესული მოსკოვის გამოცემაში (იხ. ზევით, შენ 5). ამრიგად, სრულიად ცხადია, რომ არმენიზმების შემცველი ტექსტუალური პლასტი მოსკოვის ბიბლიაში უძველესი ფენა კი არ არის, რომელიც აღმოუფხვრელი დარჩენიათ ბერძნულის მიხედვით შემსწორებლებს, არამედ 18 ს-ის დასაწყისში მიმდინარე მუშაობის შედეგია ბიბლიის ტექსტზე.

⁵² სინამდვილეში სწორედ სქიზმის შემდეგ იძენენ ავტორიტეტს სომხური ტექსტები ანტიქალკედონიტი ქართველებისთვის.

⁵³ ე.ი. სპეკულატიურ თეორიაზე და არა ტექსტოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით.

მაგრამ როგორ ხსნის ასფალგი სექტუაგინტას უფრო დიდ კვალს ქართულ თარგმანზე („der weitaus grössere Einfluss der LXX als von Arm und Sp“ (320))? ახსნა ასეთია: „diese georgische Übersetzung wurde aber schon frühzeitig, mehrmals und zum Teil in den einzelnen Textzeugen unabhängig voneinander nach LXX überarbeitet“ (440). მაგრამ ამგვარი დასკვნა თავად ასფალგისათვისაც მოულოდნელია: „Das ist überraschend bei einem georgischen Bibeltext, dessen Entstehungszeit, schon nach dem Alter der Hss zu urteilen, vor allgemeinen Revision der georgischen Bibel nach dem Griechischen liegt“ (320). ამ კითხვას - როდის და სად უნდა მომხდარიყო მე-8 ს-მდე ქართული ბიბლიის ასეთი ძირეული რეცენზირება ბერძნულის საფუძველზე, ასფალგი ღიად ტოვებს და ქართული თარგმანის წარმომავლობის კვლევის საბოლოო შედეგს ასე აყალიბებს: „die alte georgische Prophätenübersetzung... letztlich auf eine armenische Vorlage, wohl die **armenische Prävulgata mit starken syrischen Einfluss zurückgeht**“ (440).

ამრიგად, ასფალგი იმეორებს აზრს თავისი წინამორბედებისა, რომელთაც იგი კვლევის მცდარი მეთოდის გამო თავად აკრიტიკებდა⁵⁴.

როგორც სხვას, არც მე არ მინახავს სომხური ბიბლიის პრევეულგატა, ისევე როგორც მისი სირიული დედანი. ამიტომ ამ სტატიაში რეალურად არსებული ტექსტების ურთიერთმიმართებაზე ვიმსჯელებ - ქართულ ხელნაწერთა ტექსტის იმ სომხურ ტექსტთან მიმართებაზე, რომელიც ზოჰრაბის ბიბლიაშია მოცემული და რომელიც სომხური თარგმანის მეტ-ნაკლებად ავთენტურ წყაროდ ითვლება⁵⁵.

მაგრამ ჩემთვის კონკრეტული ქართული თარგმანის წარმომავლობის დადგენაზე მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ მეთოდური მიდგომის განსაზღვრაა: ზოგადად, თარგმანის დედნის კვლევისას ენის ისტორიის, თარგმანის ტექნიკისა და ტექსტის ისტორიის გათვალისწინების აუცილებლობა.

ბიბლიის თარგმანები ფართო მოედანია კვლევისათვის. ეს კვლევები სამ ძირითად სფეროს მოიცავს: თარგმანის ტექნიკას, ტექსტის ისტორიას და ენის ისტორიას. კვლევის სამივე ეს სფერო მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, სამივეს ერთი მიზანი აქვს: არამართო სემანტიკური, არამედ ფორმალურ-სტრუქტურული სიზუსტით მიზამონ დედანს

⁵⁴ იმას, რომ 12 წინასწარმეტყველის შემთხვევაში სომხური პრევეულგატას კვალი არ ჩანს, თავად ასფალგიც აღნიშნავს (290).

⁵⁵ „Im Armenischen zeigt bereits der Kommentar des Nerses von Lampron zu den 12 Propheten eine Textgestalt, die mit der armenischen Vulgata völlig übereinstimmt“ (290).

და დედნის ენას. ასეთია ბიბლიის ყველა თარგმანისა და ყველა ენის განვითარების უნივერსალური ხაზი. თარგმანები ხშირად ერთგვარ საშუალებებს მიმართავენ - ასე წარმოიქმნება ტიპოლოგიური პარალელები. მეორე მხრივ, ენებს საკუთარი მახასიათებლები აქვთ, საკუთარი ბუნება და ამიტომ დასახული მიზანი - დიდი სიზუსტით ასახონ თავიანთი ნიმუში ყოველთვის ვერ მიიღწევა. შესაბამისად, ტიპოლოგიური პარალელები სხვადასხვა ვერსიებში თავისუფალმა თარგმანმაც შეიძლება განაპირობოს.

ამრიგად, პირველი, რის გარკვევასაც ვეცდები ქართულ-ბერძნულ-სომხური პარალელების ანალიზისას, არის: როდისაა ორი ვარიანტის მსგავსება მათი (ერთის მეორეზე) უშუალო დამოკიდებულების ნიშანი და როდის წარმოადგენს იგი ტიპოლოგიურ პარალელს. ამასთან, გავითვალისწინებ, თუ რამდენადაა ესა თუ ის ვარიანტი ენისათვის დამახასიათებელი და უფო მეტ წონას იმ ვარიანტებს მივანიჭებ, რომლებიც ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგოდ მიჰყვება ერთ რომელიმე ტექსტს (ბერძნულს თუ სომხურს), ხოლო მეორეს (რომლის ასახვაც ენისთვის უფრო იოლი იქნებოდა) სცილდება. საწინააღმდეგოდ ამისა, ნაკლები მნიშვნელობისად (ან სულაც უმნიშვნელოდ) ჩავთვლი ბერძნულისაგან ქართულისა და სომხურის ერთგვარი ხასიათის გადახრებს, რომლებიც იმითაა განპირობებული, რომ ბერძნულის ადეკვატური გადმოტანა ამ ენებისთვის რთულია ან შეუძლებელი.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ სომხურის კითხვასხვაობებს და ვნახავ, რა შემთხვევებში მიჰყვება ამ კითხვასხვაობებს ქართული და რა შემთხვევაში - არა. ამასთან, გავითვალისწინებ იმასაც, ეს კითხვასხვაობები თავისი ხასიათით პირველადაა, თუ სომეხ გადამწერს ეკუთვნის (უკანასკნელი შემთხვევა, ცხადია, ქართული თარგმანის წარმომავლობის დასადგენად არარელევანტურია და მხოლოდ ქართული და სომხური თარგმანების ტექსტების ისტორიის სხვადასხვა მიმართულებას აჩვენებს).

ასევე ყურადღებას მივაქცევ ქართული ხელნაწერების იმგვარ კითხვასხვაობებს, რომლებიც ბერძნული ან სომხური დედნის მცდარი წაკითხვიდან მომდინარეობენ, ანდა იმდაგვარი ინტერპრეტაციის შედეგს წარმოადგენენ, რომლებიც ბერძნული ან სომხური სიტყვის სემანტიკით აიხსნება.

მიუხედავად იმისა, რომ *ამოსი* პატარა ტექსტია, ქართული თარგმანის ბერძნულთან და სომხურთან მიმართების ამსახველი მასალა აქ საკმაოდ დიდია, ამიტომ სტატიაში მე მხოლოდ ერთ სფეროზე - ლექსიკაზე შევჩერდები⁵⁶. თუმცა ვიტყვი, რომ სურათი, რომელსაც ლექსიკის სფეროზე დაკვირვება იძლევა, არ იცვლება არც თარგმანის სხვა კომპონენტების (კვანტიტატიური შედგენილობის, სიტყვათა მიმდევრობის და გრამატიკული მონაცემების, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - სინტაქსის) კვლევისას.

რაიმე თეზის დასასაბუთებლად მკითხველისათვის ჩვეულებრივ საკმარისია რამდენიმე ტიპური მაგალითის მოყვანა, მაგრამ რადგანაც საქმე საკამათო საკითხს ეხება, თემა მოცემული მასალის ბაზაზე მაინც ამოწურული რომ იყოს, მე ქართულ-სომხური მსგავსებების ყველა მაგალითს მოვიყვან მიუხედავად თარგმანის წარმომავლობის დასადგენად მათი არათანაბარი მნიშვნელობისა. პარალელურად მოვიყვან ქართულ-სომხური სხვაობების დიდ ნაწილს, რომელიც არა მხოლოდ ამ ორი თარგმანის ურთიერთმიმართებაზე, არამედ ამ თარგმანთა ხასიათზეც მოგვცემს წარმოდგენას.

დავიწყებ ქართულ-სომხური პარალელებით, რომლებიც ასფალგის აზრით უეჭველად სომხურთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე LXX-თან („zweifellos näher mit Arm als mit LXX zusammengehen“ (338).

ქართულისა და სომხურის პარალელური წაკითხვები

სამი შემთხვევა ასფალგის მიერ მოტანილი ქართულ-სომხური პარალელური იკითხვისებისა ეხება იმ ბერძნული სიტყვების გადმოტანას, რომელთა ზუსტი ადეკვატი ქართულში არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს სამი შესაძლებლობა აქვს: 1. ეტიმოლოგიური თარგმანის მეშვეობით შექმნას ნეოლოგიზმი, 2. აღწერითი წარმოებით (Umschreibung) გადმოსცეს სათარგმნი სიტყვის სემანტიკა, ანდა - 3. გააფართოვოს ან

⁵⁶ ამასთან, აქ არ განვიხილავ საკუთარ სახელებს და ნასესხობებს, რომლებიც ბერძნულთან სიახლოვეზე მეტყველებენ.

დაავიწროვოს იგი. მთარგმნელის არჩევანი ყოველთვის იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ფორმალური შესაბამისობის პრინციპი, ანდა რამდენად კმაყოფილდება კონტექსტის სემანტიკის გადმოცემისთვის საკმარისი ეკვივალენტის პოვნით. ამის ძველი ქართული თარგმანის ავტორი დინამიკურ და ფორმალურ თარგმანს შორის მერყეობს: რიგ შემთხვევებში ცდილობს, სიტყვასიტყვით მისდიოს ორიგინალს და ენის შესაძლებლობების ზღვარსაც გადადის ხოლმე, სხვა დროს კი კონტექსტის კარნახით არჩევს ლექსიკურ ეკვივალენტს. შემდეგი მაგალითების განხილვისას ამ, თარგმანის ტექნიკის ნიუანსების გათვალისწინება აუცილებელად მიმაჩნია.

საქმე ეხება *αἰπόλιος* (თხის მწყემსი)-ის გადმოტანას შემდეგ კონტექსტში: 7.14. *αἰπόλιος*] მწყემსი Geo^{OJL}; *hnpłi' l*; თხათ მეკოლტე Geo^{SB}.

αἰπόλιος სეპტუაგინტაში მხოლოდ ამ კონტექსტში გვხვდება და იგი როგორც ქართული თარგმანის ოშკურ, იერუსალიმურ და პარიზის ლექციონარის ხელნაწერებში (მწყემსი), ისე სომხურში (*hnpłi' l*) ზოგადი სახელით - *მწყემსი (Pastor)* არის გადმოცემული⁵⁷. ასევე, ზოგადი *Pastor* იხმარება ვეტუს ლატინას ზოგიერთ წყაროშიც⁵⁸. მიზეზი ამისა, როგორც ვთქვი, არის ის, რომ ამ ენებზე სათარგმნი ცნების (თხის მწყემსი) გამომხატველი ერთი სიტყვა არ არსებობს და ზოგადი ცნების ხმარებას კონტექსტში არავითარი სემანტიკური ნიუანსის ცვლა არ მოჰყვება⁵⁹. ამრიგად, ეს მაგალითი უფრო სომხურისა და ქართულის თარგმანის ტექნიკის მსგავსებაზე მეტყველებს, ვიდრე მათ უშუალო ურთიერთდამოკიდებულებაზე.

⁵⁷ გარდა ამისა, Prv. 30.31-ში გვხვდება ამავე ფუძიდან ნაწარმოები *αἰπολίσις*, რომლის შესატყვისადაც ქართულში და სომხურში ისევ ზოგადი ეკვივალენტებია გადმოცემული: *πράγιος ἡγούμενος αἰπολίσις*] ვაცი წინამძღვარი სამწყსლოთად; *hnpłi' l' ḥnpłi' l' hnpłi' l'*.

⁵⁸ საპირისპირო ხერხს იყენებს თარგმნისას სეპტუაგინტა: *αἰπόλιος*-ის ხმარებით იგი აკონკრეტებს ებრაულის ზოგად ცნებას - *qAb-yK (Herdsmen)*. შდრ. უმცროსი მთარგმნელების, ვულგატას და სირიულის ეკვივალენტები: *βουκόλος α' σ' θ' ε' Syh Hi; Armentarius Vulg., ܐܘܪܡܢܝܬܐ Peshitta*

⁵⁹ კონტექსტი ასეთია: *ὁὐκ ἦμῶν προφήτης ἐγὼ οὐδὲ σὺς προφήτου ἀλλ' ἢ αἰπόλιος ἦμῶν* (არა ვიყავ მე წინა(მს)წარმეტყუელ, არცა ძმ წინა(მს)წარმეტყუელისა, არამედ მწყემსი ვიყავ Ge^{OJL}).

მეორე მხრივ, ლუკიანურ ხელნაწერებში დადასტურებული დამატების საფუძველზე (*αἰπόλος ἡμῶν*+αιγῶν II) ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ *αἰπόλος*-ს ქართველი და სომეხი მთარგმნელისათვისაც შეიძლება არ ჰქონოდა კონკრეტული, „თხის მწყემსის“ მნიშვნელობა.

თარგმანის ენაში არარსებული ლექსიკური ერთეულის გადმოტანის სხვა საშუალება, როგორც ვთქვი, აღწერითი გზაა, რასაც Ge^{SB} იყენებს *αἰπόλος*-ის შესაბამისად: თხათ მეკოლტე. ამავე ხერხს მიმართავს ზოგ შემთხვევაში Vetus Latina-ც (*pastor caprarum, pastor caprarius, pastor armentarium*) და კოპტურც (*ⲟⲩⲙⲁⲛⲉⲃⲁⲁⲙⲡⲉ Sa (ed. Ciasca); ⲟⲩⲙⲁⲛⲉⲃⲁⲁⲙⲡⲉ Ach (ed. Till); ⲟⲩⲙⲁⲛ ⲙ ⲃⲁⲔⲙⲡ Bo (ed. Tattam)*)⁶⁰.

ყველა ეს მაგალითი სხვადასხვაენოვანი თარგმანიდან იმისათვის მოვიტანე, რომ მეჩვენებინა: მათ შორის არსებული პარალელები ტიპოლოგიურია და არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებს ამ წყაროთა უშუალო დამოკიდებულებაზე.

იგივე შეიძლება ითქვას სხვა მსგავსებაზეც სეპტუაგინტას თარგმანებს შორის: ძველ ქართულ, სომხურ, ასევე ლათინურ და კოპტურ თარგმანებს *σάμνος (welfth, esp. of a lion's whelp)* აღწერითად გადმოაქვთ:

3.4. *εἰ ἐρέξεται λέων ἐκ τοῦ δρυμοῦ αὐτοῦ ... εἰ δῶσει σάμνος φωνῆν αὐτοῦ ἐκ τῆς μάδρας αὐτοῦ.* ძვ. ქართული და სომხური თარგმანები ამ სიტყვას აღწერითად თარგმნიან: ლეკუმან ლომისამან Ge^{OJ61}; *կոբիւն առիւծ (lion's whelp)*; *ⲟⲩⲙⲁϥ ⲙⲙⲟⲩ Sa Ach (ed. Maspero, ed. Till); ⲟⲩⲙⲁϥ ⲙ ⲙⲟⲩ Bo (ed. Tattam); catulus leonis (Vetus Latina, Vulgata).* გელათური კი, როგორც წინა შემთხვევაში ძვ. ქართული თარგმანი, ცნების გენერალიზაციას ახდენს და მას ნაცვალსახელით აკონკრეტებს, რომელიც კონტექსტში *λέων*-ს (ლომს-ს) მიემართება: ლეკუმან მისმან (*σάμνος αὐτοῦ*) Ge^{GSB}.

ძველი აღთქმის წიგნების სხვადასხვა თარგმანში, მათ შორის ქართულ თარგმანებში, რომელთა ბერძნულიდან მომდინარეობა ეჭვს არ იწვევს, სხვა მაგალითებიც გვხვდება

⁶⁰ Ciasca, Augustin (ed.), *Sacrorum Bibliorum fragmenta copto-sahidica*, Vol. II, Roma, 1889; Henry Tattam (ed.), *Duodecim Prophetarum Minorum libros: in lingua Ægyptiaca vulgo Coptica seu seu Memphitica ex manuscripto Parisiensi, Oxonii*, 1836; Tattam, Henry (ed.), *Duodecim prophetarum minorum libros in lingua aegyptiaca vulgo coptica seu memphitica*, Oxford, 1836. ვეტუს ლატინას და კოპტური წყაროების მოწიდეზისათვის დიდ მადლობას ვუხდით Bonifatia Gesche-ს და ივან მიროშნიკოვს.

⁶¹ ასფალს ქართული ეკვივალენტის აღწერითი ფორმა სომხურიდან მომდინარე დამატებად მიაჩნია.

მოკლედ რომ ვთქვათ, სეპტუაგინტას იმ ლექსიკის გადმოტანა, რომელიც თარგმანის ენებში არ არსებობს, ქართულსა და სომხურში, ისევე როგორც კოპტურსა და ლათინურში, ერთნაირად ხდება და ეს მსგავსება თარგმანის ერთგვარი ტექნიკითაა განპირობებული და არაა თარგმანებს შორის უშუალო კავშირით⁶³.

სხვა რიგისაა შემდეგი ქართულ-სომხური შესატყვისი, რომელსაც ასფალგი *ἐπίκλητος*-სა და *ἐκλεκτός*-ის აღრევის შედეგად მიიჩნევენ:

1.5. *ἐπίκλητος* წოდებული Ge^G] რჩეული Ge^{OJL} *ἔπιστην* Arm, cf. დუბლეტი: ურჩეულისა წოდებული Ge^{BS} . *ამოსის* სხვა ადგილას ეს სიტყვა სომხურშიც და ქართულშიც მისი ამოსავალი მნიშვნელობით არის გაგებული: 9.12. *ἐπιέκληται τὸ ὄσιμα*] წოდებულ არს სახელი *կոչեցալ է անուն*, ხოლო *რჩეული* და *ἔπιστην* *ἐκλεκτός*-ს შეესაბამება: 5.11 *ἐκλεκτὰ*] რჩეულსა *Ge*; *ἔπιστην* Arm.

ქართული და სომხური ლექსიკური შესატყვისობა 1.5-ში შესაძლებელია იმგვარ შეცდომად მივიჩნიოთ, რომელიც ქართულ და სომხურ თარგმანებს ერთმანეთთან აკავშირებს⁶⁴. მაგრამ ტექსტოლოგიის სახელმძღვანელოებიდან ცნობილია, რომ ერთგვარი შეცდომა (მათ შორის წაკითხვის შეცდომაც) სხვადასხვა წყაროში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება წარმოიქმნას, მითუმეტეს, თუ ამგვარი წაკითხვა კონტექსტში ჯდება. *ἐκλεκτός*-ი 1.5-ში *λαός* (ერი)-ის მსაზღვრელია⁶⁵ და სავსებით შესაძლებელია აქედან გამომდინარე აგვეხსნა ეს წაკითხვა⁶⁶. იგივე „შეცდომა“ (*ἐπίκλητος*-ისა და *ἐκλεκτός* // *ἐπίκλεκτός*-ის აღრევა), ოღონდ სომხურთან პარალელის გარეშე, ქართულში (მათ შორის ბერძნულის მიხედვით გასწორებულ კატენებიან ბიბლიაში) სხვაგანაც გვხვდება:

⁶³ იმისათვის, რომ კვლევა მეთოდური თვალსაზრისით თანმიმდევრული იყოს, აუცილებელია გავითვალისწინოთ იმ ბერძნული სიტყვების გადმოტანის მაგალითებიც, რომელთა შესატყვისი ერთ ენაში არის და მეორეში - არა. ასეთ შემთხვევაში მათი ეკვივალენტებიც ტიპოლოგიურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იხ. მაგ. ქვემოთ, 3.5, 8.1. *ἰξυστος* -ის გადმოტანა.

⁶⁴ ოღონდ ეს კავშირი რატომღაც მხოლოდ ერთი მიმართულებით დაიშვება ხოლმე - ქართულის სომხურზე დამოკიდებულებაზე მეტყველებს და არა პირიქით. ასევე, არ ივარაუდება არც მცდარი ფორმების ერთი საერთო ბერძნული წყაროდან მომდინარეობა.

⁶⁵ *ἀίχμαλαπισθησονται λαὸς Συρίας ἐπίκλητος* წარმოიტყუენოს (წარმოვტყუენო O) ერი ასურეთისაჲ რჩეული.

⁶⁶ იხ. ქვემოთ, 3.2, სადაც მსგავს კონტექსტში სომხურ თარგმანში ისევე *ἔπιστην*-ის სათანადო ფორმაა ნახმარი.

სიტყვების ჰომოგრაფიით, ანდა ერთ-ერთი თარგმანის მიერ დედნისეული სიტყვის არასწორი წაკითხვითა თუ არასწორი იდენტიფიკაციით იხსნება.

მცდარი იკითხვისი Arm-ში

ქართული თარგმანის სომხურისგან განსხვავების განსაკუთრებით ნათელი მაგალითია ბერძნული საზოგადო სახელის (რომელსაც ქართულშიც ასევე, საზოგადო სახელი შეესაბამება) ტოპონიმად გადმოტანა: 9.7. *ἐκ βόθρου ἄλζυθι* Geo] ἡ *βουθρα* (*bot'ora*)⁶⁷: τοὺς ἀλλοφύλους ἐκ Καππαδοκίας καὶ τοὺς Σύρους ἐκ βόθρου. სომხურ თარგმანში *βόθρου* გაგებულია როგორც ტოპონიმი და ისევეა ტრანსკრიბირებული, როგორც 1. Sam. 13.18-ში ტოპონიმი *Βαιθαρα*⁶⁸. სავსებით ცხადია, რომ ქართული *ἄλζυθι* ბერძნულ საზოგადო სახელს *ἐκ βόθρου*-ს (*ditch*) შეესაბამება, ასევე ცხადია, რომ ეს ეკვივალენტი თავდაპირველი თარგმანის კუთვნილებაა და არა ბერძნულის მიხედვით სწორების შედეგი: ქართულ თარგმანში სომხურის წაყოლით საკუთარი სახელი - *ბოთორ* რომ მდგარიყო, ამ, ბერძნული იკითხვისის ტრანსკრიბციას ბერძნულის მიხედვით რეცენზირების შედეგად არ შეცვლიდნენ.

შემდეგ შემთხვევაში სომხურ ვარიანტს ასფალგი ჰომოგრაფიით ხსნის ბერძნულში: 3.10 *ἔσται ἔνατιον ἀπ'ἧς* იყოს (იყვნენ *Ge^G*) *წინაშე* მისსა *Ge]* *q̄h̄n̄h̄l̄ng* *ლელნ* *h̄r*. ქართულში *ἔνατιον* გაგებულია როგორც *gen*-თან დასმული წინდებული (წინაშე მისსა), სომხურში კი როგორც არსებითი სახელი, რომელსაც ასფალგი ლათინურად თარგმნის როგორც *adversitatem* (*malignitatem*)⁶⁹ და როგორც ჩანს, იმაზე მიაანიშნებს, რომ სომხურში ეს სიტყვა იდენტიფიცირებულია როგორც *το ἔνατιον* (მოწინააღმდეგე). რამდენად შეიძლება სომხურის

⁶⁷ აღსანიშნავია, რომ ასფალგს სომხურის ეს თავისებურება, რომელიც ქართულში ასახული არაა, თავის კომენტარებში აღნიშნული არ აქვს.

⁶⁸ 1. Sam. 13.18. *Βαιθαρα*] *ბეთორ* (*bet'or*). ყველა ქართულ ხელნაწერში ტოპონიმი ტრანსკრიბირებულია წარმოთქმის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ იგივე საზოგადო სახელი სწორედაა თარგმნილი ქართულშიც და სომხურშიც: 1. Sam. 13.6. *ἐν τοῖς βόθροις* ἡ *ἕτοιμα* (*abyss*); ორმოებსა.

⁶⁹ Assf. 167

ეს გადახრა ბერძნული სიტყვის ჰომოგრაფიით აიხსნას, ძნელი სათქმელია⁷⁰, მაგრამ ბერძნულთან ერთად ქართულისასგან მისი განსხვავება ერთმნიშვნელოვნად ცხადია.

ბერძნული ზმნების აღრევა სომხურში:

6.10. *παραβῶνται* ეძულეზოდის Ge^1 ; ეძულეზოდის (*err*) Ge^0 ; იძულეზოდინ Ge^G *ἵχσανῆς* (*descend, fall, decline descendunt/-dent*). ქართული თარგმნის *παραβιάζομαι*-ს, სომხური – *παραβῶναι*-ს⁷¹. სომხურის მიერ ზმნის არასწორ ამოცნობას კონტექსტი განაპირობებს: *καὶ λήψονται οἱ οἰκεῖοι αὐτῶν καὶ παραβῶνται τοῖς ἐξενέγκαι τὰ ὅσα αὐτῶν ἐκ τοῦ οἴκου*. *ἵχσανῆς* *հանել զուսկերս ւնցա ի տանէ* და მოიხუნენ სახლეულთა მათთა და ეძულეზოდის (ეძულეზოდის *err*) განღება(დ) ძუალთა მათთაჲ სახლისაგან Ge^0 .

მცდარი იკითხვის **Geo**-ში

ბერძნული ზმნების აღრევა ქართულში:

იძულება, რომელიც 6.10-ში მართებულად იყო ნახმარი *παραβιάζομαι*-ს შესაბამისად, არასწორად არის გამოყენებული სეპტუაგინტას *hapax legomenon*-ის - *καταβίω*-ს ეკვივალენტად შემდეგ კონტექსტში: 7.12. *καὶ ἔχει καταβίω καὶ ἔχει προφητεῖσεις. καταβίω* სომხურში სწორედ, როგორც *καταβίω* არის გაგებული: *կեաց (to live, to be, to existe)*.

ბერძნული მაიუსკულის წაკითხვის შეცდომები

7.1. *Εἰς Γαγ ψι Φιψι* ჰსგოგ O ; ჰსგუგ J ; გოგისსა მიმართ G : კონტექსტის სირთულის გამო (*ἰδὸς βροῦχος εἰς Γαγ ὁ βασιλεύς*) *εις* ყველა ამ წყაროში სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული: სომხურში სწორედ, რიცხვით სახელად არის გაგებული და გადმოტანილი (*ψι* - *one*). ქართული ხელნაწერები კი ერთმანეთისგან სხვაობენ: *εις* OJ -ში საკუთარი სახელის $EΙΣΓΩΓ$ -ის ნაწილად არის მიჩნეული, G -ში კი *Γαγ*-თან ნახმარ

⁷⁰ *ἑλεῖν* - rascality, offence, misdeed, malice, wickedness, fatality; catastrophe

⁷¹ იხ. ეს შესატყვისობა Is. 31.1-ში: *οἱ καταβῶντες* *ἵχσανῆς*.

წინდებულად, რომლის შესატყვისი მიმართ გელათის კატენების ხელნაწერის ავტორს მუშაობის პროცესში აქვს ტექსტში ჩამატებული.

მაიუსკულური ხელნაწერის შცდომა (EMΠA და EΠIA-ის აღრევა) მიაჩნია ასფალგს ქართული ვარიანტის მიზეზად: 8.7. ἐπιλησθήσεται (<επιλανθαιω) μνησθήσεται (*to forget*); დაივიწყნენ Ge^{SB}] აღივსნენ = ἐμπλησθήσεται (<πίμπλημι) Ge^{OJ72}.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იმ იკითხვისების გვერდით, რომლებიც ბერძნული დედნის მცდარი წაკითხვის ან არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია, ქართულ თარგმანში არ არის არც ერთი შემთხვევა, რომელიც სომხური დედნიდან მომდინარე შეცდომით შეიძლება ახსნილიყო.

რამდენად მნიშვნელოვანია მოტანილი მაგალითები იმისათვის, რომ ქართული თარგმანის ბერძნულიდან მომდინარეობა დავასკვნათ? თავად ასფალგი ხაზგასმით ამბობს, რომ საზოგადოდ, თარგმანში არსებული შეცდომები გადამწყვეტ არგუმენტად ითვლება ხოლმე თარგმანის დედნის ენის განსაზღვრისათვის⁷³, რადგანაც ამგვარ შეცდომებს, ჩვეულებრივ, მთარგმნელი უშვებს ან საკუთარი მიზეზით, ან იმის გამო, რომ მისი დედანი იკითხება ცუდად. მაგრამ ქართულ თარგმანთან მიმართებაში ეს საზოგადო წესი იკითხვისის კვალიფიცირებისათვის რატომღაც აღარ მოქმედებს და მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ პრინციპში, მცდარი იკითხვისები შესაძლოა მთარგმნელისაგან კი არა, რეცენზენტისგან მომდინარეობდეს (438). მცირე წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის შემთხვევაში ამგვარი მიდგომა შემდეგს ნიშნავს: მთარგმნელი სწორად თარგმნის სომხურიდან, ხოლო ის კი, ვინც ტექსტის რეცენზირებას სეპტუაგინტას საფუძველზე ახდენს, თავდაპირველი იკითხვისის ბერძნულიდან მომდინარე მცდარი იკითხვისით ცვლის.

ამგვარი ლოგიკა ასფალგის მსჯელობაში და ტექსტუალურ კრიტიკაში აპრობირებული მიდგომის გადასინჯვა ისევ იმას ემსახურება, რომ ქართულის ბერძნულთან სიახლოვე და მისი სომხურისაგან გადახრა აპრიორულ მოსაზრებას მოარგოს:

⁷² Assf. 357.

⁷³ durchschlagende Beweise für die Sprache der Vorlage einer Übersetzung (356, 438)

ქართული თარგმანი სომხურიდან მომდინარეობს. ჩემი აზრით კი, თუ განხილულ მასალას ობიექტურად შევაფასებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ როგორც სომხური, ისე ქართული ხელნაწერების შეცდომები თავდაპირველი თარგმანების კუთვნილებას წარმოადგენენ და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ ორივე, ქართულიცა და სომხური თარგმანებიც ბერძნულიდან მომდინარეობენ.

სომხურის სემანტიკური გადახრები ბერძნულისაგან

სომხურის იკითხვისები, რომლებიც ბერძნულს სცილდება, ტექსტოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა ღირებულების შეიძლება იყოს: მათი ნაწილი გადამწერს შეიძლება მივაწეროთ, ნაწილი კი მთარგმნელის მიერ ტექსტის ინტერპრეტირების ანდა თარგმანის თავისუფალი სტილის მაჩვენებელად უნდა ჩაითვალოს. ყველა ამ შემთხვევაში ქართული ბერძნულს მისდევს, თუმცა კი შესაძლებელი იყო მასში სომხურის ვარიანტების ასახვა.

3.6. *ჩუ რომელი*] *et, and*). მიმართებითი ნაცვალსახელის მაერთებელი კავშირით შეცვლის შედეგად სომხურში ჰიპოტაქსი პარატაქსითაა შეცვლილი: *ჩუ აპრიოს იხა ეპიიჟსენ რომელი უფალმან არა ყო*] *et Setaiñ xigē ararēsa*⁷⁴.

1.3. *ჰპრიოს გან(ჰ)ხერხვიდეს*] *კუიქინ* (*cut, divide, separate, lop*). ლექსიკის შენაცვლება განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როცა ბერძნულში *figura etymologica* გვაქვს, რომელიც ქართულში ადეკვატურადაა გადმოტანილი, სომხურ თარგმანში კი ასახული არ არის⁷⁵: ეს ფართო სემანტიკის სიტყვა (*կուიქინ*) *ამოსის* სომხურ თარგმანში *ძა(/ კათა)კოპტივ*-ის

⁷⁴ ამ შენაცვლებას ასფალგი თავის კომენტარებში არ აღნიშნავს.

⁷⁵ ისიც უნდა ითქვას, რომ გარდა ლექსიკური შენაცვლებისა, სომხურში ამ მხატვრულ სახეს სიტყვათა გადაადგილებაც არღვევს: *ჰპრიცონ პრიოსთ სიჰრიიჯ ტაჯ ენ გასტრი ჯჰისასაქ თან ენ Γαλαამ გან(ჰ)ხერხვიდეს ხერხითა რკინისადთა მიდგომილთა (მუცელქმნულთა Ge^l) მათ გალაადს შინა Ge^{ol}; განხერხვიდეს ხერხითა რკინისადთა მოციქულთა გალადისთა Ge^l; განჰხერხვიდეს ხერხითა რკინისადთა მუცელ-ქუმულთა გალაადთასა Ge^{SB} - კუიქინ კუიქინ ოსტაჰაჰაჰაღს იგუიიგოპ` სიქსაჰსოპ (ჰპრიცონ ენ გასტრი ჯჰისასაქ ენ Γαλαამ პრიოსთ სიჰრიიჯ). ქართულსა და სომხურს შორის არსებულ განსხვავებას ასფალგი მხოლოდ ტრანსპოზიციამი ხედავს (160).*

შესაბამისად გვხვდება: 9.1 *δίακωψοι*] განკუთვთე კორნუა' არი; 1.5. *κατακόψα* მოვ(ს)წყვდნე OJ; მოვწყვდო Ge⁺; მოვჭრა GSB; კორნუეგ იხ. ასევე Mic 1:16 *κείραι* აღიპარსნე კორნუა.

3.2 *ἐγνων* გიცნენ] *ἐκλεγειν* (*elect, choose*)⁷⁶. ქართული თარგმანის ეკვივალენტი *γινώσκω*-ს ამოსავალ მნიშვნელობას ასახავს. რაც შეეხება სომხურ *ընտրել*-ს, იგი ჩვეულებრივ *ἐκλέγω*-ს ეკვივალენტად გვხვდება ხოლმე⁷⁷ და მისი ხმარება 3.2-ის სომხურ თარგმანში კონტექსტით უნდა იყოს განპირობებული: აქაც, როგორც 1.5-ში, რჩეულ ხალხზეა საუბარი (*ἐγνων ἐκ πασῶν φυλῶν τῆς γῆς* - *ընտրեցი* *յամենայն* *սագգաց* *երկրի*)⁷⁸.

4.10. *ἀνήγαγον* (*ἐν πυρὶ τὰς παρεμβολὰς ὑμῶν*) აღმოვიყვანე OJ; აღმოვიყვანენ G] ვსაჯე (*Judged; richten; κρίνειν*) L; *δαΐτε* (*δαΐτε* - *consume, absorbe, devoure, corrode*). ქართულში და სომხურში სათარგმნი სიტყვის ეკვივალენტები სხვადასხვა თვალსაზრისით არის შერჩეული⁷⁹: ქართულში *ἀνάγω* ამოსავალი მნიშვნელობით გადმოდის, ამასთან დაცულია ფორმალური სიზუსტეც - ბერძნული ზმნისწინიც არის გადმოტანილი (*ἀν-* : ალ-)⁸⁰. სომხურში ისევ კონტექსტს მისადაგებული ეკვივალენტია, რომელიც *ἕρη* (*fire* ცეცხლი)-თან შესიტყვებაში სხვაგანაც გვხვდება⁸¹.

4.13. *στερεῶν βροντῆν καὶ κτιζῶν πνεῦμα* განვამტკიცო *ქუხილი* და *დავჭბადო* სული OJ] *իր հաստատեն զերկինս եւ հաստատեն զհողմս*. ქართული ისევ ზუსტად მიჰყვება ბერძნულს, სომხური კი სცილდება მას. ამ დაცილების გასაგებად საინტერესო პარალელია *ობიას* წინასწარმეტყველება: Hos 13:4 *στερεῶν ὑβρανοῦ καὶ κτιζῶν γῆν* რომელმან *დავამყარე ცა* და

⁷⁶ ქართულისა და სომხურის განსხვავების შესახებ იხ. ასფალგი, 165.

⁷⁷ შდრ. 5.11. *ἐκλεκτὰ* რჩეული *ἐκλεγειν*(*ἐκλεγειν*) და, როგორც უკვე ითქვა, 1.5-ში *ἐπίκλητος*-ს შესაბამისად იყო ნახმარი (*ἐκλεγειν* < *ἐκλεγειν*).

⁷⁸ სხვათა შორის, *γινώσκω* და *γινώσκω*-ს ეკვივალენტები სომხურ *ამოს*-ში სხვაგანაც იცვლება: 3.3,10. *ἄνιστες* (*to know, to remark, to recognize, to discern, to comprehend, to conceive, to understand*) და 5.12 *ἐκλεγειν* (*to know, to perceive; to learn, to understand, to feel, to recognize; to consider, to observe, to note*). ქართულში ყველა შემთხვევაში (3.2,3,10 და 5.2) ერთი შესატყვისია გამოყენებული - *ცნობა*.

⁷⁹ ასფალგი არც ამ შენაცვლებას უკეთებს კომენტარს.

⁸⁰ ფორმალური ეკვივალენტების შესახებ იხ. ქვემოთ

⁸¹ მაგ: Zach. 9.4. *ἐν πυρὶ καταναλωθήσεται; ἡν ἕρη* *δαΐτε* ცეცხლითა განილიოს Ge^o; Joe 2.3 *πῦρ ἀναλίσκον ἕρη* *δαΐτε* ცეცხლ(ი) განმლეველ(ი) Ge. ქართულში ამ შემთხვევებშიც ბერძნულის შესაბამისი ეკვივალენტია ნახმარი.

დავუბადე ქუეყანად: *nr hաստատեցի գերկինս եւ հաստատեցի գերկիր*. ორივეგან - როგორც *ოსიას*, ისე *ამოსის* წინასწარმეტყველების სომხურ თარგმანში სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ორივე ბერძნული მიმღეობა (*σπερμα* და *κινζα*) ერთი სიტყვით (*hաստათել*) გადმოდის, ქართულში კი ორივე ბერძნული სიტყვა ამოსავალი მნიშვნელობით არის თარგმნილი. იგივე ითქმის *βρονη*-ს ეკვივალენტზეც: ქართულში მისი ამოსავალი მნიშვნელობაა გადმოტანილი - ქუხილ(ნი), სომხური *գերկինս* (*caelum, heaven*) კი *ოსიას* *սբանո*-ს შეესაბამება. განსხვავებით სომხურისაგან, *ამოსის* ქართულ თარგმანში *ოსიას* წინასწარმეტყველებასთან პარალელი არ ჩანს: *σπερμα* ამ ორ წიგნში სხვადასხვაგვარად - სინონიმებით არის თარგმნილი: Am 4.13. *განვამტკიცო* Hos 13.4. *დავამყარე*. *գիրկնս* სული; *գիրկնս* = ქარები

7.15. *ἐκ τῶν προβάτων* ცხოვართაგან] *ի հովից* (*flock of sheep, of goats*). ქართული ისევ ბერძნულის ამოსავალი მნიშვნელობის შესაბამისად ირჩევს ეკვივალენტს. სომხური კი იმ ეკვივალენტით გადმოსცემს, რომელიც *ამოსის* სხვა კონტექსტებში *ποιμνας*-ს შეესაბამება: 1.2. *ποιμνας* Q* III (86^{txt}) Aet Cyr^{comm} =სამწყსოთანი Ge⁰¹= *հովից* Arm; 6.4. *ἐκ ποιμνας*=სამწყსოთაგან =*ի հովից*. ქართული *სამწყსო* აქაც ბერძნული *ποιμνας*-ის ადეკვატია.

7.14. *κινζα*⁸²] *ვსხეპდ*⁸³ (Assf - secabam) OJG; *քաղէի* (*collogebam*=Sp *sammeln, Bedrossian – to gather, collect; to pick, pluck up; Electr. res. – roap*).

8.14. *πεσοῦνται* დაეცნენ OJG] *կործանեցին* (*deicientur; overturn, subvert, overthrow, demolish, destroy, ruin*). ამ კონტექსტში (*πεσοῦνται καὶ οὐ μὴ ἀναστῶσιν*) სომხური ცვლის *πιπτειν*-ის ჩვეულ ეკვივალენტს *անկանել*-ს (cf. Am. 3.5,14; 5.2; 7.17; 8.3; 9.9,11) და იყენებს უფრო ფართო მნიშვნელობის სიტყვას *կործანել*, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ბერძნული ზმნის შესატყვისადაა ხოლმე ნახმარი⁸⁴.

⁸² L&S *to make them ripe*; cf Arieti, Vocabulary of Septuagint Amos, 343 Hammershaim-is *The Book of Amos: A Commentary* (New York: Schocken, 1970) 118-ზე *დაყრდნობით* *κινζα* *σκαμίνα*-ს განსაზღვრავს როგორც „one who makes incisions in sycamore figs”.

⁸³ მხოლოდ ამ ადგილასაა ქართ-ში.

⁸⁴ მაგ. *կործანեցαι* 5.2.-ში *ἔσφαλεν*-ს შეესაბამება, *ἔπεσεν*-ს კი *անկաւ*, იხ. ქვემოთ

1.11. *μῆτραν* საშობ Ge^G] *μητέρα* B-V I I' (86^{mg}) C'-68-239 La^S დედა Ge^O ; *qleḥayr* (*brother*) Arm. ლექსიკური შენაცვლება სომხურში შესაძლოა მექანიკური პარალელით აიხსნას ამავე მუხლიდან (τοῦ δὲ ξαὶ αὐτοῦ ἐν ῥομφαίᾳ τὸν ἀδελφὸν αὐτοῦ) და მეორადი იყოს.

8.4. *ἀπὸ τῆς γῆς*] ქუეყანასა ზედა (= *ἐπι τῆν γῆν* 36° Sa Aeth Gild) Ge^O ; მიმწუხრი Ge^{SB} = *ἑσπέρεια* (*vespere; of the evening*): სომხურის ლექსიკური ცვლილება შესაძლოა კონტექსტით (*ἀκούσατε δὴ ταῦτα οἱ ἐκτρίβοντες εἰς τὸ πρῶν πένητα καὶ καταδυναστεύοντες πτωχοὺς ἀπὸ τῆς γῆς*) აიხსნას, რასაც *երկիր* (*earth, land*)-ისა და *ἑσπέρεια*-ის ერთგვარი დაწერილობაც შეუწყობდა ხელს. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში საბა სომხურის მსგავს ეკვივალენტს ხმარობს - *მიმწუხრი*⁸⁵.

3.4. *ἐκ τῆς μάνδρας* ბუდით გამო Ge^O ; ბაკისაგან Ge^{SB}] *ἡ μαιῖα* (*მայრ cedar*)⁸⁶ cf. Am 2.9 *κέδρου*] ნაძვ; *μαῖα*; (cf. *μαῖα* - forest, wood, trees, grove) ქართულ ხელნაწერებში ბერძნული ამოსავალი მნიშვნელობით (*an inclosed space*) არის თარგმნილი. სომხური ეკვივალენტი კი შესაძლოა ამავე მუხლის *ἐκ τοῦ δρυμοῦ*-ს პარალელი იყოს: *εἰ ἐρεῖξεται λέων ἐκ τοῦ δρυμοῦ αὐτοῦ ... εἰ δῶσει σάκμνος φωνῆν αὐτοῦ ἐκ τῆς μάνδρας αὐτοῦ*: *Եթէ գոչիցէ՞ առևժ յանտառէ (forest)... եթէ տայցէ՞ կորին առևժու զձայն իւր ի մայրու իւրմէ*. არც ისაა გამორიცხული, რომ სომხური ეკვივალენტი გრაფიკულ აღრევას გამოეწვია: მსგავს კონტექსტებში *μάνδρα*-ს შესატყვისი სომხურში *մորի* (*den, laier*)-ია (იხ. Jer 4:7 *ἀνέβη λέων ἐκ τῆς μάνδρας αὐτοῦ* საყოფელით Ge^O ; Psa 9:30 *ὡς λέων ἐν τῇ μάνδρᾳ αὐτοῦ* საყოფელსა Ge ; საყუდლისაგან Ge^G).

განხილულმა მაგალითებმა გვიჩვენა, რომ იმ სახით, რა სახითაც ქართულმა და სომხურმა თარგმანებმა მოაღწიეს ჩვენამდე, ისინი ერთმანეთთან უშუალო დამოკიდებულებას არ ამჟღავნებენ. მეტიც, ამ მაგალითებში თარგმანის ურთიერთგანსხვავებული ტენდენციას გამოვლენილი: ქართული თარგმანი უფრო

⁸⁵ Assf. 183. საბას სწორებების შესახებ იხ. შენ.
⁸⁶ ასფალგთან ეს ცვლილება აღნიშნული არაა.

სიტყვასიტყვითა - ბერძნული სიტყვის ეკვივალენტების შერჩევას უფრო მის ამოსავალ მნიშვნელობას ეყრდნობა, სომხური თარგმანი კი უფრო თავისუფალია, უმეტესად კონტექსტიდან ამოდის, ანდა პარალელური ადგილების გავლენით ირჩევს ეკვივალენტებს. ასფალგი ამ განსხვავებების დიდ ნაწილს საერთოდ არ აღნიშნავს თავის კომენტარებში, ქართულის სომხურისაგან განსხვავების მეორე ნაწილი კი ერთიანად, ცალკეული იკითხვის ანალიზის გარეშე, ქართველი რეცენზენტის მიერ თარგმანის ბერძნულთან შედარების შედეგად მიღებულ ვარიანტად მიაჩნია.

ტექსტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ქართულსა და სომხურში

ქართულ-სომხური განსხვავებების შემდეგი მაგალითები მოიცავენ იმ შემთხვევებს, როდესაც ბერძნული ლექსიკური ერთეული მოცემულ კონტექსტში ქართველ და სომეხ მთარგმნელს სხვადასხვაგვარად აქვს გაგებული და გადმოტანილი.

5.2 *ἔσφαλεν* (*make to fall, overthrow, trip up in wrestling (L&S); to cause to stumble; to fall (Lust)*) შესცოდა⁸⁷ (*peccavit, sündigen*) Ge^o; ცთომა-ყო (*etwas falsch machen, sündigen*) Ge^g; *կործանեցաւ* (*(eversa est) deicientur; overturn, subvert, overthrow, demolish, destroy, ruin* (დაღუპვა, დაცემა, დანგრევა, განადგურება))⁸⁸ > Ge^L. კონტექსტი ასეთია: 5.2 *ἔπεισεν* ἰσάκῃτι μὴ προσθῆναι τοῖς ἀναστῆσαι παρβένος τοῖς Ἰσραηλ *ἔσφαλεν* ἐπὶ τῆς γῆς αὐτῆς ἰσάκ ἔστιν ὁ ἀναστῆσαι αὐτῆς] დაეცა, არღარა შესძინოს (-ო J) აღდგომად ქალწულმან, ასულმან ისრაელისამან. შესცოდა ქუეყანასა თვისსა (მისსა J). არავინ არს, რომელმან აღადგინოს იგი OJ; Անկաւ (տունդ Իսրայելի, եւ⁸⁹ ոչ եւս յաւելուցու յառնել կոյսն Իսրայելի. կործանեցաւ յերկրի իւրում, եւ չիք որ որ կանգնիցէ գնա. ბერძნული ტექსტის გადმოტანის პრობლემას, როგორც ჩანს, ის წარმოადგენს, რომ განსასხვავებელია სინონიმები - *πίπτω* და *σφάλλω*. პირველისთვის ქართულში და სომხურში ამ სიტყვის მყარი ეკვივალენტებია გამოყენებული, მეორეს ეკვივალენტი კი კონტექსტის მიხედვითაა

⁸⁷ ამ სიტყვის ეკვივალენტი, ჩვეულებრი *ἀμαρτάνω*-ა. იხ. ოსია 10.9; 12.9 *ἤμαρτεν*;

⁸⁸ ეს სომხური ეკვივალენტი იხ. ზემოთ, 8.14. Assfalgi aRniSnavs am gansxvavebas, 172

⁸⁹ *ὁὐκ* Ἰσραηλ გადმოტანილია 5.1.-დან.

შერჩეული. მაგრამ რადგანაც მთარგმნელები კონტექსტს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებას ახდენენ, მათ მიერ მოძებნილი ეკვივალენტების მნიშვნელობებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ კონტექსტში ლექსიკის კუთხით ქართული და სომხური სხვა რამითაც განსხვავდება: ἀναστῆναι და ἀναστήσας სომხურში განსხვავებული ეკვივალენტებითაა თარგმნილი (յառնել (*rise, arise, get up, stand up*) կանգնիցէ (*rise, lift up, reinstate, reestablish; raise up, erect, set up, build, rebuild*), ქართულში კი, როგორც ბერძნულში, ერთიდაიგივე სიტყვაა ნახმარი (აღდგომად; აღადგინოს).⁹⁰

6.8. τῆς ὑβρις] გინებაჲ; ἡγάρυτοιφίη. ბერძნული ὑβρις (*wanton violence, arising from the pride of strength or from passion, insolence (L&Sc); insolence, pride, arrogance; shame, insult, mistreatment (Lust); disaster, damage Ac 27:10*) ქართულში მისი მყარი ეკვივალენტით გადმოდის (გინება - *shame, insult*)⁹¹, ასევე მყარი ეკვივალენტია ნახმარი სომხურშიც (*pride, arrogance, haughtinnes, vain-glory, superciliousness*)⁹². ისიც აღსანიშნავია, რომ ἡγάρυτοι პართულიდან შემოსული ნასესხობაა არამართო სომხურში, არამედ ქართულშიც (ამპარტავანი), ასე რომ სომხური ქართულის დედანი რომ იყოს, მოსალოდნელი იქნებოდა მასაც ეს სიტყვა ეხმარა.

6.6. τὰ πάντα ἡδύα პირველთა მიჰრონთა Ge] რჩეუელსა (*electis Ach; ausgewehlt*) ნელსაცხებელსა; ἡδύ (dulci, sweet, agreeable)) ἡδύ. ცხადია, რომ აქაც დედნის ბუნდოვანება წარმოშობს ინტერპრეტაციის აუცილებლობას და ეს ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარია ქართულსა და სომხურში.

სხვადასხვა ტექსტუალური ტრადიცია ქართული და სომხური თარგმანის მიღმა

1.11 νῆχος ძლევად Ge] εἰς νῆχος (რისხვა, ჩხუბი) B^c L-49'-407 91^c 106 Ach Syh: cf 87Os 10¹⁴ ἡ ἡσκαთასლიφίη (*contrariety, opposition, resistance; dispute, quarrel, contest, combat*)⁹⁴

⁹⁰ Assfalgi am gansxvavebas aRar aRniSnavs, 172

⁹¹ იხ. მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში: მიქეა 6.10; ნაუმი 2.2; სოფ.2.10; 3.11; ზაქ. 9.6; 10.11.

⁹² მიქეა 6.10; ნაუმი 2.2; 3.11; ზაქ. 9.6; 10.11.

⁹³ Assfalgi am gansxvavebas ar aRniSnavs.

⁹⁴ Assfalgi am gansxvavebas ar aRniSnavs.

8.7. εἰς νῆκος ძღვევად Ge] ἡ σαყან (*in finem*) = εἰς τέλος σ' ἄ'

3.15. προστεθήσονται შეიძინენ (შეიძრნენ(erro O); შეეძინენ GSB) Ge] αφαισθησονται (გაქრობა, გაფუჭება, შემუსრვა) L`-407^{mg} Syh^{mg} ანსკჰნ Arm Th. Tht.; ციგლერს სომხური ანსკჰნ (დაეცნენ) ლუკიანური αφαιζειν-ის ეკვივალენტად მიაჩნია. სხვა კონტექსტებში (3.14.; 5.2; 7.17) ანსკანსჰ πίπτω-ს შეესაბამება, ხოლო αφαισθησονται 7.9.-ში გადმოტანილია როგორც საყასკანსჰ. ἀφαιζω-ს ეკვივალენტის ცვლილება 3.15-ში, როგორც ჩანს, ამავე მუხლში ἀπολοῦνται-ს (=წარწყმდენ) საყასკანსჰ-თი გადმოტანამ გამოიწვია⁹⁵. რაც შეეხება ქართულ ეკვივალენტს, სემანტიკური სიზუსტე προστεθήσονται-ის გადმოტანისას იმდენად გაუგებარს ხდის კონტექსტს, რომ ოშკურ ხელნაწერში შეიძინენ-ის არასწორედ წაკითხული, კონტექსტს უფრო მისადაგებული შეიძრნენ (*shake, move*) (=σειώ 1.14; 9.1; σαλεύω 9.5) გვაქვს.

6.2. βασιλειῶν მეფეთაგანისათა J; თაგანისათა (erro O] πόλεων 26 παραρῶν Arm. თუმცა სომხურის ვარიანტი შესაძლოა დედნისაგან დამოუკიდებლად იყოს წარმომდგარი, რადგანაც კონტექსტში საუბარია ქალაქებზე (Εμαθ, Ραββα და Γεθ). სხვათა შორის, არაა გამორიცხული, რომ ოშკური ხელნაწერის თაგანისათა გადამწერის მიერ ტოპონიმად იყოს მიჩნეული.

სეგმენტაცია სიტყვის დონის ქვეშ

თუ ზემოთ მოყვანილი მასალა, რომელიც ბერძნული ლექსიკის სემანტიკის ასახვას ეხება, მაინც ინტერპრეტაციასთანაა დაკავშირებული და შესაძლოა ერთმნიშვნელოვნად ცხადი და მისაღები არ იყოს, შემდგომი, ფორმალური შესატყვისობები ქართულისა ბერძნულთან და მისი განსხვავებები სომხურისაგან უკვე ცალსახად გამორიცხავს ქართული

⁹⁵ ἀπολοῦνται οἴκοι ἐλεφάντινοι καὶ προστεθήσονται (//αφαισθησονται) οἴκοι ἕτεροι πολλοί - საყასკანსჰ საყარანჰ φηουσკრესჰ, ხუ რაფიონ ხუ აჟ საყარანჰ ანსკჰნ (καὶ ἕτεροι πολλοι αφαισθησονται)

თარგმანის მომდიანროებას სომხურიდან და აშკარად წარმოაჩენს მის უშუალო კავშირს ბერძნულთან.

საქმე ეხება ბერძნული პრევერბიანი ფორმებისა, კომპოზიტების და დერივანტების ფორმალურასახვას ქართულ ეკვივალენტებში. პირველით დავიწყით.

სომხურში (ისევე, როგორც სირიულში), ზმნისწინი არ არსებობს, ქართულს კი საკმაოდ განვითარებული აქვს ზმნისწინების სისტემა⁹⁶, რაც ბერძნულთან ქართულის მჭიდრო სამწერლობო ურთიერთობების შედეგია⁹⁷. ამ სისტემის ჩამოყალიბებას ჩვენ დიაქრონიულად შეგვიძლია მივადევნოთ თვალი: ქართულ წერილობით ძეგლებში და, განსაკუთრებით, თარგმანებში კარგად ჩანს, თუ როგორ ცდილობს ქართული ფორმალურად ასახოს ბერძნული პრევერბები, როგორ ცდის ის სხვადასხვა შესაძლებლობას ეკვივალენტების ძიებაში.

ამოსის ქართული თარგმანი კარგი მაგალითია ენისა, რომელიც ჯერ კიდევ სისტემის ჩამოყალიბების პროცესშია და ნათლად აჩვენებს, თუ როგორ უბიძგებს ამ პროცესს ფორმალური თარგმანის პრინციპი. ქართველი მთარგმნელი სიტყვის სემანტიკის ფორმალურ სიზუსტესთან ერთად (ვგულისხმობ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობით გადმოტანას) ცდილობს ფორმალური სიზუსტით ასახოს სათარგმნი სიტყვის სტრუქტურა. ასე იქცევა იგი მაშინაც, როდესაც ზმნისწინის გადმოტანა აუცილებელი არ არის და მეტიც, პრევერბის გადმოტანით პლეონაზმი იქმნება წინადადებაში (4.11; 5.3). განსაკუთრებით საინტერესოა იმ ბერძნული ზმნების სეგმენტირებული გადმოტანა, რომელთა ზმნისწინებს საკუთარი მნიშვნელობა კი არა აქვთ, არამედ ზმნის მნიშვნელობის ცვლილებას ემსახურებიან. ასეთ შემთხვევაში ქართული წინდებულებიანი ფორმები ხელოვნურად შექმნილი ნეოლოგიზმებია, რომელთა მნიშვნელობაც ქართულში ბუნდოვანია (5.8 გარდასცვალებს; 5.15 კუალადმიაგეთ; 4.2 ქუეშესაგზებელად). პრევერბული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი *ამოსში* ეკვივალენტების სიმყარის დაცვის თვალსაზრისითაც იჩენს თავს: თუ *ღ* და *ღ* წინდებულებებისთვის უკვე მყარ ეკვივალენტებს იყენებს (გამო-, აღ-

⁹⁶ ვეშაპიძე ირაკლი, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, 1967

⁹⁷ დანელია კორნელი, ბერძნულ ადგილობრივ ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში; ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ზ. სარჯველაძის საერთო რედაქციით

//ადმო), *ἔπει*-სთვის და *εἰς*-თვის იგი კონტექსტისა და ზმნის სემანტიკის მიხედვით ცვლის ეკვივალენტებს; განსაკუთრებით საინტერესოა ფართო სემანტიკის წინდებულების - *κατα*-, *παρά*-, *διὰ* -, *μετα*- ეკვივალენტების სიმრავლე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მთარგმნელი ამ წინდებულთა ეკვივალენტების ძიებაშია⁹⁸.

ცხრილში მოტანილ ყველა შემთხვევაში ქართული თარგმანისაგან განსხვავებით, სომხური მხოლოდ სემანტიკურად მისდევს თავის ბერძნულ დედანს: ბერძნულ პრევერბიან ფორმებს აქ მარტივი ფორმები შეესაბამებათ. ცხადია, ქართული თარგმანის დედანი სომხური რომ ყოფილიყო, ამ მარტივი წარმოების ეკვივალენტები პრევერბიანი ფორმები არ იქნებოდა⁹⁹.

1.4. *ἔξαποστελῶ* გამომავლინო] *αποστελῶ* L C ´-68 Th.Tht მომავლინო L; მივავლინო G; *αὐτοῦ* *εἰς* *τὴν* *ἐκκλήσιαν* (*αὐτοῦ* *εἰς* *τὴν* *ἐκκλήσιαν* - *to send, to dispatch, to expedite*) მივავლინო, გავავზავნო)=1.7,10,12. *ἔξαποστελῶ* გამო- ვავლინო] *αὐτοῦ* *εἰς* *τὴν* *ἐκκλήσιαν*

5.4,14 *ἔχρησάτε* გამომიძიეთ (14. გამო-იძიეთ) Ge¹⁰⁰] *ἵνα* *ἔρευνῆτε* (*ἵνα* *ἔρευνῆτε* - *to seek, to look for, to search for or after, to make inquiries, to investigate, to examine*)

3.12. *ἔχσπασθη* გამო(ს)ტაცნის Ge⁰¹] *κατα* *ἔχσπασθη* *τὴν* *ἐκκλήσιαν* (*to be able to take away, to take by force,*)¹⁰¹

3.12. *ἔχσπασθη* გამოიტაცნენ Ge⁰¹; გამოტაცებულ იქმნენ Ge^{GSB}] *κατα* *ἔχσπασθη* *τὴν* *ἐκκλήσιαν* (*to take away, to carry off, to detach; to strip, to despoil, to rob*)

⁹⁸ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ენისათვის ამ წინდებულთა ასახვის სირთულე, როგორც ზმნასთან, ისე სახელთან, არამართო ადრეულ თარგმანებში, არამედ მოგვიანო რეცენზიებშიც იჩენს თავს, იხ. ცინდელიანი უჩა, *κατά* წინდებულის ეკვივალენტები მეფეთა წიგნების ქართულ თარგმანებში, მრავალთავი 4, 1978, 88; მიროტაძე ნათია, *παρά* და *διὰ* წინდებულთა ეკვივალენტები ფსალმუნთა წიგნის ძველ ქართულ რეცენზიებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2010, 72-82; მიროტაძე ნათია, *κατά* წინდებულის ეკვივალენტები ფსალმუნთა წიგნის ძველ ქართულ რეცენზიებში, ენათმეცნიერების საკითხები, 2009 (1-2), 205-213.

⁹⁹ აქ წარმოდგენილი მაგალითები მხოლოდ ნაწილია პრევერბიანი ფორმების ბერძნულ-ქართული შესატყვისობებისა. პრევერბების გადმოცემის მნიშვნელობაზე ქართული თარგმანის წარმომავლობისათვის იხ. უტიე ბერნარ, ზმნისწინები და ქართული ბიბლიის დედანი, ენათმეცნიერების საკითხები ი-2, 2009, 229-232.

¹⁰⁰ შდრ. უზმნისწინო ფორმა: 5.5. *ἔχρησάτε* გამომიძიეთ Ge^{GSB}] ეძიებთ Ge⁰¹

¹⁰¹ ამ კონტექსტში სომხური ეკვივალენტსაც ცვლის, მაშინ როდესაც ქართული ინარჩუნებს და, ბერძნულის მსგავსად იმეორებს სიტყვას: 3:12 *ὅτι τὸ πνεῦμα ἔχσπασθη ... οὕτως ἔχσπασθη* ვითარცა-სახედ გამოსტაცნის ... ეგრე გამოიტაცნენ Ge⁰¹ ვითარ-სახედ ოდეს გამოსტაცის ... ეგრეთ გამოტაცებულ იქმნენ Ge^{SB} *ὅτι ὁ πνεῦμα ἔχσπασθη ... ἵνα ἔρευνῆτε* ქართული არც სხვაგან არ ერიდება სიტყვის გამეორებას იქ, სადაც სიტყვა მეორდება ბერძნულში (იხ. ქვემოთ, 9.8)

4.11. *ἔξεσπασμένος ἐκ πυρός* გამტაცებული ცეცხლისაგან Ge^{OIG} გამტაცებული ცეცხლით Ge^L ;
ღერბესა ἢ ἡρῆ (ღერბანსს – იხ. ზემოთ, 3.2)

5.3. *ἔξ ἧς ἔξεπορεύοντο* რომლისაგან გამოვიდოდეს Ge^{OIG} ; რომლისაგან გამოვდის Ge^L ἵκρῃს
სლანსს (სლანსს – to go out, to go from the inside to the outside)

5.19. *ἔσπῃθη* შვეარდის Ge^{OJ} ივლტოდეს Ge^{GSB} ; *φύγῃ* (φύγῃ – to flee, to run away, to
escape გაიქცეს)

5.5. *ἔσπορεύεσθε* განხუალთ Ge^{OJL} ; *შეხუალთ* Ge^{GSB} მსანს

2.10. *ἄγῃ* აღმოგუყვანენ] *ἡρῃ* (ἡρῃ – to draw or pull out, to take away, to abstract, to remove,
to displace; to dislodge; to raise, to lift up, to carry up)

4.5. *ἀνέγνωσαν* აღმოკითხეს Ge^{OIG} ; -ხვიდეს Ge^L *ἀνέγνωσαν* (ἀνέγνωσαν – to read ἢ ἄρῃ (ხმა)
რადრადანკითხულობდნენ)

9.5. *ἀναβήσεται* აღმოვიდეს] *ἐγῃ* (სლანსს – to go out, to go from inside to outside; to ascend, to go to
a higher place ახვალთ)

5.6. *ἀνάμψῃ* ადატყდეს Ge^{OJL} ; აღნთოს Ge^G *ἀνάμψῃ* (ἀνάμψῃ – to inflame, to kindle, to set
on fire, to burn; to warm, to heat)

1.14. *ἀνάψῃ* ალვაგზნე] *ἀνάμψῃ* (ix. 5.6. *ἀνάμψῃ* სხვადასხვა ბერძ-ს შეესაბამება)

4.2. *ὑποκαίωμένους* ქუემესაგზებელად Ge^O ქუემესაგზებელად Ge^L ქუემესაგზებარეებად Ge^G
განკურვებულსა L = *ἐκθῃ* (ἐκθῃ – to heat, to warm, to make hot or warm; to boil
გათბობა, გახურება, დაწვა)

9.13. *ἀποσταλάξει* გამოადინებენ] *ῥῃ* (ῥῃ – to flow, to drop, to gush, to stream; to derive,
to emanate, to come, to proceed, to arise, to spring from to produce, to cause, to spread)

5.15. *ἀποκαταστήσατε* კუალადმოაგეთ OJL დაემტკიცოს G; *ἰσχυροῦσθε* (ἰσχυροῦσθε: to grow
harder, to become stronger, to be confirmed, to take root in, to settle oneself, to stay დაამტკიცეთ) =

1.3,9. ἀποστραφήσομαι გარემოვექცე Ge^e; გარემოვიქცე Ge^e] դարձայց (դարձնալ – to turn, to turn about, to return, to go and come back again მივიქცე)

9.5 καταβήσεται წარმოვეცე Ge^o; შთამოვიდეს Ge^{sb}] իջցէ (իջանել – to descend; to fall¹⁰²)

9.3 καταδύσασιν შთავეცე Ge^o; დავეცე Ge^{sb}] ընկեսցին (ընկենուլ – to throw, to cast, to hurl, to pour)

9.2 κατάξω გარდამოვსთხინე Ge^o; გარდამოვიხინე Ge^{sb}] իջուցից (իջուցանել – to make to descend, to cause to fall; to let down, to lower; to pull down, to take down)

5.8. μετασκευάζω გარდასცვალებს Ge^{ol}; გარდავეზადებს Ge^g] სორიქტ (სორიქტელ – to mend, to repair, to restore to the first condition; fig. to renew განახლება, შეკეთება)

8.12. περιδραμοῦνται მიმღობოდიან JL^{PLKSH} (om O)] ընթասցին (ընթանալ – to run, to run to; to slide; to gallop; to walk სირბილი, სიარული, სვლა)

3.11. διαρπαγίσονται მიმღოსატაცებელ იყოს Ge] յაძիշտასկեսցին (յაძიշտასկել – to ravish, to carry off by force, to carry away with violence)

5.5. διαβαίνετε წიაღხუალთ Ge^o; წარველით Ge^{-L-K}] ავაბ. W' A'-Q-49'-198-233-534 Bo Aeth Arab Cyr.Th. აღხუალთ G; ելანէք (ելանել¹⁰³) Arm

6.2. διέρητέ; διέλθατε] წიაღველით ანგელ' p (ანგანელ – to pass, to flow, to run; to pass away, to pass over გადადით, მიაღწიეთ, შეაღწიეთ)

8.5 διελύσεται გარდავეცე¹⁰⁴] ანგელ

7.8; 8.2. τοῦ παρελθεῖν თანაწარსლვად] ანგოღანელ (to pass; to cause to pass; to transmit)

5.23. μετάστησον ἀπ' ἐμοῦ გარდაადგინე ჩემგან Ge^g] განმაშორენ ჩემგან Ge^o; Ἡ ραί' γ' ἄρῃ (რაელ – very far; from afar).

¹⁰² cf ზემოთ იგივე შესატყვისობა: 6.10 παραβαίω.

¹⁰³ იხ. ზემოთ, 9.5. ἀναβήσεται.

¹⁰⁴ იხ. ზემოთ 5.17 διελύσομαι διὰ μέσου] განვლო შორის (საშუალ).

ასევე გადმოაქვს ქართველ მთარგმნელს წინდებულები არსებით სახელებთან და ქმნის ნეოლოგიზმებს - წინდებულებიანი კომპოზიტებს)Nominalkomposita:

3.15. τὸν περίπτερον გარემლოფროთეედი] ἰσχυροῦ (ἰσχυροῦ - *winged, that has wings*; ἰσχυρ - *wing*, -ισχυρ ზედსართავის მაწარმოებელი -*იანო*; ფრთიანი);

9.1. τὰ πρὸς πύλας] ბჭეთაწინაშე Kompositum: πρὸς =წინაშე-πύλας =ბჭეთა; cf. Zep. 1.9 წინაშე ბჭეთა Ge^{OL}; წინაბჭენი G ἡρῶν (ἡρῶν - jamb, threshold; dooe-posts; portal, entry), სომხურში არაა წინდებული.

ქართულ თარგმანში სეგმენტირებულია ბერძნული ზმნიზედები:

2.9. ἐπάνωθεν ზედაკერძო] ἢ ὑψηλοῦ (*from above, from on high*)

2.9. ὑποκάτωθεν ქუეშეკერძო] ἢ ὑποῦ (*under, below*)

მიუხედავად იმისა, რომ სომხურს შეუძლია უარყოფითი ფორმის პრეფიქსული ნაწილაკით წარმოება, მისი ეკვივალენტი ორგანულ ფორმას წარმოადგენს, ქართული კი ისევ სეგმენტებად შლის სათარგმნ სიტყვას და ლიტერალურად გადმოაქვს ორივე ნაწილი:

7.17 ἀκαθάρτα არაწმიდასა] αἴθρη (αἴθρη- *impure, unclean, profane; filthy, foul, dirty* ბილწი, ბინძური)

ასევე საინტერესოა მაგალითები, სადაც ბერძნულის კომპოზიტს (ჰაპაქსს) ქართულში მის მიხედვით შექმნილი კომპოზიტი შეესაბამება, სომხურში კი ეტიმოლოგიური ფიგურა.

7.15. ὁ μὴ ὁχλαγωγῆσις] ნუ ერის-კრებას(ა) ჰყოფ ὑπὲρ συνῆλξε συνῆλξε (συνῆλξε - *assemblage, collection; heap; assembly; company; council, synod; session, sitting; meeting, assembly; crowd, multitude, people*; συνῆλξε - *to assemble, to collect*)

ანდა პირიქით - ქართულში, ბერძნულის მსგავსად მარტივი სიტყვაა (simplex), სომხურში კი კომპოზიტი ან აღწერითი ფორმა (Umschreibung):

1.1. τὸν σεισμοῦ ძრვისა მის Ge^{OLG}] ქუეყანისა ძვრისა Ge^{SB}= զգետն-ա-շարժն (զգետն-ա-շարժ ადგილის ძვრა) (cf. 1.14. σεισθήσεται] შეიძრას շարժեսցի)

5.10. ἐβδελύξαντο მოიძაგეს Ge] აჰი ἦδυσ¹⁰⁵ არაჰინ (ბილწად ქმნეს)

2.4. οἷς ἐξήκολισθησαν რომელთაცა შეუდგეს] qnong qhxtu qnaxghn (რომელთან ერთადაც წავიდნენ)

6.10 τοῖς προεστηκόσι წინამძღუართა მათ Ge^{ol}; ზედამდგომელთა Ge^{GSB}] გა ἵνυαჰქ npp kaxghn anaxgh (მათ, ვინც არიან წინ)

4.1. καταπατοῦσαι] დასთრგუნავთ an nun haxkxanx (an (by, with) nun (foot) haxkxanx - ფეხით გათელვა)

6.11 ἐντέλλεται ამცნოს hrxamx'n taxgh (ბრძანება გასცეს (hrxamx'n (command, order; permission; edict) taxl – to give, to present, to offer; to make, to render, to produce, to cause ბრძანების გაცემა)

ზემოთ მოტანილი მეთოდური მიდგომის გასამყარებლად, რომ თარგმანის წარმომავლობის კვლევისას აუცილებელია ენაში არსებული ვითარებისა და თარგმანის ტექნიკის გათვალისწინება, საგანგებოდ გამოვყოფ შემდეგ შემთხვევას:

8.1. ἰξυστοῦ მემახურისასა ἰ მემახურისასა ὀ] hax-npuaxg (hax (bird) npunp (hunter) ფრინველზე მონადირე) cf. 3.5. ἰξυστοῦ მემახურისა ἰ თვნიერ მახვლისა (err) ὀ] npunp (hunter) (მონადირის გარეშე). როგორც ვხედავთ, იმ შემთხვევაში, როცა ქართულში ბერძნული ლექსიკურ ერთეულის შესატყვისი არსებობს, სომხურში კი არა, ეს თარგმანები ფორმალურად შორდებიან ერთმანეთს: ქართულში ბერძნულის ფორმალური და სემანტიკური ეკვივალენტია, სომხური კი თარგმანის სხვადასხვა ხერხს მიმართავს: ერთ შემთხვევაში (8.1.) აღწერითად, კომპოზიტით hax-npuaxg (bird hunter) გადმოაქვს სათარგმნი სიტყვა (აქ ასფალგი მხოლოდ რიცხვში განსხვავებაზე უთითებს ქართულსა და სომხურს შორის), მეორე შემთხვევაში კი (3.5) ზოგადი მნიშვნელობით: npunp (hunter მონადირე) (ასფალგი არც ამ ფორმალურ განსხვავებას ახსენებს).

დერივანტები ქართულში

¹⁰⁵ cf 7.17 ἀκαθάρτα

ეს ის შემთხვევებია, როდესაც ქართული იმავე ძირიდან აწარმოებს ზმნას, საიდანაც ბერძნული, სომხური კი ისევ კონტექსტიდან ამოდის და სემანტიკურ ეკვივალენტს ხმარობს.

Hos. 5:8 σαλπίζατε σάλπιγγι დაუბეროთ ნესტუსა ჟიი ხარეჲ

Joel 2:1 σαλπίζατε σάλπιγγι დაჰბერეთ ნესტუსა ჟიი ხარეჲ

Joel 2:15 σαλπίζατε σάλπιγγι დაჰბერეთ ნესტუსა ჟიი ხარეჲ

i. სომხური ვერ აწარმოებს ზოგიერთი ზმნის ორგანულ ფორმას მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების თარგმანში.

θεμελιῶ (*found, establish, strengthen*) არქანსე (*throw*) ხიჲნი (*foundation*) დაფუძნება

Zech. 8:9 θεμελιῶται ὁ οἶκος κυρίου არეჲჲ ხიჲნი თანს **სეანი** დაფუძნებულ არს სახლი ესე უფლისა Geo^o

Zech. 12:1 θεμελιῶν γῆν არეჲ ხიჲნი **ერეჲჲ**, დააფუძნა ქუეყანა Geo^o

Zech. 4:9 ἐθεμελίωσαν τὸν οἶκον ხიჲნი **არეჲჲ** თანჲ დააფუძნეს სახლი Geo^o

Amos 9:6 ἐπὶ τῆς γῆς θεμελιῶν **ერეჲჲ** ხაჲსთათჲ, ქუეყანასა ზედა დააფუძნებს, Geo^o

Hag. 2:18 ἐθεμελιώθη ὁ ναὸς κυρίου **ანსკა** ხიჲნი თადაერეჲ **სეანი**, დაეფუძნა ტაძარი უფლისა, Geo^o

cf. **Ezr. 3:10** καὶ ἐθεμελίωσαν τοῦ οἰκοδομησαὶ τὸν οἶκον κυρίου
Et **արկին** **հիմն** **եւսկսան** **շինել** **գտուն** **Տեառն**, **და** **დადევს** **საფუძველი** **და** **იწყეს** **შენებად**
სახლსა მას უფლისასა. Geo^{JDFS}

Ezr. 3:6 ὁ οἶκος κυρίου οὐκ ἐθεμελιώθη ὑμῶν **Տեառն** **ոչ** **եւսեր** **հիմն** **արկեալ**: **და** **სახლისა** **მის**
უფლისა **არღარა** **დადებულ** **იყო** **საფუძველი**. Geo^{JDFS}

διαμαρτύρομαι (*to testify: an angel, ἰσχυρῶς; xiva Zc 3.6. μάρτυς, μάρτυρος, ὁ witness*) **դնել** (*put*)
վկայութիւն (*witness*) **წამება** (*მოწამე-ყოფა, დამოწმება ილ. აბულაძე*)

Zech. 3:6 καὶ διεμαρτύρατο ὁ ἄγγελος κυρίου πρὸς Ἰησοῦν λέγων Et **դნერ** **վկայութիւն**
հրեշտակն **Տեառն** **ընդ** **Յեսուայ** **եւ** **ասեր**: **და** **უწამებდა** **ისუ** **და** **ჰრქუა** Geo^{OJ}, **და** **წამებდა**
ანგელოზი უფლისა **იისუ** **მიმართ** **მეტყუჭლი**: Geo^{SB}

Mal. 2:14 κύριος διεμαρτύρατο ἀνὰ μέσον σοῦ **Տեր** **եղ** **ուխտ** **ի_մէջ** **ք** (*უფალმა დადო ფიცი*
შორის შენსა) **უფალი** **გიწამებდა** **შორის** **შენსა** Geo^{OJ}

σημαίνω (*to give signal, indicate: + dat. pers., Zc 10.8.*) **აღი** (*notice, advice*) **აძინელ** (*make*)

Zech. 10:8 σημαίνω αὐτοῖς καὶ εἰσδέξομαι αὐτούς **აღი** **არარից** **სიგა** **ე** **ընსკალაყ** **գնուս**
ვაუწყო **მათ** **და** **შევიწყნარნე** **იგინი** Geo^{OJ}, **აღვნიშნე** **იგინი** **და** **შევიწყნარნე** **იგინი** Geo^{SB}

ἐορτάζω (*celebrate a festival*) **აძინელ** (*make*) **სიონ** (*feast, holiday*) **დღესასწაულობა**

Zech. 14:16,18, 19 τοῦ ἐορτάζειν τὴν ἐορτὴν τῆς σκηνοπηγίας **აძინელ** **գտուն** **საղა** **արահարացն**:
(**გააკეთო** (**მოწყო**) **კარვის** **დგმის** **დღესასწაული**) **დღესასწაულობად** **დღესასწაულსა** **მას**
კარვობისასა Geo^{OJ}

ἀποκρίνομαι (*answer, reply*) **պատասխանի** (*answer*) **საყ** (*give*) **მიგება** Zech. 1:6,10,11,12,13; 3:4;
4:6,11; 6:4,5

αἰσχύνομαι (*exclus. mid. and pass. be ashamed*) **აღი** (*shame*) **լինელ** (*be*) **რცხვენა**

Zech. 9:5 ἰσχύνθη ἐπὶ τῷ παραπτώματι αὐτῆς **յամօթ** **եղ** **ի** **վերայ** **յանցանաց** **իրօց** **ჰრცხვენა**
შეცოდებითა **თვისითა**

Joel 1:12 ὅτι ἴσχυσαν χαρὰν οἱ υἱοὶ τῶν ἀνθρώπων εἶς ἵασις ἁρῶν
გურიჟიუიჟინ ἡρηჟ` ` ἡარჟიან: რამეთუ არცხვნეს სიხარულსა ძეთა კაცთასა. Geo^{OJ}

ἐπιλαμβάνομαι (*take hold of, grasp, catch w. gen. or acc*) **ῥοιὸν** (*handful, fist*) **ἡარκῶν** (*strike*)
შეპყრობა/ პყრობა/ შებმა-ყოფა

Zech. 8:23 ἐπιλάβονται τοῦ κρασπέδου ἀνδρὸς **ῥοιὸν** **ἡარκῶν** ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν
ფესვ კაცისა Geo^{OJ}

Zech. 8:23 ἐὰν ἐπιλάβονται δέκα ἄνδρες ἐκ πασῶν τῶν γλωσσῶν τῶν ἐθνῶν **ῥοιὸν** **ἡარκῶν**
ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν
შებმა-უყონ ათთა კაცთა ყოველთაგან ენათა
წარმართთა Geo^{OJ}

Zech. 14:13 ἐπιλήψονται ἕκαστος τῆς χειρὸς τοῦ πλησίον αὐτοῦ **ῥοιὸν**
ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν
და უპყრას კაცად-კაცადმან კელი
მოყუსისა თვისისა Geo^{OJ}

j. ის, რაც ერთი შეხედვით სომხური შეიძლება გვეგონოს

σύνφυτος, ον (*adjective. literally-planted together, grown together; figuratively united with, closely identified with, one with*)

Zech. 11:2 κατεσπάσθη ὁ δρυμὸς ὁ **σύνφυτος** ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν ἡარκῶν
იგი კშირი ნერგი Geo^{OJ} დაიფხურა მალნარი ნერგოანი Geo^{SB}

თუ ამ კომპოზიციტს დავშლით მივიღებთ **φυτόν, τὸ, (φύω)** (*that which has grown, a plant, tree*)

σὺν (*prep with*) თუ ქართველი მთარგმნელი სეგმენტებად დაშლიდა და ზუსტად თარგმნიდა, მიიღებდა „თანანერგს“, როგორც ახალი აღთქმის მთარგმნელმა გააკეთა Rom. 6:5 εἰ γὰρ **σὺμφυτοὶ** γεγύναμεν რამეთუ უკუეთუ **თანა-ნერგ** ვექმნენით.¹²⁷

სომხური კომპოზიტი ასე დაიშლება **սնկեսա** (*plant*) **խիտ** (*dense*). ე.ი. ნერგხშირი

თუ ქართველი მთარგმნელი სომხურიდან თარგმნის, არ გაუჭირდებოდა „ჭშირი ნერგის“ ნაცვლად „ნერგჭშირი“ კომპოზიტი გაეკეთებინა. ამოსის წინასწარმეტყველებაშიც არის იგივე ბერძნული სიტყვა, მაგრამ ოშკური მთარგმნელი **ნერგოვან** სიტყვით თარგმნის, სომხურში კი ეკვივალენტი უცვლელია.

Amos 9:13 πάντες οἱ βουνοὶ **σὺμφυτοὶ** ἔσονται ἀμύνησιν **φυλίου** **ἀνισαυοῦ****χίου** **ἐληθῆς**:
ყოველნი ბორცუნი **ნერგოვან** (**ნერგოან** Geo^{GSB}) იყვნენ Geo^{OJ}

ვფიქრობთ, აქ კონტექსტს უნდა მივაქციოთ ყურადღება და **δρυμὸς, ὅ**, სიტყვის მნიშვნელობა გავარკვიოთ. **δρυμὸς, ὅ**, *coppice, thicket: where wood is collected*, **მალნარი** ტყე, ხშირი ტყე, ტევრი, ფოთოლ და რტომრავალი ტყე, ჭალა¹²⁸ **σὺμφυτοῦ**, ὅν 1. *thickly wooded: 'thicket'* Zc 11.2.

როგორც ვხედავთ ეს ორი სიტყვა მნიშვნელობით ერთმანეთს ჰგავს, თითქოს ერთი აზუსტებს მეორეს. იქნებ თარგმანის ტიპოლოგიასთან გვაქვს საქმე და არა სომხურიდან მომდინარე კალკზე? სეპტუაგინტას აპარატში ამგვარი ვარიანტი დასტურდება ὁ σὺμφυτοῦ] *inclusus multus* Ach¹²⁹: cf. MT. რაც მავარაუდებინებს რომ ეს ვარიანტი თარგმანის ტექნიკაზე მიუთითებს და არა წარმომავლობაზე.

ზაქარია წინასწარმეტყველმა ჩვენებით იხილა ოქროს შვიდსანთლელი ე.წ. მენორა¹³⁰ და აღწერს მის შემადგენელ ნაწილებს, რომელთაგან ერთ-ერთია **ἐπαρυστρίς, -ίδος**; (*channel for pouring oil into a lamp, 'funnel' (Muraoka)*) **բերան** (*Mouth*) პირი Geo^{OJ}, მოსავსებელი Geo^{SB}

¹²⁷ <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/nt/pavleni/pavle.htm>

¹²⁸ ილ. აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონი 1973, გვ. 221

¹²⁹ Die achmimische Übersetzung = Ach (კოპტური ენის ერთ-ერთი დიალექტი)

Ziegler, J. (Ed.). (1984). Duodecim Prophetiae (Vol. XIII, p. 18). Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.

¹³⁰ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=2416>

ჩვენთვის საინტერესოა, რატომ არის სომხურსა და ქართულ თარგმანში ერთნაირი ვარიანტი.

Zech. 4:2 ἑώρακα καὶ ἰδοὺ λυχνία χρυσοῦ ὅλη καὶ τὸ λαμπάδιον ἐπάνω αὐτῆς καὶ ἐπτὰ λύχνοι ἐπάνω αὐτῆς καὶ **ἐπτὰ ἐπαρυστρίδες τοῖς λύχνοις** τοῖς ἐπάνω αὐτῆς **Տեսանեմ ահա աշտանակ ոսկի ձոյլ, և գունդ ի վերայ նորա. և եւթն ճրագ ի վերայ նորա, և եւթն բերանք ճրագացն** որ ի վերայ նորա: აჰა-ესერა ვიხილე სასანთლჳ ოქროსად ყოვლად მყარი და სანთელი მას ზედა და **შვდნი პირნი სასანთლესა** (სასანთლჳსა O, სანთელსა J) მას, რომელ არიან ზედა კერძო მისა. Geo^O; ვიხილე და აჰა საბაზმაკე ოქროსად სრულიად და ლამპარი ზედადთ მისსა და შვდნი ბაზმაკნი ზედაით(sic) მისსა და **შვდნი მოსავსებელნი** მათნი ზედადთთა მისთა ბაზმაკათანი. Geo^{SB}

მეორე ადგილასაც გვხვდება ზაქარიას წინასწარმეტყველებებში ეს ბერძნული სიტყვა, რომლის სომხური შესატყვისი იცვლება, ხოლო ქართული იგივე რჩება Zech. 4:12 τὰς ἐπαρυστρίδας τὰς χρυσοῦς ἄδαξυκιν_οσկηυ სანთლის პირთა მათ ოქროსათა Geo^O; მოსავსებელთა მათ Geo^{SB}. დაუპყ სიტყვა ნიშნავს Taste, savour, relish; gust, style, manner , რომელიც ლევიტელთა წიგნში შეესატყვისება κοτύλη (*a cup*) სიტყვას, ომკურ თარგმანში „საწყაული“. Lev. 14:10,12,15,21,24 κοτύλην ἑλαίου ἄδαξυκιν ἰηοηυ საწყაული იგი ზეთისად Geo^{AKSB}.

ამ სურათის მიხედვით ერთ შემთხვევაში სომხური სხვა შესატყვისის გვთავაზობს და მეორეში სხვას, ქართული კი ორივესთვის ერთს, მაგრამ მაფიქრებს ის რომ Zech. 4:12-ში სომხურ თარგმანში გვაქვს კომპოზიტი **ճրագաբերանացն**, რომელიც **μῦξωτήρ**, -ἦρος, ὀ; (*pipe as conduit for fluid: attachment of candlestick, (Muraoka)) small vessel for pouring Liddell-Scott, Greek Lexicon (Abridged)*) შესატყვისად დადგა. ვნახოთ კონტექსტი- Zech. 4:12 καὶ ἐπηρώτησα ἐκ δευτέρου καὶ εἶπα πρὸς αὐτόν τί οἱ δύο κλάδοι τῶν ἑλαιῶν οἱ ἐν ταῖς χερσὶν τῶν δύο **μῦξωτήρων** τῶν χρυσοῦν τῶν ἐπιχεόντων καὶ ἐπαναγόντων **τὰς ἐπαρυστρίδας** τὰς χρυσοῦς **և հարցի կրկին և** **ասեմ** **ցնա. Զի՞նչ երկու ոստք** **ձիթենեացն** ^[43]**որ ի ձեռք երկուց** **ճրագաբերանացն** **ոսկեաց** **արկանելեաց և ի վեր** **հանելեաց** **գճաշակսն** **ոսկիս:** **და** ვპკითხე კუალად მეორედ და ვარქუ მას: რად არიან ორნი ესე რტონი ზეთისხილისანი,

Gen. 31:24 καθ' ὑπνον τὴν νύκτα ἡ ἰσραηλῆσιν ἐχέτηρον ἑμέριον Geo^o

Gen. 46:2; Dat. 2:19;4:13;7:13 ἐν ὀράματι τῆς νυκτός ἡ ἰσραηλῆσιν ἐχέτηρον_ჩუენებასა ღამისასა Geo^{o()}

παρίστημι (*to stand by to serve or assist: + dat. pers.,*) ზმნას თარგმნისას ქართველი და სომეხი მთარგმნელი ორ ნაწილად შლის. παρά პრევერბს აქცევს წინდებულად **ათაჲჲ წინაშე**, ხოლო ἵστημι *stand* პირველადი მნიშვნელობით თარგმნის. ასეთი თარგმანი ზაქარიას წინასწარმეტყველების წიგნის გარდა შესაქმეშიც გვაქვს, როგორც ქართულად, ისე სომხურად, რაც თარგმანის ერთნაირ ტექნიკაზე მეტყველებს და არა ქართული თარგმანის სომხურიდან წარმომავლობაზე.

Zech. 4:14 παρεστήκασιν τῷ κυρίῳ **κῶσ** **ათაჲჲ** **სტან** **ღგანან წინაშე** უფლისა Geo^{o()}

Zech. 6:5 παραστήναι τῷ κυρίῳ πάσης τῆς γῆς **κῶს** **ათაჲჲ** **სტან** **აანსაჲს** **ერქი:** წარდგომად წინაშე უფლისა ყოვლისა ქუეყანისაჲსა. Geo^{o()}

Gen. 18:8 παρεστήκει αὐτοῖς **ἐ** **სა** **კაჲ** **ათაჲჲ** **სტან** **წინაშე** მათსა **ღგა** Geo^o

Gen. 40:4 παρέστη αὐτοῖς **ἐ** **კაჲ** **სტან** **დაღგა** იგი წინაშე მათსა Geo^o

Gen. 45:1 τῶν παρεστηκότων αὐτῷ **ერქი** **ღგანან** **კაჲს** **კაჲს**, წინაშემდგომელთა მისთა Geo^o

ἐπιτήδευμα, ατος, τός, (*a pursuit, business, practice*) ძველ ქართულ თარგმანებში (არამხოლოდ ბიბლიის) შეესატყვისება *სიმარჯვე, საქმე, მოქმედება, კელოვნება, ქცევა, სვლა, წესი, ჩვეულება (ლ.კვირიკ.)* ზაქარიას წინასწარმეტყველების ომკურ თარგმანში *სღვა/საქმე*, გელათურში სიმარჯვე, ხოლო სომხურში *գնաց (going)*. იგივე სურათია სხვა მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების თარგმანში, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ქართულ თარგმანშიც *საქმე* და სომხურშიც *գործ work*. აქედან გამომდინარე ზედმეტია ვისაუბროთ სოხურის გავლენაზე ქართულ თარგმანში. მთარგმნელები კონტექსტის მიხედვით ცვლიან ეკვივალენტებს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ზოგჯერ ერთნაირადაც.

Zech. 1:6 παρατέτακται κύριος παντοκράτωρ τοῦ ποιῆσαι κατὰ τὰς ὁδοὺς ὑμῶν καὶ κατὰ τὰ ἐπιτηδέσματα ὑμῶν ὅτι ἔποιήσεν ὑμῖν **განწყობილ** არს უფალი ყოვლისა მპყრობელი ყოფად

ჩვენდა გზათაებრ ჩვენთა და სლვათაებრ (სიმარჯუჭთაებრ Geo^{SB}) ესაა ყნაყჩე ჩვენთა, ეგრეთ მიყო ჩვენ. Geo^{OJ}

Zech. 1:4 ἀποστρέψατε ἀπὸ τῶν ὀδῶν ὑμῶν τῶν πονηρῶν καὶ ἀπὸ τῶν ἐπιτηδευμάτων ὑμῶν τῶν πονηρῶν მოიქეციო ჩემდა - იტყვს უფალი - გზათაგან თქვენთა ზოროტთა და ჩ ყნაყჩე საქმეთაგან (სიმარჯუჭთაგან Geo^{SB}) თქვენთა არაკეთილთა! Geo^{OJ}

Zech. 1:4 ἀπὸ τῶν ἐπιτηδευμάτων **ჩ ყნაყჩე საქმეთაგან** Geo^{OJ} ; **სიმარჯუჭთაგან** Geo^{SB}

Hos. 12:3 καὶ κρίσις τῷ κυρίῳ πρὸς Ἰουδαὺν τοῦ ἐκδικῆσαι τὸν Ἰακώβ κατὰ τὰς ὁδοὺς αὐτοῦ καὶ κατὰ τὰ ἐπιτηδεύματα αὐτοῦ ἀνταποδώσει αὐτῷ და საშჯელი უფლისაჲ იუდასა ზედა შურის-გებაჲ იაკობისგან გზათაებრ მისთა და სლვათაებრ ესაა ყნაყჩე მისთა მიაგოს მათ. Geo^{OSB}

Hos. 9:15 ἐμίσησα διὰ τὰς κακίας τῶν ἐπιτηδευμάτων αὐτῶν რამეთუ მუნ მოვიძულენ იგინი უკეთურთა საქმეთა (სიმარჯუჭთა Geo^{SB}) ყნაყჩე მათათაჲს. Geo^O

Mic. 2:7 εἰ ταῦτα τὰ ἐπιτηδεύματα αὐτοῦ ἐστὶν უკეთუ საქმენი (სიმარჯუჭ Geo^{GSB}) ყნაყჩე მისნი ესე არიან, Geo^{OJ}

Mic. 2:9 διὰ τὰ πονηρὰ ἐπιτηδεύματα αὐτῶν ἐξῶσθησαν უკეთურებისათჲს საქმეთა (სიმარჯუჭთა Geo^{GSB}) ყნაყჩე მათთაჲსა განვარდეს. Geo^{OJ}

Mic. 3:4 ἐπονηρεύσαντο ἐν τοῖς ἐπιτηδεύμασιν αὐτῶν ἐπ' αὐτοὺς ზოროტი ყვეს საქმითა (სიმარჯუჭთა GSB) ჩ ყრბუა მათითა მათ ზედა. Geo^{OJ}

Mic. 7:13 καὶ ἔσται ἡ γῆ εἰς ἀφαισμοὺν ...ἐπιτηδεύματα τῶν αὐτῶν იყოს ქუეყანაჲ განსარყუნელად...საქმეთა (სიმარჯუჭთა Geo^{SB}) ყრბონგ მათთაჲსა Geo^{OJ}

Zeph. 3:11 οὐ μὴ καταισχυσθῆς ἐκ πάντων τῶν ἐπιτηδευμάτων σου არა გრცხუენეს ყოველთაგან საქმეთა (სიმარჯუჭთა Geo^{GSB}) ყრბონგ შენთა. Geo^{OJ}

k. მატერიალური შესატყვისობები

თარგმანის წარმომავლობის დასადგენად ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად ასფალგი გამოყოფს ე.წ. მატერიალურ შესატყვისობების (მატება, კლება, გადაადგილება) არსებობას დედანსა და თარგმანში.

მოვიტანთ ისეთ მაგალითებს, სადაც სომხური განსხვავდება LXX-გან და ეს განსხვავებები მისი ინდივიდუალური მახასიათებლებია. არ შევჩერდებით იმის დაწვრილებით განხილვაზე, თუ რით არის განპირობებული ესა თუ ის ცვლილება სომხურში.

გადაადგილებების შემთხვევაში მოგვაქვს ისეთი მაგალითები, სადაც სიტყვათა რიგი ქართულში სომხურის შესაბამისი იქნებოდა, დედანი ეს სომხური ტექსტი რომ ყოფილიყო. მიმდევრობა რიცხვით სახელთან.

სიტყვათა რიგი შეცვლილია სომხურში, ქართულში არა.

Zech. 1:1 ἐν τῷ ὀγδῶδ᾽ ἡμερῶν τούτων ἔειπεν ἡ κυρία ἡ θεός (თვესა მერვესა)

Zech. 7:1 ἐν τῷ τετάρτῳ ἔτει μεροთხῆς ἦν ἡ κυρία ἡ θεός (წელსა მეოთხესა)

Zech. 7:3 ἰκανὸν ἔτι ἦν ἡμερῶν ἡ κυρία ἡ θεός (წელ მრავალ)

არის ამის საპირისპირო შემთხვევები, როცა ქართულშია გადაადგილებები და სომხურში არა.

Zech. 1:7 τῷ ἑνδεκάτῳ ἡμερῶν ἔειπεν ἡ κυρία ἡ θεός (მეთერთმეტე თვისა მის)] თვისა მეთერთმეტისასა ἡ κυρία ἡ θεός

Zech. 3:9 ἐν ἡμέρᾳ μιᾷ ἔειπεν ἡ κυρία ἡ θεός (დღესა შინა ერთში)] ერთსა დღესა შინა. ἡ κυρία ἡ θεός

არის შემთხვევებიც, როცა არც სომხურშია გადაადგილებული და არც ქართულში

Zech. 1:1 ἔτους δευτέρου ἡ κυρία ἡ θεός ἔειπεν ἡ κυρία ἡ θεός (წელსა მეორესა)

Zech. 1:7 ἐν τῷ δευτέρῳ ἔτει ἔειπεν ἡ κυρία ἡ θεός (წელსა მეორესა)

გადაადგილებულია სომხურშიც და ქართულშიც

Zech. 11:8 ἐν ἡμέρᾳ ἐνὶ ἡμέρᾳ ἔειπεν ἡ κυρία ἡ θεός (ერთსა შინა თვესა)

Zech. 3:8 ἔειπεν ἡ κυρία ἡ θεός (მაგრამ ისმინე)

Zech. 1:8 ἐπὶ ἵππον ἔειπεν ἡ κυρία ἡ θεός (წითელსა J)] ἔειπεν ἡ κυρία ἡ θεός (წაბლისფერ ცხენზე)

Zech. 2:12(8) ὅπισθα δὲξῆς შემდგომად დიდებისა] Ἐπισθὰς ἔκλινῃ (დიდების შემდგომ)

Zech. 6:11 ἀργύριον καὶ χρυσίον ვეცხლი და ოქროν ἡλκῆς καὶ ἀργύρου, (ოქრო და ვერცხლი)

ქართულიც აადგილებს ხოლმე ამ წყვილში. ჯერ ოქრო მერე ვერცხლი. დედანი სომხური რომ იყოს ქართულშიც გადაადგილებული იქნებოდა.

Zech. 14:12 οἱ ὀφθαλμοὶ αὐτῶν ῥήσονται თუალნი მათნი წარმოსცვენ] ὀφθαλμοὶ αὐτῶν ἔσονται

სომხურში წინადადების წევრთა რიგი თავისუფალია, მაგრამ შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება, როდესაც ის სახეზეა გვერდი-გვერდ დგანან.¹³¹ ამ შემთხვევაშიც სომხურში ჯერ შემასმენელია, შემდეგ ქვემდებარე და დამატება. ქართული თარგმანი კი მისდევს დედნის რიგს. სომხურის მსგავსი წყობა ქართულ თარგმანშიც თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო.

Zech. 14:13 Ἐκστασις κυρίου ἐπ’ αὐτοὺς μεγάλη განკვრევაა უფლისა-მიერ დიდი (>O) მათ ზედა ἄνω ἔσταν ἔκστασις ἡμῶν (შეკრთომა დიდი უფლის მიერ მათზე)

სომხური აერთებს გახლეჩილ მსაზღვრელ-საზღვრულს, ოშკი საერთოდ აკლებს, ხოლო იერუსალიმურს გადააქვს „მათ ზედა“-ს წინ.

Zech. 1:15 ἐγὼ μὲν ἀργίσθην ὀλίγα რამეთუ მე განვრისხენ მცირედ, καὶ ἡσυχασθήσονται ἡμέραι ἡμέρας (მე მცირედ რამე განრისხებული ვიყავი)

Zech. 11:1 δῖανοιξὸν ὁ Λίβανος τὰς θύρας σου განახუნ ლიბანემან კარნი შენნი] Ἐάνωθεν ἔσονται ἡμέραι ἡμέρας, (გააღე, კარი შენი, ლიბან!)

Zech. 1:1,7 πρὸς Ζαχαριαν τὸν τοῦ Βαραχίου υἱὸν Ἀδδῶ τὸν προφήτην ზაქარიაჲს მიმართ ბარაქიანისა, ძისა ადოაჲსა წინაწარმეტყუელისა] ἄνω ἔσονται ἡμέραι ἡμέρας, ἡμέραι ἡμέρας (ზაქარია წინასწარმეტყველი, ძე ბარაქიას ადოს ძის)

¹³¹ ი.შილაკაძე ძველი სომხური ენის გრამატიკა 260.

Zech. 8:11 κατὰ τὰς ἡμέρας τὰς ἔμπροσθεν ἐγὼ ποιῶ ρυσσ αἰουρῆς ἀπαυζήσῃ ἀπὸν ἐμ] მათებრვე დღეთა მე ვყო პირველთა

ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართულ თარგმანში არაა ასახული სომხურის კლებები:

Zech. 8:4 τὴν ῥάβδον αὐτοῦ ἔχων ἐν τῇ χειρὶ κურთხი თვისი აქუნდეს] ցուպ ի ձեռին իւրու (არგანი ხელში მას)

Zech. 14:17 καὶ οὗτοι ἐκείνοις προστεθήσονται და ესენი მათვე დაერთნენ]>Arm

Zech. 3:9 ἐπὶ τὸν λίθον τὸν ἕνα ერთსა მას ლოდსა ի վերայ վիպին_(ზედა ქვის)

სომხურის კლებები ნაწილობრივია ქართულში

| | LXX | Arm | OJ | SB |
|-------|---------|------------|------------|----------|
| Zech. | καὶ | և | და | = |
| 8:22 | ἥξουσιν | Եկեացեն | მოვიდოდნან | მოვიდნენ |
| | λαοὶ | ժողովուրդք | სხუანი | ერნი |
| | πολλοὶ | բազումք | მრავალნი | = |
| | καὶ | > | > | > |
| | ἕθνη | > | ნათესავნი | > |
| | πολλὰ | > | > | > |

ამ შემთხვევაში საერთო გამოტოვებაა სომხურსა და გელათურ თარგმანში, რაც წყაროთა გავლენით ვერ იხსნება. შესაძლოა თარგმანის ტექნიკასთან გვეკონდეს საქმე. ომკური თარგმანი კარგად აჩვენებს, რომ სომხურზე არც თვითონაა დამოკიდებული და არც გელათური.

| | | | | | |
|---------------|-------------------|---|---------------|----------------|-------------------|
| Zech. 8:21 | συνελεύσο ντας | συνελεύσοντα ι] συνοδουσonte S*⊙ | ძილიქუგი უ | შეკრბენ | თან- შემოვიდენ |
| | κατοικοῦντ ες | | Բնակիչք | > | დამკვდრებუ ლნი |
| | πέντε | πέντε πόλεις] om. πέντε W Hi. | > | > | ხუთთა 2 |
| | πόλεις | | > | > | ქალაქთა 1 |
| | εἰς μίαν | μίαν πόλιν W] tr. A''-49 46 | აჟიქ ი მსიუ | ერთი- ერთად | ერთად 2 |
| | πόλιν | Arab Bas.N.: cf. Am. 4:8; | քաղաք, | ქალაქსა | ქალაქად 1 |

ამ შემთხვევაში ომკური ნაწილობრივ ემთხვევა სომხურის კლებას. თუ ქართულის დედანი ეს სომხურია მაშინ გაუგებარია, რატომ არ აკლია სომხურის მსგავსად.

მატებები სომხურში

Zech. 1:4 ἀποστρέψατε Ἐαρηλαριουք (მობრუნდით!) მოიქეცით Geo^{SB P]} + ქამნსაქნ (ყოველი) Arm; + ჩემდა, იტყვს უფალი Geo^o; აწ Geo^l = ძე L-613-770^c C-239 Th.Tht. = MT

ზაქარიას წინასწარმეტყველების სომხურ და ქართულ (ომკურ) თარგმანში არის დამატება, მაგრამ სხვადასხვა. ქართულში ორი დამატებაა. დედანი რომ სომხური იყოს მხოლოდ „ყოველს“ დაამატებდა. არაა გამორიცხული ეს დამატებები გვიანდელიც იყოს, გადამწერთა ან რედაქტორთა ხელიდან გამოსული.

Zech. 1:1 τὸν τοῦ Βαβαχίου σὶὸν Ἀδδω ბარაქეანისა (ბარაქეანისა J) ძისა ადოაჲსა] იჟიქი Բարաքեայ იჟიქი Ադդოქայ (ძე ბარაქეასი ძისა ადდოვასი)

Zech. 9:13 ῥομφαίαν მახვილი quouser]+ ყიჟიყასიქ (მახვილი ფოლადისა). მსგავსი დამატება თარგმნულ ტექსტში შესაძლოა დედნისაგან დამოუკიდებლად მოხდეს. ხშირია შემთხვევები, როცა ამგვარი დაკონკრეტება გვხვდება.

Zech. 14:16,17 κερὰ უფლისა Sxan]+ Asuudh (უფალისა ღმრთისა)

„უფალი ღმერთი“ ერთად ხშირად იხმარება ბიბლიაში. ზაქარიას წინასწარმეტყველებაში ბერძნულ ტექსტშიც მრავლად არის ეს შესიტყვება. სომხურ თარგმანში ორჯერ არის აღნიშნული დამატება დედნისგან დამოუკიდებლად და შესაძლო იყო ქართველ მთარგმნელსაც დაემატებინა.

Zech. 12:7 ἐπὶ τὸν Ιουδαν იუდასა ზედა.ი ქერაყ. **თანინ** მოიყა: (ზედა სახლსა იუდასა)

შესაძლოა სომხურ კონტექსტში თანინ სიტყვის დამატება გვიანდელი იყოს პარალელური ადგილის (მაგ. Jer 11:17) გავლენით.

Zech. 1:15 ἀργισθῆν ὀλίγα განვრისხენ მცირედ, բարկացեալ_էի]+ ი ქერაყ. **ინგა** (განვრისხებულ ვიყავი ზედა მათსა)

ამ შემთხვევაში მატება სომხურში შესაძლოა კონტექსტის მიხედვით გააკეთა მთარგმნელმა ან გადამწერმა. Zech. 1:15 ἐγὼ **ἀργίζομαι ἐπὶ τὰ ἔθνη τὰ συνεπιτιθέμενα ἀνθ' ἧν ἐγὼ μὲν ἀργισθῆν ὀλίγα** αὐτοὶ δὲ συνεπέθεντο εἰς κακὰ მე განვრისხენ ნათესავთა მათ ზედა, რომელნი აღდგეს მათ ზედა. ამისთვის, რამეთუ მე განვრისხენ მცირედ, բարկացეալ եմ ი ქერაყ. ადგაგნ ნრ. მჩანყამაყნ ხარაყნ ი ქერაყ. **ინგა**.

ქიქსანასკ კი ხუ სასკასიქ ინჯ **բարկացեալ էի ი ქერაყ. ინგა**

დასკვნა

ზაქარიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული თარგმანი ბერძნულიდანაა შესრულებული. ეს ვლინდება უპირველესად ბერძნული დედნის სტილის დაცვაში. ქართულისთვის არაბუნებრივ სინტაქსურ და ლექსიკურ კონსტრუქციებში. ბერძნულის კალკირების გზით შექმნილ ნეოლოგიზმებში. მაგ. კომპოზიტები, სემენტთა მიმდევრობა კომპოზიტებში, პრვერბიანი ზმნების თარგმანი. ბერძნული სიტყვების ძირეული მნიშვნელობით თარგმნა. იშვიათად ხმარებული საკუთარ სახელთა და საგანთა ტრანსკრიბირება ბერძნულის მიხედვით. კონტექსტის მცდარი გაგების ახსნა ბერძნული დედნით. ქართულ თარგმანში არ არის ასახული სომხურის სპეციფიკა: მისი კლებები, მატებები, გადაადგილებები.

სომეხი მთარგმნელი მრავალპლასტიანი ადგილების შემთხვევაში ხშირად სემანტიკის გადმოცემაზეა ორიენტირებული, იგი გაუგებარ კონტექსტს ამარტივებს, გასაგებს ხდის, ქართველი მთარგმნელი კი მაქსიმალური სიზუსტით მისდევს ბერძნულ დედანს, რაც სემანტიკურ მხარეს აბუნდოვნებს. სომეხ მთარგმნელს ნაკლებად აინტერესებს დეტალების გადმოტანა, ან თარგმანის პერიოდის ენა არ აძლევს ამის საშუალებას. ქართველი მთარგმნელი კი ორიენტირებულია დეტალების გადმოცემაზე. სომეხი მთარგმნელი ჰაპაქსლეგომენონებს ენაში არსებული ეკვივალენტებით თარგმნის ქართველი კი თვითონ ქმნის ბერძნული დედნის ზუსტ ანალოგებს. სომეხი მთარგმნელი პოლისემანტური სიტყვების თარგმანის ზოგ შემთხვევაში სინონიმებით ვარირებს, განსხვავებით ქართველი მთარგმნელისაგან, რომელიც სიტყვის ძირეული მნიშვნელობიდან ამოდის. ზოგჯერ სომეხი მთარგმნელი რამდენიმე ბერძნულ სიტყვას ერთ ეკვივალენტს უსადაგებს. ასე იქცევა ქართველიც, მაგრამ სხვა შემთხვევებში. ქართულ და სომხურ თარგმანს მსგავსებებიც აქვს, რასაც თარგმანის ტიპოლოგიით ვხსნით. ორივე თარგმანი ერთდროულად სიტყვასიტყვითიცაა და თავისუფალიც, მაგრამ ეს ცნებები ორივეს შემთხვევაში სხვადასხვაა.

თარგმანის ტიპი

ანა ხარანაული

ებრაიზებული იკითხვისები სოფონიას ქართულ ვერსიებში - ქართულ თარგმანში ასახული სექტუაგინტას ტექსტის ისტორიის ეპიზოდი

არავინ დავობს იმის თაობაზე, რომ ნათარგმნი ტექსტების კვლევებს თარგმანის მომდინარეობის წინასწარი ცოდნა უდევს საფუძვლად. თარგმანის წარმომავლობის ცოდნა კი, ერთი მხრივ, გულისხმობს თარგმანის ორიგინალის ენის განსაზღვრას და, მეორე მხრივ, მისი ტექსტუალური ტიპის იდენტიფიცირებას. ქართული თარგმანების და, კემოდ, ბიბლიის თარგმანების, წარმომავლობის კვლევისას ორივე ეს ასპექტი, ხშირად, არ არის ხოლმე ერთმანეთისგან გამიჯნული და სინქორუნულად შესწავლილი, რაც არაერთხელ გამხდარა იმის მიზეზი, რომ მხოლოდ ქართულ-სომხური თარგმანების ტექსტუალური ვარიანტების დამთხვევების საფუძველზე (ისიც მხოლოდ დამთხვევების, განსხვავებების გათვალისწინების გარეშე), ქართული თარგმანი სომხურიდან მომდინარედ მიუჩნევიათ, იმის გაუთვალისწინებლად, რომ ერთ პერიოდში და, შესაძლოა, ერთ მწიგნობრულ ტრადიციაში შესრულებულ ამ ორ თარგმანს ერთი ტიპის ტექსტი შეიძლება სდებოდა საფუძვლად. მეორე მხრივ, ასევე, მხოლოდ ქართულ-სომხური თარგმანების ენობრივ შეხვედრებზე დაყრდნობით, ქართული სომხურზე დამოკიდებულად ჩაუთვლიათ (ამასთან, განიხილება მხოლოდ ქართულის სომხურზე დამოკიდებულება და არა პირიქით) და მხედველობაში არ მიუღიათ, რომ ერთი პერიოდის თარგმანებს თარგმნის მსგავსი ტექნიკა ახასიათებთ ხოლმე და, რომ ქართულსა და სომხურს ერთმანეთის მსგავსი და ბიბლიის ბერძნულისაგან განსხვავებული ენობრივი სტრუქტურები და გამომხატველობითი ხერხები გააჩნიათ. ამრიგად, ბიბლიის ქართული თარგმანების

წარმომავლობის კვლევა უაღრესად კომპლექსურია და მრავალი კუთხით უნდა იქნას წარმართული.¹³²

მე-4-5 საუკუნეებში შექმნილი ქართული ბიბლიის თარგმანის დედნის ტექსტის ტიპის დადგენა სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიის ცოდნას და მის კვლევასაც მოითხოვს და, თავის მხრივ, ამ ისტორიის აღდგენის კუთხითაც არის მნიშვნელოვანი. ამიტომაც, ცოტა ხნით, სეპტუაგინტას ტექსტუალური ტიპების ჩამოყალიბების ისტორიაზე შევჩერდები.

მველი აღთქმის ბერძნული თარგმანი – სეპტუაგინტა, რომელიც, სავარაუდოდ, ქრისტეს შობამდე მესამე-მეორე საუკუნეებში შესრულდა, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა მიმართულებით და ინტენსივობით შეიცვალა. ცვლილებების უპირველესი მიზეზი გადამწერების უყურადღებობა და სხვადასხვა სახის შეცდომები იყო. იშვიათად სწავლული გადამწერები სტილისტურადაც ასწორებდნენ მათთვის გაუგებარ თუ გაუმართავ ფრაზებს. მაგრამ ტექსტების ცვლილების უმთავრეს მიზეზს მაინც ხელნაწერთა ურთიერთშედარების შედეგად ტექსტში შესული იკითხვისები წარმოადგენს, რომელთა დიდი ნაწილი ებრაული ტექსტის მასორეტულ ფორმასთან დგას ახლოს. საბოლოო ჯამში, სწორედ ასეთი იკითხვისების არსებობა ან არარსებობა განაპირობებს წყაროებში დაცული ტექსტის ფორმას.

სეპტუაგინტას რევიზირებას და, ზოგიერთ შემთხვევაში სწორებას მასორეტული ტექსტის მიხედვით დიდი ხნის ისტორია აქვს. ტექსტი, რომელიც მასორეტებს ეპყრათ ხელში, რაბინიზმის პერიოდის იუდაიზმისთვის სტანდარტულ და ავტორიტეტულ ტექსტად იყო ქცეული. მასთან ბერძნული თარგმანის (ზოგიერთი წიგნი მასორეტული ტიპისგან განსხვავებული ტექსტიდან იყო თარგმნილი) დაახლოება იუდეველი რევიზორებისათვის პერმანენტული პროცესი იყო. ყველაზე ადრეული რევიზია *καί γε*-ს სახელითაა ცნობილი, რომელიც, მართალია, სეპტუაგინტას ეყრდნობა, მაგრამ სწორების შედეგად იმდენად დაშორებულია მას, რომ ახალ თარგმანად შეიძლება ჩაითვალოს. პირველი-მეორე საუკუნეებისაა ე.წ. უმცროსი მთარგმნელების – აკვილას, სიმაქოსის და


¹³² ქართული თარგმანის წარმომავლობის კვლევის ისტორიისა და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ იხ. ხარანაული 2004, ხარანაული 2006, ხარანაული 2012. მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხების შესახებ იხ. ასსფალგ 1959 და Kჰარანაული 2016.

თეოდოტიონის რევიზიები. მათ გარდა, როგორც ჩანს, არსებობდა სხვა, ანონიმური ტექსტუალური ფორმებიც, რომელთა ავტორების სახელებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და რომელთაგან ზოგიერთი პირობითად არის ხოლმე აღნიშნული (მაგ., ორიგენეს კოლონების რიგის მიხედვით: კვინტა (ε'), სექსტა (ζ'), სეპტიმა, ანდა, წარმომავლობის მიხედვით – ებრაელი/ებრაული, სირიელი, სამარიტული) [Fernandez Marcos 2001, 109-173].


ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ბიბლიის ბერძნულმა ტექსტმა განსაკუთრებით ინტენსიური ცვლილებები განიცადა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა: ერთი მხრივ, გაიზარდა მოთხოვნილება ბიბლიის წიგნებზე, შესაბამისად, გაიზარდა ბიბლიის ხელნაწერების ტირაჟი და გააქტიურდა ამის მომყოლი, ტექსტის უნებლიე ცვლილებების პროცესიც. მეორე მხრივ, ბიბლიის ტექსტმა ანტიკურობის დიდი ლიტერატურულ/თეოლოგიური ტექსტების ადგილი დაიკავა და ალექსანდრიული გრამატიკის (/ფილოლოგიის) ანდა პერგამონული კრიტიკის მეთოდებით კვლევას დაექვემდებარა. გრამატიკოსის საქმიანობის ამოცანას ავტორისეული ტექსტის დადგენა და ამ გზით ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობა წარმოადგენდა. ბიბლიის თარგმანების შემთხვევაში ეს ამოცანა უფრო რთული იყო, ვიდრე ორიგინალური ტექსტების შემთხვევაში: ერთი მხრივ, არსებობდა ებრაული ორიგინალი და მასთან ახლოს მდგომი იუდაური თარგმან/რევიზიები, მეორე მხრივ კი – სეპტუაგინტა, თავისი ავტორიტეტით ღვთივგანბრძნობილი ტექსტისა, რომლის განსხვავებებიც ებრაულისგან ქრისტიანი სწავლულების თვალში არათუ აკნინებდა მას, როგორც თარგმანს, არამედ ხაზს უსვამდა მის პროვიდენციალურ ხასიათს. ორიგინალთან უშუალო თუ იუდაური თარგმანების მეშვეობით შედარება ორიგენედან მოყოლებული, სეპტუაგინტას შესწავლის ერთ-ერთი გზა იყო. ზოგიერთი გრამატიკოსი ამ შედარებას იუდეველებთან პოლემიკის დროს იყენებდა, ზოგი – სეპტუაგინტას წინასწარმეტყველური აზრის გამოსავლენად და ასახსნელად, ზოგი – სეპტუაგინტას ბერძნულის ბუნდოვანების გასარკვევად და ა.შ.. ყველაფერ ამას – ტექსტის ეგზეგეზას – მისი გამოცემა, ე.წ. 'ეკდოსისი' ედო საფუძვლად. იუდაური რევიზიებისაგან განსხვავებით, გვიანანტიკური და შუა საუკუნეების გრამატიკოსების მიერ შესრულებული სეპტუაგინტას ქრისტიანული *ეკდოსისი* ტექსტის სწორებას არ გულისხმობდა. *ეკდოსისი*, ანტიკურობიდან მოყოლებილი და, განსაკუთრებით, ალექსანდრიაში, ტექსტის

მეცნიერული გამოცემის ისეთი ფორმა იყო, რომელიც წარმოადგენდა ახლად გადაწერილ, ან შემთხვევით თუ რაიმე ნიშნის გამო შერჩეულ, უკვე არსებულ ხელნაწერს, რომლის ტექსტს – სტრიქონებს შორის ან აშეიბზე, სქოლიოების სახით დართული ჰქონდა გრამატიკოსისთვის საინტერესო იკითხვისები [Montanari 2002, Montanari 2011, ხარანაული 2020]. *კედოსისი*, რომელსაც ეგზეგეტი თავის კომენტარს აფუძნებდა, ბიზანტიაშიც ფართოდ იყო გავრცელებული და ბიბლიის ტექსტების მიმართაც გამოიყენებოდა (იხ. სურათი 1, 2).

სურათი 1. Ra 86, Rom, Bibl. Vat. Barb.Gr.549, IX-X



სურათი 2 Syrohexapla, Codex Ambrosianus, Biblioteca Ambrosiana, C 313, VIII



რამდენადაც განსხვავდებოდა გრამატიკოსების ინტერესები, რამდენადაც სხვაობდნენ მათი წყაროები, იმდენად განსხვავებული უნდა ყოფილიყო მათ მიერ მომზადებული ეკდოსისებიც. როგორც ჩანს, განსხვავებული ეკდოსისებისგან მომდინარე ე.წ. ვულგარული ხელნაწერები, ე.ი. „ჩვეულებრივი“ მომხმარებლებისათვის განკუთვნილი ხელნაწერები, უკვე მე-5 საუკუნის დასაწყისში ე.წ. 'ლოკალური' ტექსტების სამ ძირითად შტოდ ნაწილდებოდა. მათ იერონიმე სეკტუაგინტას ფილოლოგების - ეკდოსისების შემდგენლების სახელებს უკავშირებს [Praefatio in Paralipomena]: მისი სიტყვებით, ალექსანდრიასა და ეგვიპტეში ჰესუქიოსის ვერსია იხმარებოდა, კონსტანტინოპოლში – ლუკიანე მარტვილის, ხოლო პალესტინაში – ორიგენეს მიერ შემუშავებული და ევსევიუსის და პამფილიუსის მიერ ვულგარიზებული [De Bruyne 2015, 30]. იმავე იერონიმეს ცნობით (ep.112), მისი დროის ხელნაწერები უკვე იუდაური თარგმანებიდან მომდინარე ებრაიზებული იკითხვისებით იყო სავსე [Hilberg, 1912, 55, 389]. ჩვენამდე მოღწეული

ხელნაწერები ადასტურებენ იერონიმეს ამ ცნობას. იუდაური რევიზიებიდან თუ თარგმანებიდან ამოღებული სეპტუაგინტას ალტერნატიული იკითხვისები მცირე წინასწარმეტყველთა ბერძნულ ხელნაწერებში უკვე პირველი საუკუნიდან დასტურდება. ეს იკითხვისები სხვადასხვა რაოდენობითა და ფორმით არის ასახული ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში: ზოგჯერ, სეპტუაგინტას ერთიდაიგივე გადახრა ებრაულიდან სხვადასხვა წყაროში რამდენიმე სხვადასხვა წარმომავლობის იკითხვისითაა შენაცვლებული თუ გავრცობილი. საწინააღმდეგოდ ამისა, განსხვავებების უმეტესი ნაწილი სრულიად იგნორირებულია და აღნიშვნის გარეშეა დატოვებული. მცირე წინასწარმეტყველთა ბერძნულ ხელნაწერებში იუდაური რევიზიებისა თუ თარგმანების იკითხვისების მხოლოდ მცირე რაოდენობა არის ინტეგრირებული ხელნაწერთა ტექსტში. უმეტესობა კი აშიებზე (მაგ., სოფონიაში – სიროჰქესაპლას ხელნაწერების და Ra 86-ის აშიებზე) და მამათა განმარტებებში (ძირითადად იერონიმესა და თეოდორიტესთან) მოტანილ ციტატებშია შემორჩენილი.

მოკლედ, ებრაიზებული იკითხვისების ასახვა ან არასახვა ქართულ ვერსიებში მათი ბერძნული დედნის ტიპის დადგენის ერთ-ერთი ყველაზე მყარი კრიტერიუმია. ამავედროულად, ქართულ-ბერძნული ტექსტუალური მიმართებების კვლევას სხვა მხარეც აქვს: ბერძნული ტექსტის ცვლილებების პროცესის ხასიათის გასაგებად, იმის გასაგებად, ეს პროცესი ქაოტურია თუ მართული, ლოკალური თუ დიაქრონული, შიდაბერძნული (სტილისტური) ხასიათისაა თუ ებრაულზე ორიენტირებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ადრეული წყაროები – ბერძნული ხელნაწერები თუ სეპტუაგინტას ადრეული თარგმანები, მათ შორის, ქართული თარგმანიც [ხარანაული 2020].

წინამდებარე სტატიაში მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული თარგმანის დედნის ტიპის საკითხს სოფონიას წიგნის მაგალითზე ორი მიმართულებით განვიხილავ: ერთი, ვეცდები, დავადგინო, რა ტიპის ტექსტს შეიცავდა მისი ბერძნული დედანი და, მეორე – რა შეიძლება თქვას ქართულმა თარგმანმა იმ ფილოლოგიური სამუშაოს შესახებ, რომელიც სეპტუაგინტას ტექსტის ადრეულ ფორმებს აყალიბებდა.

წყაროები, რომლებიც შეიცავენ იუდეველი რევიზორების იკითხვისებს

იუდეველ რევიზორ-მთარგმნელთა იკითხვისები, ანუ, ებრაიზებული იკითხვისები, უკვე მთავრული ასოებით დაწერილ, მაიუსკულურ ხელნაწერებში იჩენენ თავს:

1. პირველი საუკუნით დათარიღებულ მცირე წინასწარმეტყველთა ე.წ. **ნახალ ხევერის გრაგნილში (8HevXIIgr.)**, რომელიც იუდეველთა წრეშია შექმნილი [Tov et al. 1990, Ego et al. 2004] და

2. ქრისტიანულ კოდექსებში: **ვაშინგტონის (W – Freer Minor Prophets Codex¹³³**; სოფ. 1:2,3; 2:3; 3:5,10), **ვატიკანის (B**; სოფ. 1:3,5; 3:5,10), **სინას (S**; სოფ. 1:3,5; 3:5,10) და **ვენეციის (V**; სოფ. 1:3; 2:2; 3:5,8,10).

ყველა ეს წყარო სეპტუაგინტას ტექსტზე გაწეული ტექსტოლოგიური სამუშაოს, ანუ სეპტუაგინტას ფილოლოგიის სხვადასხვა საფეხურს და მიმართულებას წარმოადგენს: წინაორიგენესეულს და პოსტორიგენესეულს. პირველი, წინაორიგენესეული იუდაური რევიზია – ე.წ. *καί γε*, 8HevXIIgr.-შია წარმოდგენილი, წინაორიგენესეული ქრისტიანული რევიზია კი – მე-3 ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ ვაშინგტონის კოდექსის ტექსტში.¹³⁴ ეს კოდექსი განსაკუთრებით საინტერესოა იმითაც, რომ ფილოლოგიური აქტივობის რამდენიმე ტალღას ასახავს, რომელსაც მე-3-4 საუკუნეებში ჰქონდა ადგილი [Choat 2006, 93–94; De Troyer 2006]. ვაშინგტონის კოდექსის სოფონიას წიგნში ალტერნატიული ებრაიზებული იკითხვისები ტექსტშია ინტეგრირებული. წყაროები, საიდანაც ეს იკითხვისებია ამოღებული, როგორც ჩანს, ეგვიპტეში იყო ხელმისაწვდომი: ერთ-ერთი მათგანი (სოფ. 3:10), კოპტურ თარგმანებშიც არის ასახული; სხვები (სოფ. 1:2,3; 2:3; 3:5 (ნაწილობრივ)) გვიანდელ ხელნაწერებშიც გვხვდება. ორ შემთხვევაში (სოფ. 1:3 და 3:10) ისინი ქვეშ მიწერილი წერტილებითაა აღნიშნული. ამგვარი აღნიშვნები ხელნაწერს გამომარჩევს სეპტუაგინტას სხვა წყაროებისგან, რომლებიც ალტერნატიული ვარიანტების ასტერისკებით ორიგენესგან მომდინარე ტრადიციას ასახავენ.

პოსტორიგენული ტრადიცია სამ მაიუსკულურ კოდექსშია წარმოდგენილი:

¹³³ ხელნაწერის გამოცემა და კომენტარები იხ.: Sanders et al. 1927; ტექსტის ტიპის შესახებ იხ: De Troyer 2006.

¹³⁴ ტურნერი მე-4 ს-ით ათარიღებს ხელნაწერს, იხ. Turner 1977, 59, 181.

S (მე-4 ს.), **B** (მე-4 ს.) და **V** (მე-8 ს.)¹³⁵ ხელნაწერები შესაძლოა ორიგენეს ფილოლოგიის უშუალო მიმდევრებთან (პამფილიოსი და ევსებიოსი(?)) იყოს დაკავშირებული. მსგავსად ძველი აღთქმის სხვა წიგნებისა, ვატიკანის ხელნაწერის სოფონიას წიგნშიც, ებრაიზებული იკითხვისები ტექსტშია შესული. თუმცა, სხვა წიგნებისგან განსხვავებით, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში (მათ შორის სოფონიაში), ეს ხელნაწერი ებრაიზებული იკითხვისების ერთადერთ წყაროს არ წარმოადგენს.

სინას კოდექსი (**S**), საზოგადოდ, **B**-ზე ნაკლებ არის მოქცეული იუდაური თარგმანების გავლენის ქვეშ. მაგრამ სოფონიას წიგნში იგი ყოველთვის იზიარებს **B**-ს ებრაიზებულ იკითხვისებს. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ სოფონიას ტექსტის ფორმა გარკვეულ დროს (მე-4 საუკუნეში) და გარკვეულ ტრადიციაში უკვე ერთგვარი სტაბილურობით ხასიათდებოდა. ებრაიზებული იკითხვისების გავრცელების ისტორიისთვის სინას კოდექსი კიდევ ერთი მიზეზით არის საინტერესო: მისი კორექტურები და აშიაზე დატანილი შენიშვნები იმის მაგალითია, თუ როგორ მუშაობდნენ ფილოლოგები („დიორთოტები“) ტექსტზე, როგორ იყენებდნენ ისინი ამ ხელნაწერს საუკუნეების მანძილზე (მე-7 საუკუნემდე) თავიანთ საბაზისო ტექსტად რომელსაც იუდეველი რევიზორების ტექსტებთან თუ მათი იკითხვისების შემცველ სხვა ხელნაწერებთან შეადარებდნენ.

ვენეციის კოდექსი უფრო ინტენსიურად შეიცავს ებრაიზებულ იკითხვისებს, ვიდრე დასახელებული მაიუსკულები. ზოგი მათგანისთვის (თუმცა არა სოფონიაში) ეს კოდექსი ერთადერთი წყაროა. აქაც ეს იკითხვისები ტექსტშია შესული და არაერთხელ ასტერისკითაც არის აღნიშნული (მაგ. სოფ. 2:2; 3:5).

როგორც ჩანს, იუდაური თარგმანებიდან მომდინარე იკითხვისების რაოდენობა ბერძნულ ხელნაწერებში დროთა განმავლობაში სულ უფრო მრავლდება და სხვადასხვა ინტენსივობით თითქმის ყველა ტექსტუალურ ტრადიციას მოიცავს. მცირე წინასწარმეტყველთა ბერძნული თარგმანების გამომცემელი, იოსებ ციგლერი, იუდაური რევიზიებიდან ამოღებული იკითხვისების შემცველ ჩვენამდე მოღწეულ წყაროებს რამდენიმე ჯგუფად ყოფს:

¹³⁵ დაწვრილებით ამ ხელნაწერების თავისებურებების შესახებ Ziegler 1984, 34-39.

1. **ჰექსაპლური (O-ჯგუფი, “Hexaplarische Rezension,” “Hexaplarisches Text”)** [Ziegler 1984, 53-70]. ამ ჯგუფში სულ ორი ხელნაწერი შემოდის: **მარჩალიანუსის კოდექსი (Q** (ვენეციის წმ. მარკოზის ბიბლიოთეკა, მე-6 ს.) და ე.წ. **სიროჰექსაპლა** – პავლე ტელეელის მიერ მე-7 საუკუნის დასაწყისში შესრულებული სირიული თარგმანი, რომლის უადრესი ხელნაწერი მე-8 საუკუნის ე.წ. ამბროზიანას კოდექსია (C. 313, მილანის წმ. ამბროსის ბიბლიოთეკა)¹³⁶. მაგრამ, სინამდვილეში, ეს ხელნაწერები ორიგენეს მიერ რეცენზირებულ გაბმულ ტექსტს არ შეიცავენ. მართალია, ებრაიზებული იკითხვისები ამ ხელნაწერების ბიბლიის ტექსტებში აქა-იქ უკვე ინტეგრირებულია, მაგრამ ისინი უმთავრესად მაინც ძველ თარგმანს წარმოადგენენ, მაშინ, როდესაც იუდაური თარგმანების ვარიანტების უდიდესი ნაწილი აშიებზე მიწერილ სქოლიოებშია განაწილებული. როგორც Q-ში, ისე Syh-ში, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მეორე ნაწილი ამგვარი სქოლიოებით შედარებით ღარიბია: Q-ს სოფონიაში სულაც ერთხელ გვხვდება სქოლიო ებრაიზებული იკითხვისით (1:5). სიროჰექსაპლა სქოლიოებით მარჩალიანუსზე უფრო მდიდარია. უმეტეს შემთხვევაში, მის სქოლიოებში ტექსტის ერთიდაიგივე იკითხვისის რამდენიმე ალტერნატივაა მოცემული და ხშირად მათი ავტორებიც მითითებულია. სიროჰექსაპლას ბერძნული ორიგინალი, როგორცა ჩანს, Q-ში ასახულ ფილოლოგიურ ტრადიციას მიეკუთვნება, რომელიც გულისხმობს საბაზისო ხელნაწერის ტექსტის შედარებას სხვა ხელნაწერებთან (მათ შორის, იუდაური რევიზიების შემცველ ხელნაწერებთან)¹³⁷ და კოლატორისტვის საინტერესო განსხვავებების აშიებზე ამოწერას.

ამრიგად, Q^{mss} და Syh^{mss}-ს იკითხვისების ციგლერისეული სახელდება “ჰექსაპლური რეცენზია,” ან “ჰექსაპლური ტექსტი” დამაბნეველია, ამ ხელნაწერთა მარგინალიები არ შეიცავენ ჰექსაპლურ რევიზიას – ორიგენეს მიერ კორექტირებულ და სტანდარტულად ქცეულ გაბმულ ტექსტს. აშიებზე განლაგებული სქოლიოები წარმოადგენენ იუდაური რევიზიებიდან ამოკრებილ მასალას (ცალკე სიტყვას თუ ფრაზას), რომლებიც სხვა წყაროებთან ერთად, ორიგენეს ჰექსაპლაშიც იყო დაცული. ეს მასალა, შესაძლოა მართლაც

¹³⁶ ხელნაწერის ფაქსიმილური გამოცემა იხ. Ceriani 1876-1881.

¹³⁷ დღეს ძნელია დაზუსტებით თქმა - ეს ხელნაწერები იუდაური რევიზიების გაბმულ ტექსტებს შეიცავდნენ, თუ იუდაური რევიზიები ორიგენეს ჰექსაპლებისა თუ ბიბლიის ბერძნული ხელნაწერების სქოლიოების სახით იყო ხელმისაწვდომი.

უშუალოდ ჰექსაპლაზე იყოს დამოკიდებული: სიროჰექსაპლას კოლოფონებსა და სქოლიოებში დასახელებულიც კია ალტერნატიული იკითხვისების წყაროები: ჰექსაპლა, ჰექსასელიდი, ტეტრაპლა [Ziegler 1984, 53-54]. ამას გარდა, ხელნაწერების კოლოფონების თანახმად, სქოლიოების შედგენისას ევსებიოსის ხელნაწერიცაა გამოყენებული [Ziegler 1984, 54-56]. სიროჰექსაპლას კავშირს ორიგენეს მოწაფეების ტექსტთან მისი კოლოფონიც მიუთითებს, სადაც, აღნიშნულია, რომ თარგმანი შესრულებულია სამოცდაათის მიერ ალექსანდრიაში, პტოლემეოსის მეფობის დროს. ის ეგზემპლარი, საიდანაც ტექსტი ითარგმნა, მისივე კოლოფონის თანახმად, შედარებული იყო ძველ ეგზემპლართან, რომლიდანაც ბევრი რამ იქნა გადმოღებული და, რომელსაც, თავის მხრივ, შემდეგი კოლოფონი ერთვოდა: მცირე წინასწარმეტყველთა წიგნი გადმოღებული იყო ხელნაწერიდან, რომელიც წარმოადგენდა ტეტრაპლას თარგმანებს და რომელიც პამფილიუსისა და ევსებიოსის მიერ გულდასმით იყო გასწორებული [Ziegler, 1984, 3].

2. **ლუკიანური (*L'* ჯგუფი, “Die Rezension des Lukian,” “Lukianisches Text”)** [Ziegler 1984, 73-80]. ეს ჯგუფი მოიცავს მე-10 ს-ის და შემდგომი ხანის თერთმეტ ხელნაწერს და ანტიოქიელი მამების – თეოდორიტე კვირელისა და თეოდორე მოჰსუესტელის განსამარტ ტექსტს (კიმენს). მე-5 საუკუნეში მოღვაწე მამებთან ტექსტის ამ ფორმის გამოყენების ფაქტი მისი დათარიღების (*terminus ante quem* მე-5 ს.)¹³⁸ და მიმოქცევის ადგილის (სირია-ანტიოქია) განსაზღვრის კრიტერიუმად არის მიჩნეული. ამ ჯგუფში შემავალი ხელნაწერების იკითხვისებს შეიცავენ სხვადასხვა, არალუკიანური ტრადიციის ხელნაწერთა კორექტურებიც, რაც ექსპლიციტურად წარმოაჩენს წყაროთა ურთიერთგავლენების გზებს.

L' ჯგუფის წყაროები ზოგჯერ უნიკალური მოწმობებია ებრაიზებული იკითხვისებისა. ზოგჯერ კი პირიქით, ეს ხელნაწერები თვითონ არ შეიცავენ სხვაგან დადასტურებულ იკითხვისებს [Ziegler 1984, 84-86]. ამას გარდა, *L'* ჯგუფის ხელნაწერები ერთმანეთსაც სცილდებიან: ზოგიერთი ებრაიზებული იკითხვისი ამ ჯგუფის ხელნაწერების მხოლოდ ერთ ნაწილშია დაცული; ზოგ ხელნაწერში ეს ვარიანტები არსებულ ტექსტზე დამატებას წარმოადგენენ, ზოგიერთ შემთხვევაში კი – არსებულს ენაცვლებიან.

¹³⁸ თუმცა, ამგვარი ვარაუდის მყარი არგუმენტი მხოლოდ ის ებრაიზებული იკითხვისები შეიძლება იყოს, რომელთაც ეგზეგეტები თავიანთ კომენტარს ურთავენ, რაკი შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ ბიბლიის ტექსტებმა მამათა კომენტარებში შემდგომ გაიცადეს ცვლილებები.

L'' -ის ხელნაწერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმიტაც, რომ ებრაიზებული იკითხვისები სხვადასხვა ადგილას გვხვდებიან ხელნაწერში: სქოლიოში ან ტექსტში. მასტან, ალტერნატიული ვარიანტი ტექსტში სხვადასხვა ადგილას შეიძლება იყოს ჩასმული.

ებრაიზებული იკითხვისებით განსაკუთრებით მდიდარია Ra 86 [Ziegler 1984, 75-78, 104-106]: ამ, ტექსტური კატენების შემცველ ხელნაწერში იუდაური რევიზიებიდან ამოკრებილი სეპტუაგინტას ალტერნატიული ვარიანტები ხან კიმენურ ტექსტშია ჩართული, ხან (უმეტესად) აშიებზეა განლაგებული, ხან კი ერთდროულად ტექსტშიცაა შესული და აშიაზეც გამოტანილი. სქოლიოები ორი სხვადასხვა ხელითაა დაწერილი, ორი სხვადასხვა ფილოლოგი-სწავლულის – დიორთოტესის მიერ, რომელიც ამ, საბაზისო ხელნაწერს ალტერნატიულ ხელნაწერ(ებ)ს უდარებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე რევიზორის საქმიანობა, რომლის მიერ მოტანილი ებრაიზებული ვარიანტები მთელ რიგ შემთხვევებში სხვაგან არ გვხვდება. მაგრამ ისევ, როგორც Q^{ms} და Syh^{ms} -ის შემთხვევებში, მარგინალური იკითხვისები არ მიუთითებენ რევიზირებული ლუკიანური ტექსტის არსებობაზე, რომელიც, როგორც სტანდარტული ტექსტუალური ფორმა, შუა საუკუნეების მინუსკულეებში წარმოდგენილი პოსტ-ლუკიანური (ანტიოქიური ან ბიზანტიური) ტრადიციის სათავეში იდგა. მეტიც, ფაქტი, რომ გარკვეული იკითხვისები სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა ადგილას გვხვდება – ტექსტში (როგორც დამატება, შენაცვლება ანდა ფრაზის განსხვავებულ ადგილას) და აშიებზე – მიუთითებს წყაროთა განმეორებითი, მრავალჯერადი ურთიერთშედარებისა და სწორების შედეგად ტექსტის სინქრონულ და დიაქრონიულ განვითარებაზე და არა – მათ მომდინარეობაზე ერთი, დადგენილი, სტანდარტიზებული ტექსტუალური ტიპიდან.

3. C'' და მისი მიმდევარი ხელნაწერები (“Catenen-Gruppe”) [Ziegler 1984, 96-102]. ციგლერი ამ ტერმინს „კატენური ჯგუფი“ იყენებს მიუხედავად იმისა, რომ, ერთი მხრივ, ამ ჯგუფის ყველა ხელნაწერი არ არის კატენებით აღჭურვილი და, მეორე მხრივ, არც ყველა კატენური ხელნაწერის კიმენი შეიცავს დასახელებული ტრადიციის ტექსტს.¹³⁹ ხელნაწერთა

¹³⁹ შემდგომში ტერმინს „კატენური ტრადიცია“, „კატენური ჯგუფი“ მეც გამოვიყენებ, ოღონდ როგორც ტექნიკურ ტერმინს.

ერთი ნაწილი ($C=87-91-490$, $c=538$) იუდაური რევიზიების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კი უნიკალური მოწმობებია. ხშირია შემთხვევა, როდესაც აქ დაცულ ებრაიზებულ იკითხვისებს მხოლოდ Syh-ს და Q-ს სქოლიოებში ვხვდებით, ანდა (შედარებით მცირე ნაწილში) – მხოლოდ ხელნაწერთა L ქვეჯგუფში. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ სეპტუაგინტას ალტერნატიული ვარიანტები იუდაური რევიზიებიდან სინქრონულად და დიაქრონულად ვრცელდებოდნენ ხელნაწერებში.

სოფონიას ქართული ვერსიები

ისევე, როგორც ბერძნულის შემთხვევაში, სოფონიას ქართული ვერსიების (Ge) ტექსტუალურ ტრადიციებად დაყოფის ერთ-ერთ კრიტერიუმს სწორედ ის წარმოადგენს, თუ რამდენად ინტენსიურად და რა ფორმით შეიცავენ ისინი იუდაური რევიზიების იკითხვისებს და, ამასთან, ბერძნული ხელნაწერების რომელ ჯგუფებს უდგანან გვერდში.

I. **OGe**: თარგმანის ეს უძველესი ფორმა შემდეგი ხელნაწერების საფუძველზე შეიძლება იქნას რეკონსტრუირებული:

I.1. ბიბლიის კრებულები:

O (“ომჰის ბიბლია” Georg. 1, ათონი, ივირონი, 978-979) და

J (“იერუსალიმის ბიბლია,” Georg. Jer 7, იერუსალიმი, ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, მე-11 ს.)

და

I.2. ლიტურგიკული კრებულები:

(a). მე-9-11 სს. იერუსალიმური ლექციონარები:

L^k – “კალას ლექციონარი,” Q1653, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

$L=L^l$ – “ლატალის ლექციონარი” M51, მესტია, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი;

L^s – “სინას ლექციონარი,” Georg. sin. 37, სინა, წმ. ეკატერინეს მონასტერი;

L^p – “პარიზის ლექციონარი”, N3, პარიზი, BnF,

ჩამოთვლილი ხელნაწერები შეიცავენ სოფონიას შემდეგ ნაწილებს: 1:14-2:3 (არ არის L^s-ში); 3:6-14 (არ არის L^p-ში); 3:14-17 (L^p); 3:14-20(L^{ks}-ში).

(b). მეტაფრასული კოლექცია – m (K5, ქუთაისი, ნიკო ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, მე-16 ს.), რომელიც მთლიანად შეიცავს სოფონიას წიგნს.

II. Ge⁶ⁱ: გიორგი მთაწმინდელის მიერ მე-11 ს-ში შესრულებული ძველი თარგმანის რევიზია. დაცულია საწინასწარმეტყველოს სხვადასხვა ხელნაწერში, მათ შორის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერებში: A192, მე-11 ს. და H 522, მე-13-14 სს.; იერუსალიმის საპატრიარქოს ხელნაწერებში: Jer. Geo. 130, მე-11-13 სს.; Jer. Geo.59, მე-12-13 სს.; Jer. Geo. 66, მე-13-14 სს.; Jer. Geo. 99, მე-13-14 სს.; Jer. Geo. 118, მე-14-15 სს. და ათონის ივირონის ხელნაწერში: Ivir. Georg. 35, მე-12-13 სს..

ეს ხელნაწერები სოფონიას შემდეგ მონაკვეთებს შეიცავენ: 3:8-15 და 3:14-19. როგორც სხვა წიგნების რევიზირების შემთხვევებში, აქაც გიორგის მიზანს ქართული ლიტურგიკული კრებულების აქტუალიზაცია წარმოადგენდა, რაც მათ გათანამედროვეობაში გამოიხატებოდა: ამ პერიოდში ათონსა და სირია-ანტიოქიაში მიმოქცევაში არსებულ ბერძნულ ლიტურგიკულ კრებულებთან დაახლოებაში. ამასთან, ჩვეულებისამებრ, ძველი თარგმანების რევიზიის დროს გიორგი რამდენიმე ქართულ და ბერძნულ ხელნაწერს იყენებდა [Otkhmezuri 2022, 242-248].

III. Ge^{6e}: ძველი თარგმანის ელინოფილურ რევიზია, რომელსაც შეიცავს გელათის კატენებიანი ბიბლიის მეორე, წინასწარმეტყველების ნაწილი (G – A1108, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). ამ რევიზიის, ისევე, როგორც ელინოფილური და, განსაკუთრებით, გელათური ელინოფილური რევიზია-თარგმანების მიზანია ბერძნული დედნის გრამატიკული და სტილისტური კონსტრუქციების რეპროდუცირება თარგმანის ენაში და თარგმანის მაქსიმალური სიზუსტით გადმოტანა როგორც კვანტიტატიური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. თუმცა აღსანიშნავია, რომ წინასწარმეტყველთა წიგნების, და, მათ შორის, მცირე წინასწარმეტყველებელთა რევიზია გაცილებით მსუბუქად არის ჩატარებული და არ გადაზრდილა ახალ თარგმანში [ხარანაული 2006ბ].

ბეჭდური ბიბლიის მომზადებისას G ხელნაწერი სულხან-საბა ორბელიანის საბაზისო ტექსტი იყო. ხელნაწერში უხვადაა საბას ხელით შესრულებული კორექტურები და სხვადასხვა ტიპის აღნიშვნები, მითითებულია მუხლების ნუმერაცია. ყველა ეს შესწორება ასახულია 1711 წელს თბილისში დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა წიგნის გამოცემაში და ცნობილ „მცხეთურ ბიბლიაში“ (A51, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ჩაკინძულ ფუტცლებზე. იგივე ტექსტი გადაიბეჭდა ბაქარის, ანუ მოსკოვის გამოცემაში, რომელიც 1743 წ-ს დაისტამბა მოსკოვში. ნაბეჭდი ვერსიები გარკვეულ შემთხვევებში G-ს დაზიანებული ადგილების აღსადგენად შეიძლება იქნას გამოყენებული.

ებრაიზებული იკითხვისები ქართულ ვერსიებში

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იუდაური რევიზიების იკითხვისებს ხელნაწერებში ზოგჯერ ასტერისკებიც ერთვის. ეს ნიშნები, ჩვეულებრივ, იმის დასტურად განიხილება, რომ ებრაიზებული იკითხვისები ორიგენეს თხზულებიდან (ან ჰექსაპლადან, ან სეპტუაგინტას რევიზირებული ტექსტიდან) არის გადმოღებული. ხოლო ვარიანტები, რომელთაც ასტერისკი არ ერთვის, წინაორიგენესეულად მიიჩნევა ხოლმე. შემდგომში სოფონიას წყაროებიდან ამოკრებილ მასალას ამ მახასიათებლის (ასტერისკის ქონა-არქონის) მიხედვით დავალაგებ და ვნახავ, განაპირობებს თუ არა იგი ებრაიზებული იკითხვისების გადმოტანას ან არ გადმოტანას.

1. ასტერიზებული იკითხვისების გადმოტანა

ქვემოთ მოტანილ მაგალითებში ებრაიზებული იკითხვისები ასტერისკებით არის აღნიშნული აშიებზე ანდა სტრიქონის თავზე. ზოგიერთ შემთხვევაში, მარგინალური სქოლიოების წინ ვარიანტების ავტორთა სახელებიცაა მითითებული. სოფონიაში ასტერიზებული დამატების ხუთი შემთხვევიდან ქართულ თარგმანში სამი დასტურდება.

1.1 ძველ ქართულ ვერსიებში ასახული ასტერიზებული იკითხვისები

სოფ. 3:5

πρῶς πρῶς δῶσει κρίμα αὐτοῖν καὶ οὐκ εἰς νεῖκος ἀδικίαν

განთიად განთიად (>J) მოსცეს (om მოსცეს (homoiot) O) სამართალი (pr. და O) მისი ნათლად (ნათელ O) და არა (არაა O) დაეფაროს (+მას O) და არა ცნა სიცრუვჭ (-უვე m) შემთხუევასა (-ჭვასა m) და (> O) არა ძლევად ყო სუცრუვჭ (სიცრუე m) OGe

განთიად, განთიად მოსცეს მშჯავრი (მს- SB) თუსი ნათლად და არ დაიმალა და არა ცნა უსამართლოებად მიკდასა შინა და არა ძლევისა მიმართ უსამართლოებათა (-ეზაა SB) Ge^G.

αὐτοῖν Gild.(vid.) მისი OGe; თუსი Ge^G]

+ (※ V) εἰς φῶς W V 449' Th.(vid.);

+ (※48-86^{mg} Syh^{mg})¹⁴⁰ εἰς φῶς καὶ οὐκ ἀπεκρυβῆ (επεκρ. 48) καὶ οὐκ εἴπω (plur. Syh^{mg}) ἀδικίαν ἐν ἀπαιτησει (απατ. 538; om. ἐν ἀπαιτ. 239) B-S L''(hab. 86^{txt et mg})-613 C-68-239-538 393 Syh^{mg} Arm Tht.Hi= MT

+ ნათლად (ნათელ Ge^O) და არა (არაა Ge^O) დაეფაროს (+მას Ge^O) და არა ცნა სიცრუვჭ შემთხუევასა OGe


+ ნათლად და არ დაიმალა და არა ცნა უსამართლოებად მიკდასა შინა Ge^G

ძველი ქართული თარგმანი, ისევე, როგორც მისი ელინოფილური რევიზია, ასახავს ებრაიზებულ იკითხვის, რომელიც კარგა ფეხმოკიდებულია წყაროებში: მაიუსკულებში (B, S), მთელ ანტიოქიურ ტრადიციაში და კატენური ჯგუფის უმეტეს ნაწილში (C-68-239-538). ამას გარდა, ჩანს, რომ ეს იკითხვისი სეპტუაგინტას იმ ხელნაწერებშიც იყო, რომლებიც იერონიმეს და სომეხ მთარგმნელს ჰქონდა ხელში. დამატება ნაწილობრივ შემორჩენილია ვაშინგტონის და ვენეციის კოდექსებსა (სურ. 3) და მინუსკულებში – Ra 449 და Ra 770-ში. შემოკლება მსგავსი კიდურწერილობით გამოწვეული მექანიკური გამოტოვების შედეგია. ბერძნულ ხელნაწერებსა და სიროპექსაპლაში იკითხვისი გვხვდება როგორც მარგინალური


¹⁴⁰ ციგლერის აპარატში მითითებულ ასტერისკს მე ვერ ვხედავ ხელნაწერის დიგიტალურ გამოსახულებაზე: Ra 22, fol.49r https://www.bl.uk/manuscripts/Viewer.aspx?ref=royal_ms_1_b_ii_f0049r.

სქოლიოს ფორმით (Syh და Ra 86), ისე – ტექსტში ჩართული დამატების სახით (იხ. სურ. 4 და 5). საინტერესოა, რომ Ra 86 ხელნაწერში ეს იკითხვისი ორივეგან არის წარმოდგენილი – ტექსტშიც და აშიაზეც.


სურ. 3. V, 53r




სურ. 4. Syh, 108v



სურ. 5. Ra 86, 77v txt და mg



Ra 48-ში ეს ვარიანტი ასტერისკით არის აღნიშნული. იგი დასმულია როგორც იკითხვისის შემცველი სქოლიოს დასაწყისში (როგორც, მაგ., Syh და 86-ში), ისე სტრიქონის თავზე და აშიაზე, დამატების შემცველი სტრიქონის გასწვრივ, რითაც, თუმცა არაკურატულად, გადამწერი ცდილობს დამატებული მონაკვეთის საზღვრების ჩვენებას (იხ. სურ. 6).



დამატებას კომპლექსური სტრუქტურა აქვს: მისი პირველი ნაწილი სეპტუაგინტაში გამოტოვებული ებრაული ფრაზის $\text{וְיִי־אֱלֹהֵינוּ וְיִי־אֱלֹהֵי הַיָּם}$ (ნათლად; არ დამარცხდება და არ იცის უსამართლომ სირცხვილი) რესტავრაციის მცდელობაა: $\epsilon\iota\varsigma\ \phi\omega\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \sigma\upsilon\kappa\ \alpha\pi\epsilon\kappa\rho\upsilon\beta\eta$ (სინათლედ და არ დაიფარა). მეორე ნაწილი კი – $\sigma\upsilon\kappa\ \epsilon\gamma\omega\ \alpha\delta\iota\kappa\iota\alpha\nu\ \epsilon\nu\ \alpha\pi\alpha\iota\tau\eta\sigma\epsilon\iota$ (არ იცის უსამართლობა მოთხოვნით) სეპტუაგინტას თარგმანის – $\sigma\upsilon\kappa\ \epsilon\iota\varsigma\ \nu\acute{\iota}\kappa\omicron\varsigma\ (\nu\epsilon\acute{\iota}\kappa\omicron\varsigma\ W^B^{aliii})\ \alpha\delta\iota\kappa\iota\alpha\nu$ 6. $\epsilon\nu\ \delta\iota\alpha\phi\theta\iota\rho\acute{\iota}$ ¹⁴¹ (არა ძლევად [მოიქცა]. 6. გახრწნაში) – ალტერნატიული ვარიანტია, რომლის დამატების შედეგად ებრაული ფრაზის $\text{וְיִי־אֱלֹהֵינוּ וְיִי־אֱלֹהֵי הַיָּם}$ (და არ იცის უსამართლომ სირცხვილი) ორმაგი – დუბლეტური გადმოცემა ხდება. ამრიგად, არამხოლოდ ე.წ. ლუკიანური ტრადიცია (რომლის მახასიათებლადაც ითვლება დუბლეტები) [Albrecht 2013, 96-105], არამედ წყაროთა მთელი წყება შეიცავს ამ დუბლეტს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოცემული დამატება სეპტუაგინტას ტექსტის ებრაულის მიხედვით (ან უშუალოდ ებრაული ტექსტის, ანდა ჰექსაპლაში შესულ რევიზიების სახით) სწორების კი არა, არამედ ხელნაწერთა გადაწერის პროცესის შედეგია, რომლის დროსაც აშიაზე განლაგებული ალტერნატიული ვარიანტები (როგორიცაა მაგ., Syh^{mss} და 86^{mss}) ტექსტის ნაწილი გახდა.

ქართული ვერსიები საკმაოდ ზუსტად ასახავენ დიდ დამატებას, რომლებიც ქართულისათვის ხელოვნურ გრამატიკულ კონსტრუქციებს და ბუნდოვან გამონათქვამებს ქმნიან: $\delta\acute{\omega}\sigma\epsilon\iota\ \dots\ \epsilon\iota\varsigma\ \phi\omega\varsigma$] მოსცეს ნათლად; $\sigma\upsilon\kappa\ \epsilon\gamma\omega\ \alpha\delta\iota\kappa\iota\alpha\nu\ \epsilon\nu\ \alpha\pi\alpha\iota\tau\eta\sigma\epsilon\iota$] არა ცნა სიცრუვჭ შემთხუევასა. ქართული კატენების რევიზია ცდილობს, რომ ძველი თარგმანი ლექსიკური ცვლილებების (სინონიმების გამოყენების) გზით კიდევ უფრო ახლოს მიიყვანოს ორიგინალთან: $\alpha\pi\epsilon\kappa\rho\upsilon\beta\eta$ (დამალვა, დაფარვა): დაეფაროს – დაიმალა; $\alpha\delta\iota\kappa\iota\alpha\nu$

¹⁴¹ ბერძნულ კატენურ ტრადიციაში (C-68*) $\epsilon\nu\ \delta\iota\alpha\phi\theta\iota\rho\acute{\iota}$ -ს ობელოსი ერთვის და გამოტოვებულია. გამოტოვებულია ასევე ლექციონარებში და გელათურ რეცენზიაში (Ge^{lsG}).

(*უსამართლობა*): სიცრუე – უსამართლობა; εν απαιτησει (*მოთხოვნის, საჭიროების შესაბამისად*): შემთხვევასა - მიჯდასა შინა.

სოფ. 3:10

შემდეგი მაგალითი წარმოადგენს მასორეტული ტიპის ებრაულ ტექსტთან სეპტუაგინტას დაახლოების სხვადასხვა მცდელობას:

יְהוָה יִבְרַח אֶת־פְּתֵי הַיָּם וְיִבְרַח אֶת־יְהוּדָה

ἐκ περάτων ποταμῶν Αἰθιοπίας οἴσουσιν θυσίαν μοι Αἰθιοπίας W^c Ge^G OrII289 III35 Eus.dem.p.58.67. Or^{lat} VII397VIII 122 Aug.cin.18,33]

σ' περαθεν ποταμων αιθιοπιας **ικετευοντα με τεκνα των διεσκορπισμενων** υπ εμου ενεγκασι δωρον εμοι Tht.;

+ **დომეνοι მუს ენ თოის დიესკორპისმეოის** W* Ach(+მუს) Sa;

+ (※ Syh^{mg} Bas.N.^{mg}) **პროსდევომაი ენ დიესპარ<მეოის მუს** (>C-68 Arm Or.^{lat}) B-S-V C-68-538 Bo Syh^{mg} Arm შვეიწყნარნე (შეი- Ge^S) განთესულთა შორის ჩემთა (+ და Ge^O) OGe Bas.N.^{mg} Hi. Or.^{lat}VIII 116: cf. MT;

+ (※ 22-48) **პროსდევომაი** (-δεχομαι II-68^c; -δεχομεθα 86*; >S^{ca}) **თოის იკეტევონტას მე** (μετα 407 Arab Th.; +μετα 51^{c?}; + υιοι Tht.^P) **των διεσπαρμενων** (ესპარ. S^{ca}; εν διεσπαρμενοισ pro των διεσπ. 613) S^{ca} (sec. Tisch.) L[']-407-613 Arab შვეიწყნარნე **მვედრებელნი ჩემნი** განთესულთა შორის ჩემთა Ge^{Gi} Eus.dem.p.88 Th. Tht. (non IV976).

სეპტუაგინტას აკლია ებრაული **יְהוָה יִבְרַח אֶת־פְּתֵי הַיָּם** (*ჩემი მვედრებელნი, ასულნი ჩემი განბნეულობისა*)-ს შესატყვისი. ეს დანაკლისი სხვადასხვა ტექსტუალური ტრადიციის შემცველ ხელნაწერში სხვადასხვა თარგმანიდან ამოღებული ექსცერპტების მეშვეობით არის აღდგენილი როგორც მარგინალურ სქოლიოში (Syh), ისე თავად ტექსტში (წყაროთა უმეტესობაში). ყველა ეს თარგმანი, როგორც ჩანს, ებრაელ რევიზორებს ეკუთვნის, თუმცა მხოლოდ ერთი იკითხვისის ავტორი – სიმაქოსია ცნობილი თეოდორიტეს კომენტარიდან: სეპტუაგინტას მოცემული ადგილის განმარტებისას თეოდორიტეს მოჰყავს ალტერნატიული თარგმანი და მის ავტორსაც ასახელებს. საინტერესოა, რომ სიმაქოსის ვარიანტი არ დამკვიდრებულა არც ერთ ტექსტუალურ ტრადიციაში, მათ შორის, არც ე.წ.

ლუკიანურში, რომელიც ითვლება, რომ ყველაზე მეტად განიცდის სიმაქოსის თარგმანის გავლენას [Ziegler 1984, 84; Albrecht 2013, 92-96].

აღსანიშნავია, რომ ასტერისკით არის აღნიშნული ორი განსხვავებული იუდაური ვერსიის იკითხვისი: ერთი სიროჰექსაჰლას (Syh^m) და ბასილი ნეოპატრელის (Bas.N.^m) განმარტების აშეებზე და მეორე – მინუსკულებში Ra 22 და Ra 48. თუკი ჩვენ ასტერისკის ხმარებას მხოლოდ ორიგენეს, როგორც გრამატიკოსის დამახასიათებელ ნიშნად ჩავთვლით, გამოდის, რომ იგი ამ სიმბოლოს მხოლოდ ერთ, მის მიერ უპირატესობამინიჭებული და ტექსტში შეტანილი იკითხვისის აღსანიშნად კი არ იყენებდა, არამედ ყველა ალტერნატიული იკითხვისისთვის. ეს კი ავტომატურად გამორიცხავს ორიგენეს მიერ ტექსტის სწორებას და იმაზე მიუთითებს, რომ მათეს კომენტარებში, სადაც ის თავის ფილოლოგიურ მეთოდზე და ასტერისკების გამოყენების წესზე საუბრობს, მას ტრადიციული *ეკდოსისი* აქვს მხედველობაში, სადაც ალტერნატიული ვარიანტები სქოლიოში იყო შეტანილი და ასტერისკით აღნიშნული. მეორე მხრივ კი, ისიც შესაძლებელია, რომ ასტერისკი ფართოდ, სხვა გრამატიკოსების მიერაც გამოიყენებოდა ალტერნატიული იკითხვისების აღსანიშნად და, შესაბამისად, ასტერისკი ხელნაწერებში აუცილებლობით არ მიანიშნებს ამ ხელნაწერი ტრადიციის ორიგენეს ტრადიციაზე დამოკიდებულებას.

ძველი ქართული თარგმანი, რომელიც ამ მუხლში ოშკურ-იერუსალიმური, ლექციონარისა და მეტაფრასული კრებულით არის წარმოდგენილი, იმ იკითხვისას სახავს, რომელიც სიროჰექსაჰლას აშეაზე, მაიუსკულების (B,S,V) და ე.წ. კატენური ტრადიციის ხელნაწერების ტექსტშია დაცული. იგი საკმაოდ ახლოს მისდევს თავის დედანს და, შესაბამისად, ყველა იმ სირთულეს შეიცავს, რომელიც ბერძნული დედნის გაგებასთან არის დაკავშირებული. მხოლოდ ოშკის ხელნაწერი ცდილობს, რომ გარკვეული სინათლე შეიტანოს კონტექსტში და „და“ კავშირით აერთებს დამატებას ტექსტის ორიგინალურ ნაწილთან (πρὸςθεξίμαι ... τὰν διεσπαρμένων):

კიდითგან მდინარისა ჰინდოეთისაჲთ შევიწყნარნე განთესულთა შორის ჩემთა (+ და Ge^o)
მომართუმიდენ მსხუერპლთა ჩემთა OGe.

საწინასწარმეტყველოებში, რომლებიც გიორგი მთაწმინდელის რევიზიას შეიცავენ, ძველი ქართული თარგმანი ანტიოქიური ტრადიციის ტექსტის მიხედვით არის გასწორებული: შემასმენლისთვის (შევიწყნარნე = $\pi\rho\iota\sigma\theta\epsilon\zeta\iota\mu\alpha\iota$) ობიექტია დამატებული (მვედრებელნი ჩემნი = $\tau\upsilon\varsigma\ \iota\chi\epsilon\tau\epsilon\upsilon\sigma\iota\tau\alpha\varsigma\ \mu\epsilon$). გარდა ამისა, ნაცვლად $\tau\omega\upsilon\ \delta\iota\epsilon\sigma\pi\alpha\rho\mu\epsilon\upsilon\sigma\alpha\nu$ -სი, გიორგი მთაწმინდელი, Ra 613-ს მსგავსად, კითხულობს $\epsilon\nu\ \delta\iota\epsilon\sigma\pi\alpha\rho\mu\epsilon\upsilon\iota\varsigma$:

კიდითგან მდინარისა ჰინდოეთისაჲთ შევიწყნარნე მვედრებელნი ჩემნი განთესულთა შორის ჩემთა მომართუმიდენ მსხუერპლთა ჩემთა Ge^{Gi} .

ძველი თარგმანისა და გიორგისეული საწინასწარმეტყველოსგან განსხვავებით, ელინოფილური რევიზია, მისდევს რა კატენური ხელნაწერების ნაწილს ($c=130-311$ თანმხლები მინუსკულებითურთ: 96-239-534), არ შეიცავს იუდაური რევიზიების არც ერთ ზემოთმოტანილ ვარიანტს და, შესაბამისად, ძველი ბერძნული თარგმანის ტექსტუალურ ფორმას ასახავს.

სულხან-საბა ორბელიანი გელათურ ხელნაწერში სტრიქონებს შორის ამატებს მისი აზრით დაკლებულ ფრაზას „შევიწყნარნე განთესულთა შორის ჩემთა.“ ამ (ისევე, როგორც სხვა) კორექტურის შემთხვევაში იგი ეფუძნება პარიზის ლექციონარს (თუმცა, ცვლის ზმნის პირს: „შევიწყნარნე“ ნაცვლად „შევიწყნარნე“-სი). გელათური ხელნაწერის კორექტურა ნაბეჭდ ვერსიაშიც აისახება.

სოფ. 2:2

$\pi\rho\theta\ \tau\omega\iota\upsilon\ \gamma\epsilon\nu\epsilon\sigma\theta\alpha\iota\ \iota\mu\acute{\alpha}\zeta\ \acute{\alpha}\varsigma\ \acute{\alpha}\nu\theta\iota\sigma\ \pi\alpha\rho\alpha\pi\omicron\rho\epsilon\upsilon\sigma\acute{\iota}\mu\epsilon\upsilon\sigma\iota\upsilon\sigma$ ვიდრე ყოფადმდე თქუენდა, ვითარცა ყუავილნი წარმავალნი OGe ; უწინარეს ქმნისა თქუენისა, ვითარცა ყუავილი თანა-წარმვლელი Ge^G

- + ($\times V$ Syh) $\eta\mu\epsilon\rho\alpha\varsigma\ V\ L^{\prime}\ -613\ Syh\ Th.Tht.\ cf.\ MT\ \omega\iota\ \lambda^{\prime}\ Syh^{mg}$;
- + $\eta\mu\epsilon\rho\alpha\nu\ C-538\ Hi.(diem)=MT$
- + $\eta\mu\epsilon\rho\alpha\ 68\ Cyr.$
- + დღენი თქუენნი OGe ; დღისაჲ Ge^G

ებრაული ფრაზის $\text{וְיָצַקְתֶּם מִן הַיָּם וְיָצַקְתֶּם מִן הַיָּם}$ (დღე გადის, როგორც ბზე) გადმოტანისას სეპტუაგინტას მთარგმნელი გამოტოვებს სიტყვას וְיָצַקְתֶּם (დღე). დაკლებული სიტყვა $\eta\mu\acute{\epsilon}\rho\alpha$ -ს სხვადასხვა

გრამატიკული ფორმით არის აღდგენილი ანტიოქიურ ტრადიციაში და ერთი კატენური ქვეჯგუფის ხელნაწერებში (C). V-სა და Syh-ში იგი ასტერისკითაა აღნიშნული. გარდა ამისა, Syh-ში, განსხვავებით წინა შემთხვევისაგან, ებრაიზებული იკითხვისი უკვე ტექსტშია ინტეგრირებული, თუმცა კი, გარდა ასტერისკისა, მისი მომდინარეობა გარეშე წყაროდან აშიაზე ავტორის (οἱ λῆπτοι¹⁴²) მითითებითაც არის აღნიშნული.

ძველი ქართული თარგმანის ბერძნული დედნის ტექსტები, ისევე, როგორც ელინოფილური რევიზიის დედანი, ημέρα-ს დამატებას შეიცავდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომელ ბრუნვაში იდგა ეს სიტყვა ბერძნულ ტექსტში. ქართულში ქართულ თარგმანში ასახულია დედნის ბუნდოვანება: „ვიდრე ყოფადმდე თქუნდა ვითარცა ყუავილნი წარმავალნი **დღენი თქუნნი**“ OGe. ფრაზა არაერთგვაროვანი გაგების საშუალებას იძლევა, რამდენადაც ‘წარმავალნი’ წინადადების ორი სხვადასხვა წევრის მსაზღვრელიად შეიძლება იქნას გაგებული: „ყუავილნი წარმავალნი“ ან „წარმავალნი დღენი“. ამავე დროს, თარგმანი გარკვეულად შორდება თავის დედანს და ημέρα მრავლობითი რიცხვით გადმოაქვს: ‘დღენი.’ ერთი მხრივ, ეს შენაცვლება ამავე ფრაზაში ბერძნული ზოგადი მხოლობითის (ἄριθος παραπορευόμενον) მრავლობითით ‘ყუავილნი წარმავალნი’ გადმოტანას უკავშირდება. ამასთან, არაა გამორიცხული, რომ სოფონიას თარგმანზე ფსალმუნის თარგმანს მოეხდინა გავლენა: 102:15 ἄριθαπος ἄσσει χόρτος αἱ ἡμέραι αὐτοῦ] კაცისანი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი.

გელათის რევიზია ημέρα-ს შესატყვისად მხოლობითის ნათესაობითს ხმარობს (ანუ ბრუნვას, რომელიც მიმღეობასთან ქმნის სინტაქურს წყვილს) – ‘**დღისაჲ**’ და, ამრიგად, უფრო გასაგებს ხდის ტექსტს: „უწინარეს ქმნისა თქუწნისა, ვითარცა ყუავილი თანა-წარმვლელი **დღისაჲ**“ Ge^G.

1.2. ასტერიზებული იკითხვისები, რომლებიც ძველ ქართულ ვერსიებში ასახული არ არის

¹⁴² ამ აბრევიაციის მნიშვნელობის შესახებ იხ. Ziegler 1984, 71-73; Albrecht 2013, 88-90.

თარგმანის წარმომავლობის დასადგენად და მისი დედნის ხასიათის გასარკვევად გასათვალისწინებელია არამხოლოდ ის ებრაიზებული ვარიანტები, რომლებიც ქართულ თარგმანში დედნიდან არის გადმოსული, არამედ ისინიც, რომელიც არ გადმოსულა და, შესაბამისად, მთარგმნელს დედანში არ ჰქონია.

სოფ. 1:5

τοὺς προσκυσσύντας ἐπὶ τὰ δάματα τῆ στρατιᾶ τοῦ σὶρανοῦ რომელნი თაყუანის-სცემენ ერდოებსა (ბანებსა Ge^G) ზედა ერთა ცისათა (ძალსა ცისასა Ge^G) Ge] + (※ Syh^{mg}) και τοὺς προσκυσσύντας B-S C-68 Syh^{mg}=MT

ებრაული **בִּיַּחַדְשָׁהּ** (*bow down თაყვანისცემა*), რომელიც კონტექსტში მეორდება (**בִּיַּחַדְשָׁהּ** **בִּיַּחַדְשָׁהּ**), სეპტუაგინტაში გადმოტანილი არ არის. მისი შესატყვისი, ავტორის მითითების გარეშე, Syh-ს აშიაზეა მოცემული და ასტერისკით არის აღნიშნული. ბერძნულ წყაროებში (ძველ მაიუსკულებში (B და S) და C ქვეჯგუფის ხელნაწერებში, იგი ტექსტშია ინკორპორირებული. საინტერესოა, რომ ეს იკითხვისი არ ყოფილა არც ქართული თარგმანის დედანში, მსგავსად ბერძნული ანტიოქიური ხელნაწერების და კატენური ქვეჯგუფისა (c და მისი მიმყოლი ხელნაწერები). არ ყოფილა იგი ასევე, იერონიმეს და სომეხი მთარგმნელის ბერძნულ დედანში.¹⁴³

სოფ. 1:4

τὰ ὀνόματα τῶν ἱερέων სახელები (სახელები Ge^O) მღდელთაჲ OGe, სახელნი მღდელთანი Ge^G] + (※ Syh^{mg})¹⁴⁴ μετα (και μετα 407 Cyr.^P) τας ἱερεων (vel ἱερων L Th.) L'-407-613 C-91*-68 233' Syh^{mg} Arm Cyr.^P Th.Tht.Hi. = MT

მოცემულ შემთხვევაში ანტიოქიური და C ტრადიციები აღადგენენ ებრაულში ასირიულიდან შემოსულ ტერმინს **רָחַב** (*ქურუმი*), რომელიც სეპტუაგინტაში გამოტოვებულია. სიროჰქესაპლაში და იერონიმესთან დაფიქსირებულია ამ გამოტოვების

¹⁴³ ქართულის ეს თანხვედრა კატენურ ჯგუფთან მათ შორის არსებულ გენეტიკურ კავშირზე რომ არ მეტყველებს, იმითაც დასტურდება, რომ ქართულში არ არის ასახული c-ს გამოტოვება ამავე კონტექსტში: και τοὺς ἱερέωντας κατὰ τοῦ κυρίου და რომელნი ფუცვენ უფლისა Ge^G] > A'-Q'-198-233'-407^{xx}-449'-534 c-239-613 La^s Co Aeth Arab Cyr.Bas.N.

¹⁴⁴ აღსანიშნავია, რომ V-ში ასტერისკი **τὰ**-ს თავზე, **ὀνόματα**-ს წინ არის დასმული, მაგრამ დამატება არც ტექსტში ფიქსირდება და არც აშიაზე [Ziegler 1984, 65].

აღდგენის სხვადასხვა მცდელობა უმცროსი მთარგმნელების მიერ: სირიულის ბერძნული რეტროვერსიის თანახმად, რომელიც ციგლერის მიერ არის შესრულებული, აკვილას იკითხვისი უნდა იყოს *τῶν τεμειτων*, სიმაქოსის – *τῶν βεβηλων* (s. *βεβηλων* s. *μεμιασμενων*), თეოდოტიონისა კი ებრაული ტერმინის ტრანსლიტერაცია – *χαραρειμ*. როგორც ჩანს, სწორედ ეს უკანასკნელი დასტურდება ნახალ ხევერის ხელნაწერშიც: *TO ONOMA TΩ [γ χαρα]PEIM M[ετα τῶν ιε]PEΩN* [Ego et al. 2004, 142; Tov et al. 1990, 59]. ეს მაგალითი ისევ არ ეთანხმება გაზიარებულ მოსაზრებას სექტუაგინტას ქრისტიანული რევიზიების ავტორთა პრეფერენციების შესახებ: სიმაქოსის ვარიანტი არ არის გადმოღებული ანტიოქიურ ტრადიციაში და არც თეოდოტიონისა – ჰექსაპლურ წყაროებში.

სიროჰექსაპლაში მოტანილი უმცროსი მთარგმნელების არცერთი იკითხვისი ბერძნულ წყაროებში წარმოდგენილი არ არის. მათ ნაცვლად, გამოყენებულია ღვთისმსახურის მნიშვნელობის მქონე ზოგადი ტერმინი - *ιερεων*, იგივე, რაც ამავე კონტექსტში უკვეა გამოყენებული *ἱερω*-ისთვის (*მღვდელი*). ეს ეკვივალენტი, ისევე, როგორც უმცროსი მთარგმნელების ვარიანტები, სიროჰექსაპლას სქოლიოშია წარმოდგენილი, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ანონიმური იკითხვისი ასტერისკითაა აღნიშნული და ტექსტსაც განსხვავებული ინდექსით უკავშირდება. ვარიანტების ამგვარი განსხვავებული აღნიშვნები მათ განსხვავებულ წარმომავლობაზე, ე.ი. *კდოსისების* მრავალფეროვნებაზე უნდა მიუთითებდეს.

არც ძველი ქართული ვერსია და არც მისი ელინოფილური რევიზია იუდაური რევიზიების იკითხვისებს არ იზიარებს: არც ანონიმურ ვარიანტს, რომელიც სიროჰექსაპლას სქოლიოში და გვიანდელი წყაროების უმეტესობაში (მთელ ანტიოქიურ ტრადიციაში, C-ში და სომხურში) გვხვდება, არც უმცროსი იუდეველი მთარგმნელების იკითხვისებს, რომელიც სიროჰექსაპლას აშიაზე და იერონიმესთან არის დადასტურებული.

2. არაასტერიზებული იკითხვისების გადმოტანა

2.1. ძველ ქართულ ვერსიებში ასახული არაასტერიზებული იკითხვისები

ამ ნაწილში განვიხილავ იკითხვისებს, რომლებსაც პარალელი აქვთ მასორეტულ ტექსტში, მაგრამ არ ახლავთ ასტერისკი. რვა ამგვარი ვარიანტიდან ქართული მხოლოდ სამს ასახავს.

სოფ. 1:3

ბერძნული ხელნაწერებისა და სეპტუაგინტას თარგმანების უმეტესობაში აღდგენილია თავდაპირველ ბერძნულ თარგმანში გამოტოვებული ბუნდოვანი ებრაული ფრაზის - *וַיִּשְׁחָדוּן אֱלֹהֵי הַשָּׁמַיִם* (*ვინც გაანადგურებს უსჯულოებს (?)*)¹⁴⁵ ეკვივალენტი:

θαλάσσης 8HevXIIgr W^c 130' La^s Ach Cypr.Θ]

+ (θ'Hi)¹⁴⁶ και ασθνησισιν οι ασειεις (86^{txt} 48^{txt} Syh^{txt}) და მოუძღვრდენ უღმრთონი (უთნონი Ge^G) Ge rel.

+ (σ' 86^{mg} Hi) και τα (>W*) σκανδαλα συν τοις ασειεισιν(ν) W* 36-86^{mg}-48^{mg} Tht=MT

+ και τα σκανδ. συν (>22) τ. ας./ και ασθνησισιν οι ασειεις 22-763(tr.).

იერონიმეს მოჰყავს ყველა ჩამოთვლილი იკითხვისი, ასახელებს მათ ავტორებს და ამატებს კიდევ ერთი წყაროს – *Quinta*-ს ვარიანტსაც: “*Quinta autem editio: ‘Et infirmitas cum impiis deficiet’* (და *სისუსტე უღმრთოებასთან ერთად დამარცხდება*) [Adriaen 1970, 658].

ანტიოქიური წყაროები წარმოადგენენ ებრაიზებული იკითხვისების სქოლიოებში შეტანისა და მათი ტექსტში გადატანის სხვადასხვა საფეხურს. ტრადიცია გაყოფილია. წყაროთა უმეტესობა თეოდოტიონის იკითხვისს ასახავს. მხოლოდ Ra 36 და თეოდორიტეს ხელნაწერები შეიცავენ სიმაქოსის ვარიანტს, რომელიც ვაშინგტონის კოდექსშიც დასტურდება. ოღონდ აქ ეს ტექსტში ჩართული დამატება წერტილებით არის აღნიშნული, რითაც *დიორთოტესი*, როგორც ჩანს, აღნიშნავდა იკითხვისს, რომელიც სხვა, მის საკონტროლო ხელნაწერებში არ დასტურდებოდა. Ra 86 და Ra 48 ორმაგი სწორების კვალს

¹⁴⁵ უღრ. Interlinear English: And the ruins along with the wicked: RSV: will overthrow the wicked; NET-ში განმარტებითი თარგმანია მოცემული: The idolatrous images of these creatures will be destroyed along with evil people.

¹⁴⁶ იხ. Ziegler 1984, 63, რომლის კრიტიკული აპარატის თანახმად, მოტანილი ვარიანტი იერონიმესთან ასტერისკით არის აღნიშნული. თუმცა, იერონიმეს კრიტიკულ გამოცემაში ამ ადგილას ასტერისკი არ დასტურდება [Adriaen 1970, 658].

ატარებენ: თეოდოტიონის თარგმანი უკვე ტექსტშია ინტეგრირებული, მაშინ, როდესაც სიმაქოსის ვარიანტი ისევ აშიაზეა წარმოდგენილი, რაც შესაძლოა იმაზე მეტყველებდეს, რომ სიმაქოსის იკითხვისები ლუკიანურ/ანტიოქიურ ტრადიციაში მეორადი შენაკადია. *L* ხელნაწერთა ჯგუფს კიდევ ორი მინუსკული გამოეყოფა: Ra 22 და Ra 763, რომლებიც თეოდოტიონისა და სიმაქოსის იკითხვისებისაგან შემდარ დუბლეტს შეიცავენ. თუმცა, ამ ხელნაწერებს შორისაც არის განსხვავება: თეოდოტიონისა და სიმაქოსის ვარიანტები მათში განსხვავებული მიმდევრობით არიან წარმოდგენილი. ეს ფაქტი ალტერნატიული იკითხვისების ტექსტში ინტეგრაციის ეტაპობრივ პროცესზე მიუთითებს: დუბლეტის ერთ-ერთი ნაწილი (ალბათ სიმაქოსის იკითხვისი) აშიიდან სხვადასხვა ხელნაწერის გადაწერების მიერ ტექსტის სხვადასხვა ადგილას იქნა ჩასმული.

მთელი ქართული ტრადიცია – როგორც ძველი, ისე ელინოფილური, თეოდოტიონის დამატებას ასახავს და, ამრიგად, წყაროთა უმეტესობას მიჰყვება (მათ შორის მაიუსკულებს (B, S, V) და ანტიოქიური და კატენური ჯგუფების ხელნაწერთა უმრავლესობას), რითაც ადასტურებს, რომ თარგმანი უფრო ძველი ტექსტუალური შრის შემცველი დედნიდან არის შესრულებული, ვიდრე ის შრეა, რომელიც სიმაქოსის იკითხვისს შეიცავს.

სოფ. 3:8

וְהִצַּקְתִּי עֲלֵיהֶם אֶת-חַיְתֵי אֲדֹנָי (To pour out upon them my indignation, all the heat of my anger (RSV))
 τοῦ ἐκχέαι ἐπ’ αὐτοὺς πᾶσαν ὀργήν μου (to pour out upon them all the wrath of my anger (NETS))
 πᾶσαν ὀργήν μου ყოველივე რისხვად გულისწყრომისა ჩემისა (>Ge^{SB})] pr την ὀργην μου
 (+ και Π’-613) S^{ca}(vid.) V L’-613 C’-538-68-239 Syh Arm რისხვად ჩემი OGe Eus.dem.Cypr.(?) Th.
 Hi. =MT

სეპტუაგინტას მთარგმნელს არ გადმოაქვს ებრაული **וְהִצַּקְתִּי** (*რისხვა*), რომელიც ებრაულში წინ უძღვის მნიშვნელობით ახლოს მდგარ სხვა სიტყვას - **וְהִצַּקְתִּי** (*მწველი, მხურვალე რისხვა*). ეს უკანასკნელი ბერძნულში სინონიმური წყვილით – ὀργήν μου არის გადმოტანილი. დამატებას შეიცავდა იერონიმეს და სომხური თარგმანის ბერძნული დედნები. აღსანიშნავია ასევე, რომ სოფონიას ანტიოქიურ ხელნაწერებში წარმოდგენილი ეს ვარიანტული წაკითხვა არ დასტურდება თეოდორიტესთან (ყოველ შემთხვევაში, ტექსტში,

რომელიც Patrologia Graecae-ში არის შესული), რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ანტიოქიური ტრადიციის მთავარი წარმომადგენელად ითვლება.

ძველი ქართული თარგმანის დედანს დამატება (τῆς εφευχῆς μισ) ტექსტში უნდა ჰქონოდა. მთარგმნელი განასხვავებს ბργჳ-სა და მსამგ-ის ეკვივალენტებს და, შესაბამისად, საკმაოდ ახლოს მიჰყვება თავის დედანს როგორც კვანტიტატიურად – სიტყვათა რაოდენობის დაცვით, ისე კვალიტატიურად – ლექსიკური სინონიმების განსხვავების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ზოგიერთ ქართულ ხელნაწერში მსგავსი კიდურწერილობის გამო გამოტოვებულია ფრაზის სხვადასხვა ნაწილი:

მიფენად მათ ზედა რისხვაჲ (1^{რ2} Ge^m) ჩემი (1^{რ2} Ge^o), ყოველივე რისხვაჲ გულისწყრომისა ჩემისაჲ (>Ge^{SB}) Ge.

სოფ. 2:2

:**ჰოჴოჴაჳ** **მო** **ძჳ** **აბჳ** **ბჳ** **ჰოჴოჴაჳ** **ჴოჴ** **ძჳ** **აბჳ** (ვიდრემდე არ მოვიდეს თქვენზე მწველი რისხვა, რისხვა უფლისა. ვიდრემდე არ მოვიდეს თქვენზე დღე უფლის რისხვისა)

πρὸ τοῦ ἐπελθεῖν ἐφ' ἡμᾶς **ბργჳ** **ჰარის**, πρὸ τοῦ ἐπελθεῖν ἐφ' ἡμᾶς ἡμέραν **მსამ** **ჰარის** (სანამ მოიწევა თქვენზე რისხვა უფლისა, სანამ მოიწევა თქვენზე დღე გულისწყრომისა უფლისა)

ვიდრე მოწევანდმდე (მოწევანდმდე Ge^l) თქუენ ზედა (თქუენდა Ge^{kl}) **რისხვაჲ** (-ისა Ge^o) **უფლისაჲ** (-ისაჲსა Ge^o) (+და Ge^o) ვიდრე მოსლვანდმდე თქუენ ზედა (თქუენდა Ge^{kl}) დღისა მის **რისხვისა** (+და Ge^{kl}) **გულისწყრომისა უფლისაჲსა** (-ისაჲ Ge^m) OGe

ებრაულში გამოთქმა **ჰოჴოჴაჳ** (რისხვა უფლისა) ორჯერაა განმეორებული, ამასთან, პირველის მნიშვნელობა გაძლიერებულია **ჴოჴ** (მწველი რისხვა)-ის დამატებით. სეპტუაგინტა არ თარგმნის ამ უკანასკნელს (ჴოჴ) და, ამას გარდა, ცვლის **ჴა** -ის ეკვივალენტსაც, იყენებს რა ორ სხვადასხვა სიტყვას – ბრგჳ და მსამ. ¹⁴⁷

¹⁴⁷ იხ. ასევე Soph. 2:3 **ჰოჴოჴაჳ** **მო** **ძჳ**] **ἐν** **ἡμέρα** **ბრგჳ** **ჰარის** დღესა მას რისხვისა უფლისასა.

როგორც ჩანს, ჩვენამდე მოღწეული წყაროები ორი სხვადასხვა გამოცემიდან – ეკდოსისიდან მომდინარეობენ, რომლებშიც ებრაულისგან გადახრა სხვადასხვანაირად არის გამოსწორებული:

1. ეკდოსისი, რომლიდანაც ანტიოქიური ტრადიცია უნდა იღებდეს სათავეს, როგორც ჩანს, ებრაულთან კვანტიტატიური თანხმობით უნდა ყოფილიყო დაინტერესებული და აღადგენს სეპტუაგინტაში გამოტოვებული ებრაული სეგმენტის ןןך (მწველი რისხვა) შესატყვისს, იყენებს რა იმავე ლექსიკურ ერთეულს (მუμδ), რასაც 3:8-ში:

$\text{ბყყუ რისხვად Ge}^{\text{JmL}}$; რისხვისა Ge^{O} ; რისხვასა Ge^{G} + $\text{მუμδ L}'^{-36}$ -613 Syh Th.Tht. = MT

2. მეორე ეკდოსისის ავტორი კი ფოკუსირებული უნდა ყოფილიყო ლექსიკური ეკვივალენტების სტაბილურობის დაცვაზე და, როგორც ჩანს, სქოლიოში თუ სტრიქონს ზემოთ ალტერნატიული ვარიანტი (ოყყ) აღნიშნა. ხელნაწერის შემდგომი გადაწერის პროცესში ეს ვარიანტი ტექსტში გადავიდა: კატენური ტრადიციის ნაწილში (C), იგი ჩაენაცვლა სეპტუაგინტას მუμδ-ს, ხოლო ანტიოქიური ხელნაწერების ნაწილში, ისევე, როგორც ქართულ (გელათურის გარდა) და სომხურ ვერსიებში, დაემატა მას და დუბლეტი წარმოქმნა:

მუμδ გულისწყრომისა Ge] ოყყ C Syh=MT ; pr. $\text{ოყყ (+και 239) II}'$ -613 68 239 Arm რისხვისა $\text{Ge}^{\text{G}} \text{Hi}$ (hab. $\text{ოყყ pro ἡμέραν 62}^{(*)}$)

ძველ ქართულ თარგმანში, სეპტუაგინტას მსგავსად, არ არის ასახული მასორეტულის ןןך (მწველი რისხვა), რომლის ბერძნული შესატყვისის (ოყყ) დამატებითაც სიროჰექსაპლასა და ანტიოქიურ ტრადიციაში, ებრაულის შესაბამისად, ლექსიკური წყვილი იქმნება: ןןך ბყყუ მუμδ . ამავე დროს, ქართულში ასახულია ფრაზაში მეორე ןןך -ს დუბლეტური გადმოტანა – ოყყ მუμδ : რისხვისა გულისწყრომისა. შესაბამისად, ძველი ქართული თარგმანის მთელი ფრაზა ბერძნული მინუსკულების – Ra 68 და Ra 239-ის მსგავსად არის აგებული. ლექციონარის ზოგიერთი ხელნაწერი (კალა და ლატალი), მსგავსად Ra 239-ისა, სინონიმებს შორის ამატებს მაერთებელ კავშირს „და“: „რისხვისა და გულისწყრომისა,“ და სინათლე შეაქვს ტექსტში.

გელათურ ხელნაწერში მსგავსი კიდურწერილობის გამო მთელი წინადადებაა გამოტოვებული: *αρισ* უფლისასა 1^ο 2^ο: „პირველ მოსლვისა თქუწ ზედა რისხვასა უფლისასა.“

სულხან-საბა ორბელიანი პარიზის ლექციონარის დახმარებით აღადგენს დაკლებულ ნაწილს.

2.2. არაასტერიზებული იკითხვისები ასტერიზებული იკითხვისები, რომლებიც ძველ ქართულ თარგმანში ასახული არ არის

არაასტერიზებული იკითხვისები, რომლებიც ძველ ქართულ თარგმანში ასახული არ არის, უმეტესად ანტიოქიურმა ტრადიციამ შემოინახა. ეს იკითხვისები არაა არც სიროჰექსაპლაში და ბერძნული კატენური ხელნაწერების ტრადიციაში. მსგავსი შემთხვევები მიუთითებენ, რომ *C* და *L* ტრადიციები სხვადასხვა ეკდოსიდან მომდინარეობენ და, რომ ქართული თარგმანი ტექსტის განვითარების კიდევ ერთი განშტოების არსებობას ადასტურებს.

სოფ. 1:2

ἐκλείψει ἐκλιπέτω მოკლებით მოაკლდინ *Ge]* + *πάντα* W' S^{ca} L' 87^C-68 Arm Cyr.^p Th.Tht.(non Cypr) =MT

W და მისი სატელიტი მაიუსკული Ra 410, ისევე, როგორც ანტიოქიური ტრადიციის ხელნაწერები, ამატებენ ებრაული ზ^ב (*გველა*)-ს შესატყვისს, რომელიც დაკონკრეტებულია შემდგომ მუხლში (*ἐκλιπέτω ἄσμενος καὶ κτήη...*). არაა გამორიცხული, რომ ეს დამატება ანტიოქიური ეკდოსის საბაზისო ტექსტში უკვე იყო.

სოფ. 2:3

მომდევნო მაგალითი წარმოადგენს სეპტუაგინტას ტექსტის განვითარების ორ განსხვავებულ ტრადიციას. ორივეს მიზანის ტექსტის ებრაულთან დაახლოება წარმოადგენდა.

הַיָּעַ יִשְׁקֹבּ בְּחֵץ-יִשְׁקֹבּ (*ეძიებდით სიმართლეს! ეძიებდით სიმდაბლეს!*)

δικαιοσύνην ζητήσατε και ἀποκρίνεσθε αὐτὰ

δικαιοσύνην ζητήσατε სიმართლესა ეძიებდეთ OGe; **სამართალი მოიძიეთ** Ge^G

+ *πραστήτα* W;

ζητήσατε δικαιοσύνην ζητήσατε *πραστήτα* L'-407 Cyr.^P Th.Tht. = MT

ებრაული **הַיָּעַ** (*სიმდაბლე*), როგორც ჩანს, სეპტუაგინტას მთარგმნელმა წაიკითხა როგორც **הַיָּע** (*პასუხი*) და, შესაბამისად, გადმოიტანა ზმნით *ἀποκρίνεσθε* (*ეძიეთ*) [Harl et al. 1999, 351; Karrer et al. 2011, 2433]. რევიზორმა ებრაული **הַיָּע** 'სიმდაბლე'-ის მნიშვნელობით გაიგო და მისი ბერძნული შესატყვისით *πραστήτα* /*πραστήτα* (*სიმდაბლე*) აღადგინა ან სქოლიოში ან სტრიქონის თავზე, *ἀποκρίνεσθε*-ს წინ. გადაწერის შედეგად ეს ვარიანტი ტექსტში შევიდა და W-სა და ანტიოქიურ ტრადიციაში დუბლეტი შეადგინა. დუბლეტის არსებობა ვაშინგტონის კოდექსში, როგორც ადრეც ითქვა, იმაზე მიუთითებს, რომ იგი სპეციფიკურად ლუკიანური რევიზიის მახასიათებელი არ არის.

გარდა **הַיָּע**-ის *πραστήτα*-თი გადმოტანისა, ანტიოქიურ ტრადიციაში ებრაულთან დაახლოების სხვა ცდაც ვლინდება: ებრაულის მიყოლით ზმნა (*ζητήσατε=יִשְׁקֹבּ*) განმეორებულია. მეტიც, მასორეტული ორიგინალის მიხედვით ასევე შეცლილია სიტყვათა რიგი. თეოდორიტე, რომელიც ჩვეულებრივ, ტექსტუალურ საკითხებს განიხილავს ხოლმე, ამ შემთხვევაში არ აღნიშნავს ტექსტის მეორად ფორმას და კომენტარს უკეთებს მთელ წინადადებას.

მოცემული მუხლის ტექსტის განვითარების არცერთი ტრადიცია ქართულ თარგმანში ასახული არ არის:

სიმართლესა (-ჴსა O) ეძიებდით! და იტყოდეთ OGe

სამართალი მოიძიეთ! და მიუგებდით მათ Ge^G

სოფ. 2:10

სეპტუაგინტაში შეცვლილია ამპარტავნების (*ἐμμεγᾶλύνθησαν*) ობიექტი: აქ ცოდვილები ზვაობენ, ამპარტავნებენ არა ღვთის ერზე (როგორც ეს ებრაულშია), არამედ თავად ღმერთზე. თარგმანში გამოტოვებული ებრაული *בַּעַל* (*ბალბი*) ანტიოქიურ ტრადიციაში აღდგენილია, ხოლო აკუზატივი გენეტივითაა შენაცვლებული:

ἐμμεγᾶλύνθησαν ἐπὶ τὸν κύριον τὸν παντοκράτορα განდიდნებოდეს (განდიდნეს Ge^G) უფლისა ზედა ყოვლისამყრობელისა Ge] *ἐμμεγᾶλύνθησαν ἐπὶ τὸν λαὸν κυρίου παντοκρατορος* L' -407 Ach Th.Tht. = MT.

სეპტუაგინტაში გამოტოვებული *בַּעַל* (*ბალბი*) რესტავრირებულია *καὶ γὰρ* რევიზორის მიერაც [Ego et al., 2004, 148; Tov et al. 1990, 62-63].

სოფ. 1:5

τὸν βασιλέως αὐτῶν მეფისა მათსა OGe ; მეფისა მიმართ მათისა Ge^G]

του μελχομ (-*χ*ა 407) L -407 Th.Tht.: cf. Am. 1:15; *του μοιοχ* II' (86^{xt})-613 Ach: *λ' μοιοχ* Q 86; *μοιοχ regis* Bo; ad *βασιλέως* adn. *κυριου* Q^{mg1} et ad *κυριου* adn. *μοιοχ* Q^{mg2}

ანტიოქიური ტრადიციის ხელნაწერები ებრაული *מֶלְכָּם*-ის ტრანსკრიბირებას ახდენენ (თუმცა ეს ფორმა სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვაგვარად არის მოდიფიცირებული) და, შესაბამისად, ეს სიტყვა ქანანელების ღმერთის, 'მელექის' სახელად მიაჩნიათ და არა 'მეფის' აღმნიშვნელად, როგორც ეს სეპტუაგინტაში და მისი ხელნაწერების უმეტეს ნაწილში დასტურდება. არცერთი ქართული ვერსია არ ასახავს ანტიოქიური ხელნაწერების კითხვასხვაობას, რომელიც $λ'$ -თია აღნიშნული და რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ორივენიარად იქნას გაგებული – როგორც *λυσιανος* ან როგორც *οι λιοιοι*.

დასკვნები

სეპტუაგინტას ძველ ქართულ თარგმანსა და, შესაბამისად, მის ბერძნულ დედანში,

იუდაური თარგმანების ტექსტუალური ვარიანტები ყოველგვარი სისტემის გარეშე არის გადმოღებული. მათი გადმოტანა ან არგადმოტანა

- არ არის გამოწვეული გენეტიკური კავშირით ხელნაწერების რომელიმე კონკრეტულ ჯგუფთან თუ ტრადიციასთან;
- ებრაიზებული იკითხვისების ტიპთან (ასტერიზებულ და არასტერიზებულ ვარიანტებთან);
- არ ავლენს პრეფერენციას რომელიმე კონკრეტული ავტორისა თუ თარგმანის სტილის მიმართ;
- არ ასახავს რაიმე კონკრეტულ ეგზეგეტიკურ ტრადიციას.

ძველი ქართული თარგმანის ტექსტუალური ფორმის მახასიათებელი არის ის, რომ იუდაური რევიზიების გავლენის ქვეშ არსებულ წყაროთა შორის იგი ებრაიზებული იკითხვისების შედარებით მცირე რაოდენობას შეიცავს.

იუდაური თარგმანების ტექსტუალური ვარიანტების გადმოტანის უსისტემობით ძველი ქართული თარგმანი ტიპოლოგიურად მსგავსია სხვადასხვა ფილოლოგიური ტრადიციის მაიუსკულებისა (W და B-S-V) და, შესაბამისად, მისი ბერძნული დედანი თავისი ხასიათით იმავე ხაზში დგას, რაშიც მისი თანამედროვე ბერძნული ხელნაწერები, რომელთა არქეტიპები სეპტუაგინტას ეკდოსისები უნდა ყოფილიყო. დროთა განმავლობაში ეს ეკდოსისები მრავალჯერ გარდაიქმნენ ვულგარულ, ჩვეულებრივი მოხმარების ხელნაწერებად, რის შედეგადაც *ეკდოსისის* სქოლიოების ვარიანტებმა ეტაპობრივად ტექსტში გადაინაცვლეს. პროცესი *ეკდოსისის* ვულგარული ხელნაწერებად ქცევისა, ამ უკანასკნელის ახალი *ეკდოსისის* საბაზისო ხელნაწერად გამოყენებისა და მისთვის სქოლიოების დართვისა, და შემდეგ ისევ ფართო გამოყენების ეგზემპლარის შექმნისა, პერმანენტული იყო. ტრანსმისიის ამ ხანგრძლივ და ფართოდ გაშლილ პროცესში ებრაიზებული იკითხვისების რაოდენობა სეპტუაგინტას ხელნაწერებში თანდათან იმატებდა. ძველი ქართული თარგმანის ხასიათი იმაზე მეტყველებს, რომ მისი ბერძნული დედანი ამგვარად განვითარებული ტექსტის ისტორიის ერთ ადრეულ ეპიზოდს ასახავს და, რომ ეს ეპიზოდი იმ გარემოში ვითარდება, სადაც სეპტუაგინტას ტექსტს ალექსანდრიული მეთოდებით შეისწავლიდნენ და განმარტავდნენ.

დასკვნა

მცირე წინასწარმეტყველთ თარგმანის წარმომავლობის კვლევა ორი კუთხით წარიმართა:

1. თარგმანის დედნის ენის დადგენა. მოიძებნა კრიტერიუმები (ქართულ თარგმანში ნახმარი კომპოზიციები, ზმნისწინიანი ფორმები, თანდებულიანი ფორმები, უპირო კონსტრუქციები, ნონსენსური თარგმანები. სიტყვათა აღრევა), რომელთა საფუძველზეც გაირკვა, რომ, განსხვავებით აქამდე ფეხმოკიდებული აზრისა, ჩვენამდე მოღწეული თარგმანების დედნები არაა სომხურენოვანი და რომ ქართულს ლექსიკურ და გრამატიკულ სტრუქტურებს საფუძვლად ბერძნული ენის ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურები უდევს.

2. თარგმანის ტექსტუალური ტიპის დადგენა. ჩვენამდე მოღწეული ყველა ბერძნული და სხვაენოვანი წყაროს (როგორც ტექსტების კრიტიკული გამოცემების, ისე საკუთრივ ხელნაწერების) გათვალისწინების შედეგად გაირკვა, რომ:

(ა) ძველი თარგმანი შესრულებულია IV საუკუნის ბერძნული მაიუსკულების ტიპის ხელნაწერიდან, რომელიც სპორადულად შეიცავდა ე.წ. ჰექსაპლურ იკითხვისებს.

(ბ) A1108 ხელნაწერში დადასტურებული ქართული თარგმანი შესრულებულია ბერძნული კრებულების ერთი კონკრეტული ტიპის ხელნაწერიდან, რომელიც შეიცავდა თეოდორიტე კვირელის 'მიზეზს', ასევე, 'თავნს' - წინასწარმეტყველთა თემების განმარტებას და წინასწარმეტყველთა სახელების განმარტებებს.

(გ) მეტაფრასებში შესული გელათური თარგმანი წარმოადგენს თეოდორიტე კვირელის კომენტარის თარგმანს. კვლევაში საგანგებო ადგილი უკავია თავდაპირველი ქართული თარგმანის მნიშვნელოვნების ხაზგასმას ბერძნული ბიბლიის ტექსტის ისტორიის კვლევაში.

ბიბლიოგრაფია:

- **ხარანაული 2004:** ხარანაული ა. 2004, ძველი აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები და ქართული ბიბლიის წარმომავლობის საკითხები, *ქართველოლოგი*, №11, 54–77.
- **ხარანაული 2006:** ხარანაული ა. 2006, ქართული ბიბლიის წარმომავლობის კვლევის ისტორია და მეთოდოლოგიური საკითხები, ნ. მახარაძე, თ. დოლიძე (რედ.), *ბიზანტიოლოგია საქართველოში 1*, თბილისი: „ლოგოსი“, 482–528.
- **ხარანაული 2006ბ:** ხარანაული ა. 2006, ლევიტელთა გელათური ვერსია, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 10, 3–14.
- **ხარანაული 2009:** ხარანაული ა. 2009, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ტექნიკა (ხანმეტი ესაიას, იერემიას და ეზრა I-ის ფრაგმენტების მაგალითზე), *ბიზანტიოლოგია საქართველოში 2*, 938–968.
- **ხარანაული 2012:** ხარანაული ა. 2012, კითხვები ქართული ბიბლიის თარგმანის მიმდინარეობის შესახებ, *ქართველოლოგი*, №18, 113–128.
- **ხარანაული 2016:** Kharanauli, A. 2016, Battling the Myths: What Language Was the Georgian Amos Translated from?, in Kraus, W., Meiser, M., van der Meer, M.N. (eds.), *XV Congress of the International Organization for Septuagint and Cognate Studies*, Atlanta: SBL Press, 241–265.
- **ხარანაული 2020:** ხარანაული ა. 2020, სეპტუაგინტის ტექსტის ისტორია და ძველი ქართული თარგმანი (თეორიული და პრაქტიკული მიდგომები ივდიითის წიგნის მაგალითზე), *გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, 6, თბილისი, 143–174.
- **ხარანაული 2022:** Kharanauli, A. 2022, Georgian Bible, in Lange, A., Fuller, R. (eds.), *The Textual History of the Bible*, Vol. 3A, Leiden: Brill, 513–550.
- **იმნაიშვილი 1957:** იმნაიშვილი ი. 1957, *სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში*, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- **მარტიროსოვი 1946:** მარტიროსოვი ა. 1946, თანდებული ქართულში, *იკე*, I, 203–246.
- **მროტაძე 2009:** მროტაძე ნ. 2009, ებრაიზებული ფრაზეოლოგიური წინდებულები და მათი მნიშვნელობა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნებში, *საერთაშორისო კონფერენცია „ტბელობა“ (მასალები)*, გვ. 471-478.
- **მროტაძე 2010:** მროტაძე ნ. 2010, ებრაიზებული ფრაზეოლოგიური წინდებულები და მათი სემანტიკა სახარებაში, *საერთაშორისო კონფერენცია „დიდაქარობა“ (მასალები)*, გვ. 425-428.
- **Adriaen 1970:** Adriaen, M. (ed.) 1970, *S. Hieronymi presbyteri opera*, Turnhout: Brepols.
- **Albrecht 2013:** Albrecht, Felix 2013, Die lukianische Rezension und ihre Bezeugung im Zwölfprophetenbuch, in Kreuzer, S., Sigismund, M. (eds.), *Der Antiochenische Text der*

- Septuaginta in seiner Bezeugung und seiner Bedeutung (DSI 4), *Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht*, 87–108.
- **Assfalg 1959:** Assfalg, Julius 1959, *Altgeorgische Übersetzungen der Propheten Amos, Michaeas, Jonas, Sophonias und Zacharias*, München.
 - **Beekes 2010:** Beekes, P., van Beek, L., Steven, R. 2010, *Etymological Dictionary of Greek*, vols. 1–2, Leiden: Brill.
 - **Bortone 2010:** Bortone, P. 2010, *Greek Prepositions: From Antiquity to the Present*, Oxford: Oxford University Press.
 - **Ceriani 1876–1881:** Ceriani, Antonio Maria 1876–1881, *Translatio Syro Pescitto Veteris Testamenti ex Codice Ambrosiano*, Milan: Angeli della Croce.
 - **Chantraine 1999:** Chantraine, P. 1999, *Dictionnaire étymologique de la langue grecque*, Paris: Klincksieck.
 - **Choat 2006:** Choat, Malcolm 2006, The Unidentified Text in the Freer Minor Prophets Codex, in Hurtado, L.W. (ed.), *The Freer Biblical Manuscripts: Fresh Studies of an American Treasure Trove*, Leiden: Brill, 87–122.
 - **De Bruyne 2015:** De Bruyne, D. (ed.) 2015, *Prefaces to the Latin Bible*, Turnhout: Brepols.
 - **De Troyer 2006:** De Troyer, Kristin 2006, The Freer Twelve Minor Prophets Codex – A Case Study: The Old Greek Text of Jonah, Its Revisions, and Its Corrections, in Hurtado, L.W. (ed.), *The Freer Biblical Manuscripts: Fresh Studies of an American Treasure Trove*, Leiden: Brill, 75–87.
 - **Ego et al. 2004:** Ego, B. et al. (eds.) 2004, *Minor Prophets*, Leiden: Brill.
 - **Fernandez Marcos 2001:** Fernandez Marcos, N. 2001, *The Septuagint in Context*, Leiden: Brill.
 - **Frisk 1960:** Frisk, H. 1960, *Griechisches etymologisches Wörterbuch*, Heidelberg: Carl Winter.
 - **Harl et al. 1999:** Harl, M. et al. 1999, *Les Douze Prophètes*, Paris: Cerf.
 - **Hilberg 1912:** Hilberg, I. (ed.) 1912, *Epistulae*, Vienna/Leipzig: Tempsky/Freytag.
 - **Johannessohn 1925:** Johannessohn, M. 1925, *Der Gebrauch der Präpositionen in der Septuaginta*, Berlin: Töpelmann.
 - **Karrer et al. 2011:** Karrer, M., Kraus, W. (eds.) 2011, *Septuaginta Deutsch*, Stuttgart: Deutsche Bibelgesellschaft.
 - **Lampe 1961:** Lampe, G.W.H. 1961, *A Patristic Greek Lexicon*, Oxford: Oxford University Press.
 - **Montanari 2002:** Montanari, Franco 2002, Alexandrian Homeric Philology: The Form of the Ekthesis and the Variae Lectiones, in Reichel, M., Rengakos, A. (eds.), *Epea Pteroenta: Beiträge zur Homerforschung*, Stuttgart: Franz Steiner, 119–140.

- **Montanari 2011:** Montanari, Franco 2011, Correcting a Copy, Editing a Text: Alexandrian Ekdoseis and Papyri, in Montanari, F., Pagani, L. (eds.), *From Scholars to Scholia: Chapters in the History of Ancient Greek Scholarship*, Berlin: De Gruyter, 1–15.
- **Mirotadze 2013:** Mirotadze, Natia 2013, The Influence of the Biblical Translation on the Postpositional System of the Georgian Literary Language, Kraków.
- **Muraoka 1993:** Muraoka, Takamitsu 1993, *A Greek-English Lexicon of the Septuagint (Twelve Prophets)*, Leuven: Peeters.
- **Muraoka 2009:** Muraoka, Takamitsu 2009, *A Greek-English Lexicon of the Septuagint*, Leuven: Peeters.
- **Muraoka 2016:** Muraoka, Takamitsu 2016, *The Syntax of the Septuagint Greek*, Leuven: Peeters.
- **Muraoka 2022:** Muraoka, Takamitsu 2022, *The Books of Hosea and Micah in Hebrew and Greek*, Leuven: Peeters.
- **Otkhmezuri 2022:** Otkhmezuri, Tamar (ed.) 2022, *Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium*, Münster: Aschendorff.

- **Sanders et al. 1927:** Sanders, Henry A., Schmidt, Carl (eds.) 1927, *The Minor Prophets in the Freer Collection and the Berlin Fragment of Genesis*, New York: Macmillan.
- **Schwyzler-Debrunner 1950:** Schwyzler, Eduard, Debrunner, Albert 1950, *Griechische Grammatik*, Munich: Beck.
- **Sollamo 1975:** Sollamo, Raija 1975, Some “Improper” Prepositions, Such as ἐνώπιον, ἐναντίον, ἐναντί, etc., in the Septuagint and Early Koine Greek, *Vetus Testamentum*, 25(4), 773–782.
- **Sollamo 1979:** Sollamo, Raija 1979, *Rendering of Hebrew Semiprepositions in the Septuagint*, Helsinki: Suomalainen Tiedeakatemia.
- **Tov et al. 1990:** Tov, Emanuel, Kraft, Robert A., Parsons, Peter J. (eds.) 1990, *The Greek Minor Prophets Scroll from Nahal Hever (8HevXIIgr)*, Oxford: Clarendon Press.
- **Turner 1977:** Turner, E.G. 1977, *The Typology of the Early Codex*, Philadelphia: University of Pennsylvania Press.
- **Ziegler 1984:** Ziegler, J. (ed.) 1984, *Duodecim prophetae*, Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.